პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ავსტრო-მარქსისტების კამპანია პარტიაში ახალი წევრების მისაღებად.
— საბჭოთა მოქალაქეების გა-დასახლება საფრანგეთიდან.
— ფაშისტები თავს დაესხენ სამხრეთ-სლავიის ვაჭრობის მინისტრს.
— ნანკინის არმიას ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს იაპონიის სამხედრო გემებს.
— ვენიდან მოსკოვში გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის ელჩი ავსტრიაში ამხ. ბერზინი.
— მიწისძვრა უკრაინაში და ყირიმში.

ხუთშაბათი, 15 სექტემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 209 (1954)

ფუჭი ცდა

ჩემბერლენის საუბარი პრესის წარმომადგენლებთან საბრალმდებლო სკამზე მჯდომ ადამიანის სიტყვას წააგავს, ადამიანის, რომელიც ცდილობს მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდების გაბათილებას და თავის გამართლებას. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი „დაბეჯითებით ითხოვს" მისი პოლიტიკა არ შეაფასონ, როგორც „თავდასხმა ერთა ლიგის არსებობასა და მოწოდებაზე", პირიქით, — ირწმუნება ის, რომ ინგლისს „ასულდგმულებს იგივე მისწრაფება როგორც სხვა ხალხებს, და იგი მზად არის ერთა ლიგის იდეალებს ემსახუროს".

რათ დასჭირდა ასეთი თავის მართლება ჩემბერლენს? საქმე ის არის, რომ, როგორც დეპეშა გადმოგვცემს, „ჟენევის წრეებში გარკვეულად იქმნება ჩემბერლენისა და მისი პოლიტიკისათვის არა სასარგებლო განწყობილება", ეს შედეგია იმ პოზიციისა, რომელიც ჩემბერლენმა პოლონეთის და ჰოლანდიის წინადადებების მიმართ დაიკავა. პოლონეთი მოითხოვს „საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების" დადებას, ხოლო ჰოლანდიამ წამოაყენა ე. წ. ჟენევის ოქმის (სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ) დამტკიცების წინადადება. ჩემბერლენმა ორივეს წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ნამდვილად არც ერთი ამ წინადადებათაგანი არ არის წამოყენებული ხალხთა თანამშრომლობის და მშვიდობიანობის განხორციელების მიზნით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემბერლენი არა ამიტომ უარყოფს მათ: მან აქ დაინახა ინგლისის იმპერიალიზმის ჰეგემონიის შესუსტების ცდა საფრანგეთის და მის ხელქვეით პოლონეთის გაძლიერების ხარჯზე.

ჩემბერლენის იმპერიალისტური პოლიტიკისათვის დამახასიათებელია, თუ რა ცვლილებები განიცადა მისი ზეგავლენით პოლონეთის პროექტმა. უკანასკნელი თავდაპირველად შეიცავდა ორ მთავარ მუხლს: 1. ომი აკრძალულია, 2. სავალდებულოა საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრა. ჩემბერლენის მეცადინეობით ხსენებულმა პროექტმა ასეთი სახე მიიღო: 1. უკანონოდ ცხადდება მხოლოდ შეტევითი ომი, 2. სასურველია (და არა სავალდებულო) კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრა.

ასეთი შესწორებები ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს პოლონეთის „სამშვიდობო" წინადადებას. მართლაც, რას ნიშნავს მხოლოდ „შეტევითი" ომის აკრძალვა? აშკარაა, რომ ყოველი იმპერიალისტური სახელმწიფო შეეცდება შეტევითი ომი თავდაცვის ომად გაასაღოს. უკანასკნელი მსოფლიო ომის ავტორები ეხლაც ერთმანეთს აბრალებენ მის ატეხას, თვითეული მათგანი თვლის, რომ მოწინააღმდეგე მხარეა დამნაშავე ამ ომის გაჩაღებაში. ასე იქნება მომავალშიც. ჩემბერლენის ფორმულა იმპერიალისტებს ფორმალურად ხელ-ფეხს უხსნის ომისათვის. კერძოდ აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში თავდამსხმელ მხარედ, ცხადია, ჩვენ ვიქნებით გამოცხადებული როგორც ნამდვილ თავდამსხმელებს, ისე ერთა ლიგის მიერ, თუმცა აშკარაა, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკას ატარებს და თუ ის ჩათრეული იქნება ომში, ეს ომი ჩვენის მხრით მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის იქნება.

მისაღებია მხედველობაში შემდეგი გარემოებაც. იმპერიალისტურ სახელმწიფოებს დამონებული ყავთ აურაცხელი კოლონიალური და მცირე ხალხები, რომელნიც უთანასწორო ხელშეკრულებებით არიან შებორკილნი. ამ ხალხების ბრძოლას ასეთი ხელშეკრულებების მოსასპობად და თავისუფლების მოსაპოვებლად იმპერიალისტები განმარტავენ, როგორც თავდასხმას თავიანთ უფლებებზე და მათ წინააღმდეგ ბრძოლას თავდაცვითი ღონისძიებად ასაღებენ. მაგრამ განა მტკიცება უნდა, რომ დაჩაგრული ქვეყნები თავისი განმანთავისუფლებელი ბრძოლით მხოლოდ თავს იცავენ მსოფლიო ყაჩაღებისაგან. ჩემბერლენისა და სხვა იმპერიალისტებისათვის ეს შეტევითი ომია მათ წინააღმდეგ, რაც „აკრძალულ" უნდა იქნას. ასე, რომ მხოლოდ „შეტევითი" ომის აკრძალვა ჩემბერლენს სჭირდება თავისი მტაცებლური პოლიტიკის გასამართლებლად.

არა ნაკლებ საგულისხმოა ჩემბერლენის „სამშვიდობო ზრახვების" ნათელსაყოფად მისი შემდეგი განცხადება: მას სცოდნია, რომ „თვითეული ახალი წელი, განსაკუთრებით უკანასკნელი. სულ უფრო საძნელოს ხდის ომის გამოცხადებას ან მის გამართლებას; ეხლა მიღწეულია ისეთი მდგომარეობა, როცა ომის გამოცხადება, ერთა ლიგის მოწოდების გარეშე, ყოველ ქვეყნისათვის მეტად ძვირი წამოწყება აღმოჩნდებოდა"-ო. მაგრამ, ვიკითხოთ, რას ნიშნავს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა და მის წინააღმდეგ ომისათვის მზადება, ან სამხედრო ინტერვენცია ჩინეთში და სხ. რაც შეეხება, ერთა ლიგის „მოწოდებას", ჩემბერლენები, რომელნიც ერთა ლიგაში არიან გაბატონებულნი, ყოველთვის შესძლებენ ამ „მოწოდების" მიღებას, როცა საქმე შეეხება საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთის ხალხებთან ომის გამოცხადებას.

მაინც აშკარაა, რომ ომის გამოცხადება იმპერიალისტების მიერ არც ისე ადვილია. მაგრამ ეს აიხსნება არა ჩემბერლენების და ლიგის სამშვიდობო განწყობილების წყალობით, რა თქმა უნდა. პირიქით, მთელი მათი მუშაობა იქითკენაა მიმართული, რომ ახალი უბედურება დაატეხონ კაცობრიობას. და ჩემბერლენის „თავის მართლება" ამ მხრივ შეცდომაში ვერავის შეიყვანს.

ქალთა მომავალ ყრილობის შესახებ

10 ოქტომბერს იკრიბება საბჭოს წევრ მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ყრილობა. ეს ყრილობა მე მიმაჩნია დიდ საზოგადოებრივ მოვლენად. უეჭველია, რომ საბჭოების ათი წლის არსებობამ, ძლიერ წასწია წინ ქალი, ნამდვილ და არა-მოჩვენებით თანასწორუფლებიანობისაკენ მამაკაცთან. თითქმის არ არსებობს არცერთი დარგი ჩვენი მშენებლობისა, სადაც არ გაზრდილიყოს ქალთა პროცენტი. წლიდან წლამდე იზრდება მათი მონაწილეობა როგორც საბჭოებში, ისე საბჭოთა ორგანოებში და ამის გამო საბჭოთა სახელმწიფოში იზრდება ქალის მნიშვნელობა, როგორც ახალ კომუნისტურ საზოგადოების მშენებლისა.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა იმის არ დანახვა, რომ ქალის მონაწილეობა წარმოებაში და ქვეყნის მმართველობაში კიდევ ხვდება უდიდეს სიძნელეებს. ერთ-ერთი უმთავრესი სიძნელე არის ის, რომ ჩვენ განვიცდით წარმოების საშუალებათა ნაკლებობას. ჩვენი წარმოება რაოდენობის მხრივ კიდევ არ გასცილებია კაპიტალისტურ წარმოების ფარგლებს; პირიქით მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები წარმოების მხრივ ჩვენზე მაღლა დგანან. უმუშევართა შორის ჩვენში ქალს უკავია დიდი ადგილი. ტყუილა კი არაა, რომ განსაკუთრებით მწვავე უმუშევრობას ჩვენში ადგილი აქვს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა შორის, სადაც ძლიერ ტალღად შეიჭრენ ქალაქის ქალები.

შემდეგ, ბურჟუაზიულ ქვეყნებში ქალთა უდიდესი ლაშქარი მუშაობს ხელზე მოსამსახურეებად, რაც სავსებით გასაგებ მიზეზების გამო, ძლიერ შემცირდა ჩვენში. ამის საწინააღმდეგოდ საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვნად შემოკლდა სამუშაო დღე, რამაც, რა თქმა უნდა, გამოიწვია უმუშევრობის ნაწილობრივი შემცირება. მაგრამ მაინც სამუშაო ძალის ჩვენი საწარმოო მოთხოვნილება ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩება მუშახელის არსებულ რაოდენობას, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ თავისუფალ მუშახელის დენას სოფლიდან: აი, ეს ობიექტიური პირობები, რომელთა დაძლევა მოითხოვს უდიდეს მატერიალურ საშუალებებს და საბჭოების ძლიერ დაჟინებულ საორგანიზაციო მუშაობას, მე მგონია წარმოადგენენ მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქალის სავსებით გასათანასწორებლად მამაკაცთან. ამიტომ უმუშევრობასთან ბრძოლა, თუმცა ის არ წარმოადგენს სპეციფიურ ქალთა საკითხს, არსებითად და რეალურად იძლევა უდიდეს შედეგებს ქალთა გათანასწორების საქმეში, ვინაიდან უმუშევრობა განსაკუთრებით მწვავედ საგრძნობია ქალისათვის და სახელდობრ უფრო ლატაკ ქალისათვის.

მეორე დაბრკოლება, რომელიც ეღობება ქალის სამუშაოზე მოწყობას მთელ რიგ წარმოებებში, არის ქალის ფიზიკური სისუსტე. მამაკაცთან შედარებით, და აგრეთვე ფეხმძიმობა, რაც საგრძნობლად ამცირებს ქალის შრომის უნარს. დაბოლოს, ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი აზრი, რომ თითქოს ზოგიერთ სამუშაოებზე მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ მუშაობა (თუმცა, პირიქით, არის ისეთი პროფესიები, რომლებსაც მხოლოდ ქალები ასრულებენ).

მომავალი ყრილობა იქნება ჩვენი საბჭოთა სისტემის ყველა საფეხურებიდან არჩეულ ქალების ყრილობა. ცხადია, რომ ეს ყრილობა იქნება არა მარტო საბჭოთა, არამედ მთელი კავშირის პარტიულ ქალთა აქტივის აზრის გამომხატველი. ყრილობის გადაწყვეტილებათა ღირებულება ბევრად იქნება დამოკიდებული იმისაგან, თუ რამდენად შესძლებს ის ქალთა მუშაობის ყველა მწვავე მომენტების გამოტანას და იმ პირობების აღნიშვნას. რომლებიც ეღობებიან ქალის ჩაბმას წარმოება-დაწესებულებებში. ამ გადაწყვეტილებათა ღირებულება ბევრად იქნება დამოკიდებული აგრეთვე იმისაგან, თუ რამდენად დასახავენ ისინი გზებს ამ სიძნელეების აღმოსაფხვრელად.

ყრილობაზე არ უნდა მიიჩქმალოს ქალთა სპეციფიური საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც სწრაფად წასწევს წინ ქალთა დარაზმვის საქმეს. შემდეგ, ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა ორგანოებში ქალების მოზიდვის შესახებ. მაგრამ ამისთვის ხომ საჭიროა, რომ ქალთა მოზიდვის საქმის თაოსნებმა მარტივი და სახალისო საქმე გამოუნახონ ქალებს. აი, ეს არის ყველაზე უმძიმესი ამოცანა: ამავე დროს კი ამ ამოცანის 90 პროცენტით დადებითად გადაჭრისაგან დამოკიდებულია ჩვენი საქმის გამარჯვება.

ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს, განა არის რამე, მშენებლობაზე უფრო სახალისო? ყველა დაგვეთანხმება, რომ არა. გარდა ამისა, თუ მთელი მშენებლობა მთლიანად სახალისოა, მაშინ მისი თვითეული წვრილმანიც უნდა ახალისებდეს მშენებლებს. რომ ნიჭიერი ხუროთმოძღვარი, გრანდიოზული შენობის აგების დროს, არ ივიწყებს და გვერდს არ უვლის ამ შენობის ცალკე, უბრალო მნიშვნელობის წვრილმანებს. მაგრამ, ხუროთმოძღვარმა რომ, მაგალითად, მთელი თავისი ყურადღება მიაქციოს მარტო შენობის გარეგნულ სილამაზეს, და უყურადღებოდ დასტოვოს შენობის ყველა დანარჩენი ნაწილები, მაშინ მისი მუშაობა მნიშვნელოვნად დაკარგავს თავის ღირებულებას. პირიქით, ხუროთმოძღვრების მუშაობის ყოველ წვრილმანში მოჩანს დიდი ოსტატის ხელი. ამ წვრილმანების შესრულებაში მოჩანს მშენებლის მთელი ყურადღება და დაინტერესება.

ჩვენს თვალწინ სცხოვრობდა სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ოსტატი—ლენინი. მის მიერ დასახული გეგმა წლით წლობით უფრო გარკვეული ისახება არა მარტო მშრომელი მასებისა, არამედ, მავალი ხალხის წინაშეც. მის გეგმაში თქვენ ნახავთ უამრავ მშვენივრად დამუშავებულ წვრილმანებს. ის ყურადღებით და ბეჯითად ამუშავებდა ამ წვრილმანებს. ამავე დროს კი რამდენის ჩვენში ისეთი, რომელიც უკმაყოფილოა თავისი „წვრილმანი", „ყოველდღიური" მუშაობით და ემძიმება ის.

იდეური ხალისი უნდა შთავბეროთ წვრილმანების ყველა მშენებელთ და დავინახავთ, რომ საქმე, რომელსაც ისინი ასრულებენ, წარმოადგენს დიდი სოციალისტური ერთეულის ნაწილს. მეორე მხრივ საჭიროა მუშაკების მოხერხებული შერჩევა, ამა თუ იმ მუშაობისადმი მათი მისწრაფების მხრივ. ეჭვს გარეშეა, რომ მომავალ მშენებლობის დროს ამ ფაქტორს მნიშვნელოვანი ანგარიში გაეწევა.

სოციალისტური ელემენტების ზრდა საბჭოთა სახელმწიფოში, მოსახლეობის ეკონომიური დონის ამაღლება და უმუშევრობის შემცირება თავის მხრივ მოითხოვენ მაღალი საზოგადოებრივი კულტურით აღჭურვილ მუშაკების მნიშვნელოვან კადრს. აი ამ წამოჭრილ პერსპექტივისა და მოთხოვნილების, დაკმაყოფილებისათვის, ჩემის აზრით, განსაკუთრებით უნდა მოვამზადოთ ქალები.

რას ნიშნავს: ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვაშენებთ ისეთ სამშობლოს, რომელიც სულთამობრძავ კაპიტალისტურ წყობილებაზე ბევრად უფრო დააკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას. მაშინ არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი მხარეც გაცილებით მაღლა იქნება. ხალხთა შორის დამოკიდებულებას ნამდვილად ამხანაგური და ძმური ხასიათი ექნება, ვინაიდან კაპიტალიზმი ემყარება მტაცებლობას და ყველას ბრძოლას ყველას წინააღმდეგ პირადი კეთილდღეობისათვის, ხოლო სოციალიზმი —თანამშრომლობას და კეთილდღეობის მოპოვებას კოლექტიური გზით. კაპიტალიზმის დროს ყოველი ადამიანი საკუთრივ იკაფავს გზას და სდევნის და ფეხით სთელავს ყველას, ვინც ამ გზაზე ეღობება. სოციალიზმის დროს ყველა თავს იგრძნობს ისე, როგორც თავის ტოლებში, მხოლოდ წესრიგს, დარაზმულობას, დისციპლინას და მშრომელთა საერთო ღონისძიების შეთანხმებულად წარმართვას შეუძლია მაქსიმალური შედეგების მოცემა. თავის თავად ცხადია, რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ხალხთა უდიდესი სოლიდარობის, ხალხთა შორის ნამდვილი ადამიანური დამოკიდებულების პირობებში. ამ საქმეში, მე მგონია, ქალები შეასრულებენ უდიდეს როლს.

ვინმეს შეუძლია სთქვას, რომ მე გამიტაცა იდეალიზაციამ და რომ ჩემ მიერ დახატული სურათი მეტის მეტად დაშორებულია სინამდვილისაგან, რომელიც ჩვენში უაღრესად სასტიკა და მკაცრიც კი. რა თქმა უნდა, როგორ შეიძლება, რომ დღევანდელი ცხოვრება მკაცრი არ იყოს, როდესაც ჩვენი აღმშენებლობა განიცდის სისტემატიურ თავდასხმებს, მშენებელს კი ყოველთვის მოელის საფრთხე, რომ მას ქურდულად მოჰკლავენ. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ ჩვენში მაინც იზრდება სოციალისტური კულტურა. უნდა ყველა საშუალებით დავაჩქაროთ ეს ზრდა.

ჩვენი ცხოვრება აღსავსეა კონტრასტებით, ვინაიდან ახალი სოციალისტური ელემენტები იზრდება ძველის და დამპალის დაშლასთან ერთად. ის გარემოება, რომ ძველი ჯერ კიდევ არ დამპალა სავსებით და არ გადაქცეულა განოყიერებულ ნიადაგად, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საჭირო არ არის ახალის შენებლობა. მე მეუბნებოდნენ, რომ მოსკოვის ზოგიერთ საავადმყოფოებში კარგად და ყურადღებით არ ეპყრობიან ავადმყოფებს, განსაკუთრებით საავადმყოფოების დაბალი პერსონალი. ეს საავადმყოფოები კი ხომ სანიმუშო უნდა იყონ მთელ საბჭოთა კავშირში? ჩვენი საავადმყოფოები უნდა წარმოადგენდენ ბურჟუაზიულ საავადმყოფოების სრულ წინააღმდეგობას. ამ საავადმყოფოებში ყველა, დაწყებული უფროს ექიმიდან და გათავებული მორიგე მომვლელ ქალით, უნდა იჩენდეს ნამდვილ ნათესაურ დამოკიდებულებას ავადმყოფებისადმი. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ უდიდეს კულტურულ მუშაობის შემდეგ. აი ამ გზაზე, მე მგონია, ქალები უნდა მიდიოდენ წინ.

ყოველი ახალი არჩევნები, თუმცა არა დიდი სისწრაფით, მაგრამ სისტემატიურად და ურყევად ზრდიან ქალების პროცენტს საბჭოებში, რაც უეჭველად იწვევს ქალის როლის ზრდას მმართველობის ორგანოებში. მართლაც, შეიძლება შევამჩნიოთ, რომ მთელი რიგი ქალები თემის საბჭოს ყრილობის დელეგატობიდან აღწევენ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეობამდეც კი. ქალების ასეთ დაწინაურებას გვიკარნახებს არა საჩვენებელი მხარე ან პოლიტიკური დემონსტრაცია, არამედ უშუალო საქმის ინტერესები.

მაგრამ ამ დაწინაურების ფასი უნდა მდგომარეობდეს კიდევ იმაში, რომ დაწინაურებულებმა არ გაწყვიტონ კავშირი ქალთა მასებთან და რომ მათ, ამა თუ იმ თანამდებობის შესრულების დროს, მამაკაცებზე უკეთესად და ღრმად მოუხედონ მუშა და გლეხ-ქალის სპეციალურ საჭიროებებს. ქალების მასა მხოლოდ მაშინ დაინახავს მათში თავის ნამდვილ წარმომადგენლებს.

როდესაც სწარმოებდა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები, კანდიდატურების განხილვის დროს მოლოტოვმა, სხვათა შორის, გამოსთქვა აზრი, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა ყველა ფენების წარმომადგენლობას საბჭოებში, რადგან მასში ყველას შეაქვს რაღაც თავისებური. ქალებსაც შეაქვთ ეს „რაღაც თავისებური".

უსურვებთ სრულ გამარჯვებას საბჭოს წევრ ქალთა მომავალ სრულიად საკავშირო ყრილობას.

მ. კალინინი.

14 სექტემბერი,—გადმოცემულია ტელეგრაფით.

ჩერჩილი იწონებს გენერალურ საბჭოს პოზიციას

კანტონის არმიამ დაიწყო სვატოუს ევაკუაცია

პანიკა სვატოუში.—კანტონის არმიის განადგურება

კანტონში სიკვდილით დასაჯეს კიდევ 200 კომუნისტი

ჰოლანდიის ხელისუფლებამ ჩამოახრჩო კუნძულ იავაზე მომხდარ აჯანყების 3 ხელმძღვანელი კომუნისტი

გენსაბჭო ჩემბერლენის გზით

ჩერჩილის მოკავშირენი

ლონდონი, 13 სექტემბერი. **ჩერჩილმა** ლანკაშირში გამოსვლის დროს გამოსთქვა თავისი კმაყოფილება იმის გამო, რომ **„ტრედიუნიონების კონგრესმა, დაბოლოს, შეითვისა მისი შეხედულებები ბოლშევიკებზე.**

„ბოლშევიკები—განაცხადა ჩერჩილმა —წარმოადგენენ პოლიტიკურ სექტანტებს, რომელთა შეხედულებებიც უცხო და შორეულია მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. **მე ვფიქრობ, რომ კანონი პროფკავშირების შესახებ, არა თუ ზიანს მიაყენებს ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობას, არამედ, პირიქით სასარგებლო იქნება მისთვის**". (ადს).

ერთა ლიგის სესიაზე

„ფიცი მჭამს, ბოლო მაკვირვებს"

ჟენევა, 13 სექტემბერი. უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ჩემბერლენი შეეცადა გაემართლებია ინგლისის საქციელი ერთა ლიგის მიმართ. **ჩემბერლენი დაბეჯითებით სთხოვდა პრესის წარმომადგენლებს, რომ მათ არ დაენახათ დიდ სახელმწიფოების მიერ მოწყობილ კონფერენციებში ერთა ლიგის არსებობის წინააღმდეგ მიმართული ცდები.** ამ კონფერენციებს, ჩემბერლენის სიტყვით, მიზნათ აქვთ დაიხსნან ერთა ლიგა უთანხმოებიდან დიდ სახელმწიფოთა შორის.

„ჩვენ არ შეგვიძლია, განაგრძო ჩემბერლენმა, ვიკისროთ, ან ისე მოვაჩვენოთ ქვეყანას თავი, რომ ვკისრულობთ ისეთ ვალდებულებას, რომლის შესრულება, შეიძლება, ველარ შევსძლოთ".

შემდეგ ჩემბერლენი ამტკიცებდა, რომ ინგლისი აღფრთოვანებულია ისეთივე მისწრაფებით, როგორც სხვა ხალხები და მზად არის ემსახუროს ერთა ლიგის იდეალებს. იმ გარემოებას, განაგრძობს ჩემბერლენი, რომ ის სასტიკ ანგარიშს აძლევს თავს ლიგის მუშაობის კონკრეტულ მიღწევათა შესახებ, შეუძლია გამოიწვიოს ყალბი შთაბეჭდილება, თითქოს ის გულგრილად ეპყრობოდეს ლიგის მოღვაწეობას. **მაგრამ მან იცის, რომ ყოველი ახალი წელი, განსაკუთრებით კი უკანასკნელი, სულ უფრო საძნელოდ ხდის ომის გამოცხადებას ან მის გამართლებას.** ჩემბერლენის სიტყვით, აჟამად უკვე მიღებულია ისეთი მდგომარეობა, რომ ომის გამოცხადება ერთა ლიგის დასტურის გარეშე, იქნებოდა ისეთი წამოწყება, რომელიც მეტისმეტად ძვირად დაუჯდებოდა ყოველ სახელმწიფოს.

„ის უნდობლობის ატმოსფერა, განაცხადა ჩემბერლენმა, რომელშიაც მიმდინარეობდა ახლანდელ სესიის პირველი დღეები, უკვე გაფანტულია. საერთაშორისო უფლების შეგნების განვითარებამ ისეთი მორალური ძალა მიანიჭა ერთა ლიგას, რომ ომი უარყოფილია, როგორც არასაჭირო საშუალება". (ადს).

ვოლდემარასის განცხადება

ჰელსინგფორსი, 13 სექტემბერი. „გუვუდ სტატსბლადეტ"-ს ჟენეველ კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა ლატვიის პრემიერ ვოლდემარასთან იმ პროექტის გამო, რომელიც ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ცელენსმა წამოაყენა ბალკანეთის ქვეყნების ნეიტრალიტეტის შესახებ. ვოლდემარასმა განაცხადა, რომ ჟენევაში თანაგრძნობით ხვდებიან ბალტიის სახელმწიფოების ნეიტრალურ ოლქად გამოცხადების აზრს და მათი ნეიტრალიტეტის გარანტიას საერთაშორისო გზით.

ვოლდემარასმა აღნიშნა, რომ ამ ნეიტრალური ოლქის შემადგენლობაში უნდა შევიდეს მხოლოდ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, ვინაიდან ფინეთი გეოგრაფიულად სკანდინავიას ესაზღვრება. ვოლდემარასი ფიქრობს, რომ ამ პროექტს წინააღმდეგობას არ გაუწევს საბჭოთა კავშირი. ამის დამამტკიცებელია, ვოლდემარასის აზრით, თუნდაც ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირმა ლიტვასთან დასდო ხელშეკრულება ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის შესახებ. (ადს).

დებატები

ჟენევა, 14 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმზე გამართულ კამათში, დიდ და მცირე სახელმწიფოთა (მაგალითად: ნორვეგია, ჰოლანდია და შვეიცარია) წარმომადგენლებთან ერთად გამოვიდენ უმთავრესად: საბჭოთა კავშირის მეზობელ და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთა დელეგატები. საბჭოთა კავშირის მეზობელ სახელმწიფოთა დელეგატები თავის გამოსვლებში უშიშროების გარანტიების საკითხის გარშემო ფარულად აღნიშნავდენ, რომ განიარაღების მთავარი ხელის შემშლელი არის საბჭოთა კავშირი. რაც შეეხება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლების გამოსვლას, ამ უკანასკნელს ამერიკის წრეებში აფასებენ როგორც ერთა ლიგის მანევრს ჩ. ა. შეერთებული შტატების წინააღმდეგ, მანევრს, რომელსაც ინგლისი ხელმძღვანელობს. (ადს).

ავსტრო-მარქსისტების კამპანია

ვენა, 13 სექტემბერი. 12 სექტემბერს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ვენის ყველა რაიონებში ჩაატარა დიდი ხმაურით მომზადებული კრებები; ეს კრებები გეგმის მიხედვით წარმოადგენენ კამპანიის დასაწყისს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ახალ წევრების მისაღებად.

მაშინ, როდესაც ჩვეულებრივად ასეთ კრებებს ესწრებოდენ ათეული ათასი მუშები, ახლა ყველა კრებებს დაესწრო **სულ 15.000-მდე კაცი. კრებების ხელმძღვანელმა სოციალ-დემოკრატებმა არსად არ მისცეს ლაპარაკის ნება კომუნისტებს, რომლებიც კრებებს დაესწრენ. იმ პირებს, რომლებიც რეპლიკებს ისროდენ სოციალ-დემოკრატების სიტყვების დროს, კრებებიდან აძევებდენ.**

რევოლიუციონური ბრძოლა ჩინეთში

რევოლიუციონური მოძრაობა

შანხაი, 13 სექტემბერი. გაზეთების ცნობით, **რევოლიუციონური მოძრაობა კუნძულ ხაინანზე ძლიერდება. ამ მოძრაობას კომუნისტურ მოძრაობად ნათლავენ. რევოლიუციონერებს მოუხდათ შეტაკება მემამულეების რაზმებსა და მთავრობის ჯარებთან. შეტაკება რევოლიუციონერების გამარჯვებით დამთავრდა; მათ ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.** (ადს).

პანიკა სვატოუში

შანხაი, 13 სექტემბერი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, ვინაიდან მოსალოდნელია იე-ტინისა და ხო-ლუნის მიერ სვატოუზე იერიშის მიტანა, სვატოუს უფროსი გენერალი ხო-ცზი-ვუ აპირებს გაქცევას. ჩინეთის პრესის ცნობით. უკანასკნელ 24 საათში სვატოუში ჩამოვიდა 2 იაპონიის, 1 ინგლისის და 1 ამერიკის სამხედრო გემები. (ადს).

კანტონელების განადგურება

შანხაი, 13 სექტემბერი. გაზეთების ცნობით, იე-ტინის რევოლიუციონური ჯარი სწრაფად მიიწევს წინ ჩაოჩოუფუკის რაიონში, სადაც მას და კანტონის ჯარებს შორის მოხდა სერიოზული შეტაკება, რომელიც გათავდა კანტონელების დიდი დამარცხებით. (ადს).

სიკვდილით დასჯა

შანხაი, 13 სექტემბერი. სვატოუში მომხდარ პანიკის დროს, რომელიც გამოიწვია ცნობამ იე-ტინის ჯარის მოახლოების შესახებ, ხელისუფლებამ გასცა ბრძანება ევაკუაციის შესახებ, შემდეგ კი დაიწყო მრავალრიცხოვანი დაპატიმრებები. 8 დაპატიმრებული სიკვდილით დასაჯეს კომუნისტობისათვის. (ადს).

სარგებლობენ გომინდანის წმენდით

შანხაი, 13 სექტემბერი. პროფკავშირებმა, რომლებიც ჩინეთის უდიდესი წარმოების „კომმერშელ პრეს"-ის მუშებს აერთიანებენ, გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჩინეთის კაპიტალისტები, სარგებლობენ რა გომინდანის წმენდით, კვლავ დაუბრუნდნენ უსასტიკესი ექსპლოატაციის მეთოდებს და სრულიად არ უწევენ ანგარიშს მუშათა ორგანიზაციებს. მოწოდება მიმართავს მუშებს გაუწიონ წინააღმდეგობა რეაქციას, რომელმაც ხელახლა წამოჰყო თავი. (ადს).

იაპონიის სამხედრო გემებს სროლა აუტეხეს

შანხაი, 13 სექტემბერი. ნანკინის არმიის ჯარისკაცებმა ვუხუნის სიმაგრის მახლობლად, მდინარე იანცზის შესართავთან სროლა აუტეხეს იაპონიის სამხედრო გემს. (ადს).

სიკვდილით დასჯილია 200 კომუნისტი.

შანხაი, 13 სექტემბერი. გომინდანის პარტიის გამწმენდი კომისიის დადგენილების თანახმად, **სიკვდილით დასაჯეს კომუნისტი.**

გაზეთების ცნობით, უკანასკნელ კვირაში კანტონში სიკვდილით დასაჯეს 200 კომუნისტი.

მღელვარება რკინისგზელებს შორის.

შანხაი, 13 სექტემბერი. გაზეთების ცნობით, უკანასკნელი 4 თვის ხელფასის გაუსტუმრებლობის ნიადაგზე ხანკოუს რკინისგზელებს შორის დაიწყო მღელვარება, რასაც შედეგად მოჰყვა სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტა ხანკოუ-ჩენჯოუს რკინის გზაზე. (ადს).

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ

სიკვდილით დასჯა

კოვნო, 13 სექტემბერი. ტაუროგენში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით დააპატიმრეს ტაუროგენის მაზრის კომენდანტი პოლკოვნიკ-ლეიტენანტი **იგნატოვიჩიუსი.** ოფიციოზურ „ლეტუვა"-ს ცნობით, **სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასაჯეს 6 კაცი**, რომელთაც ბრალდებოდა აჯანყებაში მონაწილეობა. (ადს).

დაპატიმრებანი

ბერლინი, 13 სექტემბერი. ლიტვიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობებით, ტაუროგენის აჯანყებასთან დაკავშირებით უკანასკნელ დღეებში დაპატიმრებულია 100-ზე მეტი კაცი.

უკანასკნელი ცნობებით აჯანყებულებმა 12 სექტემბერს მოჰკლეს ქალაქ კროტინგენის პოლიციის უფროსი **გრენისი.**

გერმანიის პრესა ხაზს უსვამს, რომ აჯანყება ტაუროგენში არის არა კომუნისტური, არამედ მემარცხენე-ბურჟუაზიული. როგორც გაზეთები აღნიშნავენ აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი მაიუსი ახლო სდგას ნაროდნიკ-სელიანების პარტიასთან. (ადს).

თეთრი ტერორი

კომუნისტების ჩამოხრჩობა

ბერლინი, 13 სექტემბ. ბატავიიდან მიღებულ ცნობებით, ჰოლანდიის ხელისუფლების განაჩენით ჩამოაღრჩვეს სამი კომუნისტი, რომლებიც ხელმძღვანელობდენ აჯანყებას იავაზე და სუმატრაზე 1926—27 წელში. (ადს).

ფაშისტებთან შეტაკებისათვის

ბერლინი, 13 სექტემბერი. ესენის სასამართლომ წითელ ფრონტელების კავშირის 12 წევრს მიუსაჯა საერთო რიცხვით 8 ნახევარი წლის ციხე ფაშისტურ კავშირ „ფოლადის მუზარადის" ადგილობრივ ორგანიზაციასთან მომხდარ შეტაკებაში მონაწილეობისათვის. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

ამჟამად გაცხოველებული სამხედრო მოქმედება სწარმოებს სამხრეთით გუან-დუნის პროვინციაში. სვატოუს მიმართულებით. ახლად შობილი რევოლიუციონური ჯარი იე-ტინის და ხო-ლუნის მეთაურობით მედგრად წინ მიიწევს და ემუქრება სვატოუს. დღევანდელი დეპეშა გადმოგვცემს ცნობას რევოლიუციონურ ჯარის გამარჯვების შესახებ ჩაო-ჯოუს რაიონში. ჩაო-ჯოუ იქვე სვატოუსთან მდებარეობს და რევოლიუციონურ ჯარების ასეთმა წინსვლამ სვატოუში ბუნებრივად პანიკა გამოიწვია.

რამდენად სერიოზულია მდგომარეობა სვატოუს რაიონში სჩანს უკვე იქიდან, რომ 24 საათის განმავლობაში სვატოუს ნავთსადგურში მოსულა იაპონიის ორი, ინგლისის ერთი და ამერიკის კიდევ ერთი სამხედრო გემები. შესაძლებელია, რომ ეს გემები ხელს შეუწყობენ კანტონის დიქტატორ ლი-ტის ჯარების წამოყვანაში ზღვით კანტონიდან სვატოუსაკენ. პირიქით, თუ ვინიცობაა რევოლიუციონურმა ჯარმა ხელთ იგდო სვატოუს ნავთსადგური. იგივე უცხოელ იმპერიალისტთა სამხედრო გემები ხელს შეუშლიან ამ ჯარებს ზღვით სარგებლობაში.

სვატოუს რაიონის აღება რევოლიუციონურ ჯარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს რაიონი მოსაზღვრეა შედარებით მდიდარ ფუძიანის პროვინციისა და ამით გაუადვილდება რევოლიუციონურ ჯარს თავისი გამოკვების საქმის მოწყობა, თორემ ამ მხრით გუან-დუნის პროვინცია ბევრს ვერას მისცემს ამ ჯარს. ამ უკანასკნელისათვის კი გამოკვების საკითხი მეტად მწვავედ დგას.

ფუ-ძიანი სუნ-ჩუან-ფანის ყოფილი სამფლობელოა და სწორედ აქ გაუწია მან თავის დროზე ჩან-კაი-შის ჯარებს დიდი წინააღმდეგობა. ერთ ხანობას დაამარცხა კიდევაც ჩან-კაი-შის ჯარი.

მეტად რთულ პირობებში უხდება ამჟამად რევოლიუციონურ ჯარებს მოქმედება. მართალია მათი ზურგი ხანკოუ-უხანის მხრით ჯერ-ჯერობით თითქოს უზრუნველყოფილია, მაგრამ სამაგიეროთ კანტონიდან ლი-ტიანი ემუქრება და აშკარაა. რომ აღმოსავლეთითაც პროვინცია ფუ-ძიანის მხრით რევოლიუციონურ ჯარების წინააღმდეგ რეაქციონერები რაიმე სამხედრო ძალის შედგენას შეეცდებიან და შეუტევენ სვატოუს მიმართულებით.

უხანში მდგომარეობა მეტად გამწვავებულია და აქაური კონტრ-რევოლიუციონერები რევოლიუციონურ აჯანყების მოლოდინში იმყოფებიან. ჩვენ ვიცით, რომ ხუბეის პროვინცია, სადაც მდებარეობს უხანი, მოდებული იყო გლეხთა შეიარაღებული რაზმებით. მართალია უხანის ფაქტიურმა დიქტატორმა ტან-შენ-ჩიმ საშინელი დევნა დაუწყო გლეხთა და მუშათა ორგანიზაციებს, მაგრამ ეტყობა სრულიად მათი მოსპობა მაინც ვერ შესძლო და ეხლა კვლავ იჩენს თავს ამ ორგანიზაციების აქტიური მოქმედება.

ჩრდილოეთისაკენ სამხედრო მოქმედება მიყუჩდა არაფერი ისმის შანდუნის ფრონტიდან და არც ფინ-იუ-სიანის მხრით.

ამას წინად ცნობა იყო, რომ ტან-შენ-ჩი მოლაპარაკებას აწარმოებს ჩრდილოელ მილიტარისტებთან. ალბად ტან-შენ-ჩი ცდილობს გადააჭარბოს ფინ-იუ-სიანს. თავის დროზე ამ უკანასკნელმა შეაღლა უხანი კანტონთან. ეხლა ტან-შენ-ჩი ცდილობს შეერთებული ნაციონალური ბურჟუაზია შეაღლოს ჩრდილოელ მილიტარისტებთან.

არც გასაკვირი იქნება ეს. ჩინეთის ლიბერალურ ბურჟუაზიის მიერ არჩეული გზა ბოლოს და ბოლოს მიიყვანს მას ჩან-ზო-ლინის ბანაკში. არსებითად ეხლაც ამ ბურჟუაზიის პოლიტიკა და მოქმედება არაფრით განსხვავდება ჩრდილოელ მილიტარისტების პოლიტიკისაგან.

ი. გედევანიშვილი.

საბჭოთა პრესა

სოციალისტური მშენებლობა იმარჯვებს

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1927—28 წლისათვის უკვე შედგენილია. წინააღმდეგ განვლილი წლებისა, ეს ციფრები სწორედ დროზეა დამუშავებული და იძლევიან მეურნეობის არა მარტო საერთო მიმართულებას, არამედ წარმოადგენენ მომავალი წლის ნამდვილ სამეურნეო გეგმას. ეს გარემოება მოწმობს, რომ ჩვენ დიდ წარმატებას მივაღწიეთ გეგმიანობის პრინციპის განხორციელებაში.

საკონტროლო ციფრების მიხედვით, ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქცია (ომის წინანდელ ფასებით) 1927—28 წ. გაიზრდება 14,3 პროც., სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია — 3,2 პროც., სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები (1925—26 წ. ფასებით) — 5,8 პროც. მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის როლს საერთო პროდუქციის მხრით 1927—28 წ. გადიდდება 37,1 პროც-დან 39,8 პროც-მდე, ვაჭრობაში — 81,9 პროც-დან 84.5 პროც-მდე. რას მეტყველობენ ეს ციფრები?

„ისინი გვეუბნებიან. სწერს **„ეკონომიჩესკაია ჟიზნ"**, — რომ საბჭოთა კავშირი აკეთებს შემდგომ ნახტომს წინ. სწორედ ნახტომს! ვინაიდან ზრდის ასეთ კოეფიციენტებს ვერ გვიჩვენებს ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა. სოციალისტურ მშენებლობის ისტორიული ამოცანა საბჭოთა კავშირში მდგომარეობს იმაში, რომ დავეწიოთ და გაუსწროთ კაპიტალიზმის ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებს. ვინაიდან სოციალიზმი არის მეურნეობის უმაღლესი სისტემა კაპიტალიზმთან შედარებით. ვინაიდან სოციალისტურ მშენებლობის საქმე საბოლოოდ განმტკიცებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა სოციალიზმი საწარმოო ძალებს გაშლის გაცილებით უფრო ფართეთ, ვინემ ეს შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს. და მომავალი სამეურნეო წელი — ამის ცხადად მოწმობენ მოყვანილი ციფრები — წარმოადგენს სავსებით ღირსეულ წელს იმ წლებ შორის, რომელნიც ანხორციელებენ სოციალისტურ მშენებლობის ამ მოწოდებას".

ამავე დროს 1927—28 წ. საკონტროლო ციფრები ერთხელ კიდევ ამსხვრევენ ოპოზიციის „წინასწარმეტყველებას", თითქო კერძო კაპიტალი სწრაფად იზრდებოდეს და საფრთხეს უმზადებდეს მეურნეობის სოციალისტურ ელემენტებს. ჩვენ სულ წინააღმდეგს ვხედავთ. ამასთან ცხადია, რომ ჩვენს წინაშე დიდი სიძნელეებია აღმართული, რომლებიც პირველყოვლისა დაკავშირებულია ეხლანდელ საერთაშორისო მდგომარეობასთან. გაზეთი ამის გამო აღნიშნავს:

„საერთაშორისო მდგომარეობის გართულება და სამეურნეო ვითარება კავშირის შიგნით, ახალ მოსავალთან დაკავშირებით, გვიკარნახებს, რაც არ უნდა დაგვიჯდეს რეზერვების შექმნის პოლიტიკას. ამ რეზერვებმა საკმაოდ მნიშვნელოვან ციფრს უნდა მიაღწიონ. ეს ნიშნავს სამეურნეო ტრიალიდან მეტად საგრძნობ მატერიალურ ღირებულებათა ამოღებას; მაშასადამე, უფრო მეტი სიძლიერით დგება არსებულ კაპიტალების ბრუნვის სისწრაფის ამოცანა. მაშასადამე, უფრო მეტი სიძლიერით იჩენს თავს ამოცანა რაციონალიზაციის, განუწყვეტელი რაციონალიზაციისა მშენებლობის ყოველ კუნჭულში, წარმოების და ბრუნვის ყველა პროცესის დარგში".

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა განუწყვეტლივ იზრდება, იზრდება სწორედ სოციალიზმის მიმართულებით. მის ჩაშლას სცდილობენ ჩვენი მტრები. სათანადო სამხედრო და სამეურნეო ზომების მიღება ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად, გეგმიანი მშენებლობის განმტკიცება, მომჭირნეობის გატარება და რაციონალიზატორული მუშაობის გაღრმავება,— [illegible] რა უზრუნველჰყოფს ჩვენს გამარჯვებას.

უკანასკნელი ცნობები

საუბარი ცელენსთან

რომი, 14 სექტემბერი. „სტამპა" აქვეყნებს თავის ჟენეველ კორესპონდენტის საუბარს ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრთან ცელენსთან. ცელენსმა განაცხადა რომ ლატვიის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგების საკითხი მის დიდ მეზობელთან—საბჭოთა კავშირთან, წარმოადგენს ლატვიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას. ცელენსმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „პოლონეთი ყველა ზომებს ხმარობს აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის განსამტკიცებლად", რასაც ამტკიცებს მისი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულებისა და თავდაუსხმელობის კონვენციის დადების გარშემო (ადს).

რევოლიუციონური არმიის ნადავლი

შანხაი, 14 სექტემბერი. რეიტერის ცნობით, უხანის მთავრობამ გაგზავნა ჩანშაში ჯარისკაცებისათვის ჯამაგირების დასარიგებლად 100,000 ვერცხლის დოლარი. მაგრამ ხო-ლუნის ჯარის ნაწილებმა, რომლებმაც ნანჩანში დამარცხების შემდეგ დაიხიეს ხენანის პროვინციისაკენ და ბოლო დროს მოქმედებდენ იჯოუს რაიონში, გააჩერეს მატარებელი და ხელთ ჩაიგდეს მთელი ვერცხლი (ადს).

სამხრეთ-სლავიის მთავრობის გამარჯვება არჩევნებში

ვენა, 15 სექტემბერი. საპარლამენტო არჩევნებზე სამხრეთ-სლავიაში რადიკალების პარტიამ მიიღო 111 მანდატი (მათ შორის, პაშიჩის ჯგუფმა მიიღო მხოლოდ 17 მანდატი), დემოკრატიულმა კავშირმა მიიღო 79 მანდატი, რადიჩის პარტიამ 60, პრიბიჩევიჩის დამოუკიდებელ დემოკრატების ჯგუფმა—23, მუშურ-გლეხურმა ბლოკმა—1 მანდატი და სხვ. არჩევნების შედეგებმა მთლიანად უზრუნველყვეს მთავრობის ჯგუფის აბსოლიუტური უმრავლესობა პარლამენტში (ადს).

მიწისძვრა ოსმალეთში

ანგორა, 13 სექტემბერი. 12 სექტემბერს ღამე ტრაპიზონსა, სინოპსა და სტამბოლში ადგილი ჰქონდა რამდენიმე მიწისძვრას ბიძგს. სტამბოლში ბიძგები 20 წამს გაგრძელდა. მსხვერპლი არ არის (ადს).

პარტ-ორგანიზაციების რიცხვი წითელ არმიაში

მოსკოვი, 14 სექტემბერი. მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტ-სამმართველოს მასალების მიხედვით, ამჟამად წითელარმიის რიგებში იმყოფება 90.000 მეტი საკ. კ. პ. (ბ) წევრი და კანდიდატი, კომკავშირის 180.000 წევრი და კანდიდატი და 6.000-მდე პარტ-უჯრედი.

მიწისძვრა ნამანგანში

ნამანგანი, 14 სექტემბერი. 12 სექტემბერს აღნიშნულია 3 ახალი მიწისძვრა ბიძგი. (ადს).

ცეკას ხაზს იწონებენ

ყაზანი, 14 სექტემბერი. საქალაქო პარტკრებამ მოისმინა მოხსენება საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის შესახებ და ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზს (ადს).

ამხ. იურენევის დანიშვნა სრულუფლებიან წარმომადგენლად ავსტრიაში

მოსკოვი, 14 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გაანთავისუფლოს ამხ. ბერზინი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის თანამდებობიდან ავსტრიაში და დანიშნოს ამ თანამდებობაზე ამხ. იურენევი (ადს).

აზერბეიჯანის ცაკის სესია მოწვეულია ლენქორანში

ბაქო, 14 სექტემბერი. აზერბეიჯანის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ცაკის მეხუთე მოწვევის მეორე სესია მოიწვიოს ქ. ლენქორანში 25 სექტემბერს. სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგში სდგას ლენქორანის სამაზრო აღმასკომის ანგარიშიც. (ადს).

ამხ. შესტაკოვი ხაბაროვსკში

სპასკი, 14 სექტემბერი. 13 სექტემბერს მფრინავი შესტაკოვი გაფრინდა ხაბაროვსკში. (ადს).

უცხოელთა გაძევება საფრანგეთიდან

სარროს მსხვერპლნი

ბერლინი, 13 სექტემბერი. ჩამოვიდა ექვსი საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრმა **სარრომ** გადაასახლა საფრანგეთიდან. გადმოსახლებულ საბჭოთა მოქალაქეებს შორის არიან გაზეთ „ნაშ სოიუზ"-ის რედაქციის მდივანი და რუსი მუშების კავშირის მოლარე ეგგი, გაზეთ „უკრაინსკიე ვისტი"-ს რედაქციის წევრი ძიკოვსკი და სხვა.

ჩამოსულნი ამბობენ, რომ **საფრანგეთის ხელისუფლებამ ისინი გადაასახლა რამდენიმე საათის განმავლობაში ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე; მათ იმის შესაძლებლობაც კი არ მისცეს. რომ შეეკრათ ბარგი და მოეგვარებიათ პირადი საქმეები.** მცველების თანხლებით საბჭოთა მოქალაქენი მიაცილეს ბელგიის საზღვრამდე და ფარულად გადაიყვანეს ბელგიის ტერიტორიაზე, მიუხედავათ იმისა, რომ გადასახლებულებს არ ჰქონდათ ბელგიის ვიზები—ბელგიიდან ისინი ჩავიდენ აახენში (გერმანია). გერმანიის ხელისუფლებამ პირველად დააპატიმრა გადასახლებულნი და ფიქრობდა მათი უკანვე გადასახლებას საფრანგეთში, მაგრამ შემდეგ მისცა ნებართვა განეგრძოთ მოგზაურობა. (ადს).

ბესარაბიელთა პროტესტი

პარიზი, 13 სექტემბერი. საფრანგეთის ბესარაბიელ ემიგრანტთა ასოციაციამ გამოაქვეყნა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ **დააპატიმრეს და საფრანგეთის საზღვრებიდან გადაასახლეს ამ ასოციაციის ორი მოღვაწე.** ასოციაცია აღნიშნავს, რომ ეს მოღვაწეები კანონიერად სცხოვრობდენ საფრანგეთში რამდენიმე წლის განმავლობაში და მიუხედავად ამისა, მთავრობამ ისინი მაინც გადაასახლა იმ ბრალდების გამო, რომ ეს მოღვაწეები ეწეოდენ კამპანიას ბესარაბიის ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ რუმინელების მიერ. პროტესტში შემდეგ აღნიშნულია. რომ ბესარაბიელ ემიგრანტთა ასოციაცია სავსებით ლეგალური ორგანიზაციაა და ყოველთვის აშკარად იბრძოდა ბესარაბიის რუმინეთთან ძალით შეერთების წინააღმდეგ და იმ ტერორისა და ძალმომრეობის რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლიც გახდა ბესარაბიის მოსახლეობა. (ადს).

მენშევიკების ლიტონი სიტყვები

ბერლინი, 13 სექტემბერი. 12 სექტემბერს ბრიუსელში შესდგა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის პლენარული სხდომა. მთელ რიგ საკითხების განხილვისა და ამ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ პლენუმმა მოისმინა მოხსენება განიარაღების კომისიის მოღვაწეობის შესახებ. ეს კომისია დანიშნული იყო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ. მოხსენების გამო ერთხმად მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია:

„იღებს რა ცნობად განიარაღების კომისიის მოხსენებას, ინტერნაციონალი იმედოვნებს, რომ მის მომხრე პარტიათა წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ერთა ლიგის მუშაობაში, იხელმძღვანელებენ იმ პრინციპებით, რომლებიც გამოთქმულია განიარაღების კომისიის მოხსენებაში. ინტერნაციონალი აგრეთვე იმედოვნებს, რომ მუშათა პარტიები მძლავრ დახმარებას აღმოუჩენენ ინტერნაციონალის მიერ საერთაშორისო განიარაღებისათვის წარმოებულ კამპანიას.

აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს ინტერნაციონალის ყველა სექციებს ჩაატარონ ოქტომბრის მეორე ნახევარში განიარაღების პროპაგანდის კამპანია. **კამპანიის ამოცანაა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე ისეთი გავლენა, რომ მან მოსთხოვოს მთავრობებს გადამჭრელ ღონისძიებათა მიღება განიარაღებისათვის და აიძულოს ისინი მიიღონ ერთა ლიგის მიერ უარყოფილ ჟენევის ოქმის პრინციპები".** (ადს).

ამხ. ბერზინის გამომგზავრება

ვენა, 13 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვენაში ამხ. **ბერზინი** 12 სექტემბერს გაემგზავრა მოსკოვში.

ბერზინის გამომგზავრებას სადგურზე დაესწრენ საკავშირო კანცლერის კანცელიარიის წარმომადგენლები, ოსმალეთის ელჩი საელჩოს მთელი შემადგენლობით და ვენის საბჭოთა კოლონია მთლიანად. პოლონეთის ელჩს მატარებელმა გაასწრო ნახევარი წუთით.

ახალი ლოკაუტი

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ჩიკაგოს ყველა 350 კინომ შეაჩერა მუშაობა კინო-მექანიკოსების ლოკაუტის გამო. **ლოკაუტის გამო დაზარალდა 25.000 მუსიკე**, ბილეთის გამყიდავი, მოლარე, დამლაგებელი და კინო-თეატრების სხვა მუშაკები. (ადს).

თავდასხმა მინისტრზე

ვენა, 13 სექტემბერი. სამხრეთ-სლავიის ვაჭრობის მინისტრ სპაჰოზე მოახდინეს თავდასხმა. სპაჰო არის დემოკრატიული კავშირის მუსულმანური ჯგუფის ბელადი. მას ოთხჯერ ესროლეს სარაევოში არჩევნების წინ გამართულ კრებაზე. მინისტრი გადარჩა. თავდასხმასთან დაკავშირებით, დააპატიმრეს პოლიციის ორი მოხელე, ფინანსთა სამინისტროს ორი თანამშრომელი და ორი კომუნალური დაწესებულების მოსამსახურე; ყველა სერბულ-მუსულმანური ფაშისტური ორგანიზაციის წევრებია.

ობერის ლიგა

ესტონეთში

რეველი, 13 სექტემბერი. გაზეთ „პაევალეხი"-ს ცნობით. ესტონეთში არსდება „მესამე ინტერნაციონალთან საერთაშორისო ბრძოლის ლიგის" განყოფილება (ამ ლიგას უწოდებენ აგრეთვე მისი დამაარსებელის ვექილ ობერის სახელს, რომელიც იცავდა ვოროვსკის მკვლელს კონრადის). (ადს).

პოლონეთ-ლიტვის

საზღვარზე

კოვნო, 13 სექტემბერი. „რიტას"-ის ცნობით, **პოლონელმა ჯარისკაცებმა 11 სექტემბერს სროლა აუტეხეს ლიტვის სანაპირო პოლიციას ვილკომირის უბანზე.** (ადს).

სტიქიური უბედურება

ტოკიო, 13 სექტემბერი. დიდმა ტალღამ, **რომლის სიმაღლე უდრიდა 10 ფუტს, წალეკა კიძიმაცის რაიონი კუმამოტოს პრეფექტურაში. დანგრეულია რამდენიმე ასეული სახლი, მოკლულია და დაჭრილი 150 კაცი, ბევრი უკვალოდ დაიკარგა. ტალღამ წალეკა აგრეთვე სოფელი ნაკაძიმა, კიძიმაცის ახლოს, სადაც სრულიად დაინგრა სახლების უმეტესობა და დაიღუპა 100 კაცი (ადს).**

ამხ. კაზარინოვის მოგზაურობა

ტოკიო, 13 სექტემბერი. სააგენტო სიმბუნ რენგო იუწყება, რომ კაზარინოვი, რომელმაც მოიგო ქვეყნის გარშემო მოგზაურობა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ლატარიაში, ცურუგიდან გაემგზავრა ვლადივოსტოკში. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ინგლისის ჯაშუშების პროცესი

ლენინგრადი, 14 სექტემბ. ინგლისის ჯაშუშების დამცველებმა პროცესზე, ს. ს. რ. კ. ცაკის პრეზიდიუმს გაუგზავნეს დეპეშა თხოვნით შეაჩეროს განაჩენის სისრულეში მოყვანა პატიებაზე შუამდგომლობის აღძვრამდე (ადს).

ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციის ისტორია

მოსკოვი, 14 სექტემბერი. ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციისა და წითელი გვარდიის ისტორიის შემდგენელმა ბიურომ მიმართა მოწოდებით—1917 წლის წითელ გვარდიაში ყველა მონაწილეთ, იმპერიალისტურ არმიის ჯარისკაცებსა და სამხედრო-რევოლიუციონურ ორგანიზაციების მონაწილეთ.

მოწოდებაში ნათქვამია—ადგილობრივ პარტიების ირგვლივ შექმნან საგანგებო კომისიები, ჯგუფები და სექციები და დაუყოვნებლივ დაიწყონ მასალების შეგროვება, დღიურების, ცოცხალ მონაწილეთა მოგონებების, წითელი გვარდიის მუშაობის მოწმეთა და რევოლიუციონურ ჯარისკაცების კავშირის. აარჩიონ საგაზეთო და საპროკლამაციო მასალა, პროექტები, წესდებანი, და წითელი არმიის მტრებისა და მეგობრების სხვადასხვა დოკუმენტები. შეაგროვონ აგრეთვე წერილები, რომელთაც სამშობლოში გზავნიდენ წითელი არმიის წევრები. (ადს).

თავდაცვა - ავიაქიმის წევრების სამხედრო ლაშქრობა

პეტროზავოდსკი, 14 სექტემბ. დაიწყო თავდაცვა - ავიაქიმის წევრების სამხედრო ლაშქრობა, რომელშიაც 1.500 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ქალაქის მახლობლად რამდენიმე ადგილას გაიმართა სანიმუშო ბრძოლა წითელი არმიის ნაწილების მონაწილეობით (ადს).

შრომის დაცვა ნავთის მრეწველობაში

მოსკოვი, 14 სექტემბ. მემალაროეთა ცეკამ საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატს მიმართა თხოვნით, რომ მომავალ წელში მიღებულ იქნას ღონისძიებანი შრომის დაცვისათვის სამთამადნო მრეწველობაში. ცეკა აღნიშნავს, რომ აუცილებელია ბაქოში მოწვეულ იქნას საკავშირო ყრილობა ნავთის მრეწველობაში შრომის დაცვის საკითხების განსახილველად (ადს).

დახმარება გალიციის მშრომელთ

ხარკოვი, 14 სექტემბერი. უკრაინის სახკომსაბჭომ, მოისმინა რა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. სერბიჩენკოს მოხსენება უბედურების შესახებ, რომელიც წყალდიდობამ მიაყენა გალიციის მუშებსა და გლეხებს, დაადგინა დახმარების სახით გადასცეს დაზარალებულ გალიციის მოსახლეობას 50.000 მანეთი.

ამხ. სტარკის გამგზავრება

ტაშკენტი, 14 სექტემბერი. ჰაეროპლანით ქობულეთში გაფრინდა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავღანისტანში ამხ. სტარკი. (ადს).

მოპატიჟება ოქტომბრის დღესასწაულზე

მოსკოვი, 14 სექტემბერი. მიწა-ტყის მუშათა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა წინადადებით მიმართა დასავლეთ ევროპისა და კანადის სასოფლო-სამეურნეო კავშირებსა და ტყის მუშებს, სპეციალური დელეგაცია გამოგზავნონ ოქტომბრის დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში. (ადს).

ოქტომბრის დღესასწაულისათვის

მოსკოვი, 14 სექტემბერი. საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა ოქტომბრის რევოლიუციისადმი მიძღვნილ გამოფენებში, რომელიც მოეწყობა ბერლინში, პარიზში, ნიუ-იორკში და ვენაში. (ადს).

შაქრის ჩამოტანა ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 14 სექტემბერი. შაქრის ტრესტი სექტემბერში ამიერ-კავკასიაში შემოიტანს 60 ვაგონ შაქარს. გარდა ამისა, გზაშია წინედ გამოგზავნილი 280 ვაგონი შაქარი. (ადს).

ნავთის სარეკორდო გაზიდვა

მოსკოვი, 14 სექტემ. ნავთის სინდიკატის ახლო აღმოსავლეთის კანტორა აღნიშნავს ნავთის პროდუქტების სარეკორდო ექსპორტს აგვისტოში. აგვისტოში გაზიდულია 145,928 ტონა, მაშინ როდესაც ივლისში გაზიდული იყო 116,441 ტონა. მოთხოვნილება განსაკუთრებით გაიზარდა ბენზინზე და საცხებ ზეთებზე. ინგლისში და მის კოლონიებში (ეგვიპტე, ინდოეთი) გაზიდულია 46.300 ტონა, ინგლისის ნავთის პროდუქტების შეზიდვას უმთავრესად აწარმოებდენ ფირმა „ლიუბრიკეტინგ მედვეიოილ" და „ვაჭრობისა და ნაოსნობის რუსეთის საზოგადოება" („როპპ"). პირველად ამ უკანასკნელ 12 წელიწადში ინდოეთში გაზიდულია 8.000 ტონა საბჭოთა ნავთი. (უკანასკნელ ექსპორტს ადგილი ჰქონდა 1915 წ.).

უცხოეთის ბაზარზე მოთხოვნილების ზრდის გამო აზნავთი ღებულობს მთელ რიგ ზომებს ნავთის პროდუქტების მეტი რაოდენობის მისაღებად (ადს).

მიწისძვრა უკრაინაში და ყირიმში

ყირიმის სამხრეთ ნაპირზე

სიმფეროპოლი, 14 სექტემბერი. მიღებულია დაწვრილებითი ცნობები მიწისძვრის შესახებ ყირიმის სამხრეთ ნაპირზე.

12 სექტემბრის დილის 1 საათამდე იალტაში აღრიცხული იქნა 358 დაჭრილი, აქედან 38 მძიმეთაა დაჭრილი; მოკლულია 15 კაცი. დანგრეულია მრავალი შენობა, მათ შორის სასტუმრო „ჯალიტა", 1 მაისის კლუბი, ინჟინერების და ტეხნიკოსების დასასვენებელი სახლი და სხვ. ლივადიის დიდი სასახლის კედლები გასკდა. ყოფილ ჰოფმარშალის სასახლეში ჩამოინგრა კედელი. ყოფილ ყაზახების კაზარმაში დაჭრილია ორი. ავათმყოფმა-გლეხებმა მხოლოდ შიში განიცადეს, ძერჟინსკის სახელობის სანატორიუმში დაინგრა ერთ-ერთი კორპუსი. მსხვერპლი არ არის. დაინგრა „მერცხლის ბუდის" კოშკი. დიდი ზარალი არ მოსვლია სანატორიებს „მთის მზეს", „მარატს", „ხარაქს", მისხორის აგარაკებს და ს. მ. უ. საბჭოს დასასვენებელ სახლს. სანატორიუმში „წითელი დროშა", სადაც მოთავსებულია გერმანელი მუშები, საგრძნობლად დაზიანდა ზედა სართულები. მუშები უვნებლათ გადარჩენ. კორეიზში დანგრეულია საავათმყოფო და ეკლესია; არის მძიმედ დაჭრილები.

მიღებულია სასწრაფო ზომები მიწისძვრის შედეგების და ზარალის გამოსარკვევათ. (ადს).

სიმფეროპოლში და ევპატორიაში

სიმფეროპოლი, 14 სექტემბერი. 12 სექტემბერს, საღამოს და 13-ს ღამე სიმფეროპოლში განმეორდა უმნიშვნელო ბიძგები. მოსახლეობის ნაწილმა ღამე ქუჩაში გაატარა.

ევპატორიიდან იუწყებიან, რომ პანიკა იქ საბოლოოთ შენელდა, (ადს).

კიევში

კიევი, 14 სექტემბერი. 13 სექტემბერს, საღამოს, კიევში შემჩნეული იყო მიწის-ძვრა ბიძგები. განსაკუთრებით ძლიერი ბიძგები შემჩნეულია ქალაქის ზედა-ნაწილში. ზოგიერთ შენობის კედლები დასკდა.

კიევის ოლქის სოფლებიდან იტყობინებიან, რომ შემჩნეულია მიწისძვრა ბიძგები, დამახასიათებელია, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა მშვიდათ შეხვდა მიწისძვრას. მხოლოდ ზოგიერთ შორეულ ყრუ სოფლებში დაიწყეს ლაპარაკი „ქვეყნის დაქცევის" შესახებ. (ადს).

დნეპროპეტროვსკში

დნეპროპეტროვსკი, 14 სექტემბერი. 13 სექტემბერს ქალაქში შემჩნეულია მოკლე მიწისძვრა ბიძგები. ასეთივე ცნობები მოდიოდა ოლქის სხვადასხვა რაიონებიდან. (ადს).

სამხრეთ რკინის გზებზე

მოსკოვი, 14 სექტემბერს მიწისძვრასთან დაკავშირებით, სამხრეთ რკინის გზებს მოაწყდა ყირიმიდან აყარებული ხალხი. გზათა სახალხო კომისარიატმა დანიშნა დამატებითი მატარებლები. (ადს).

დაწვრილებითი ცნობები

მოსკოვი, 14 სექტემბერი. უმნიშვნელოდ დაზარალდა ალუპკა, ჩამოინგრა მეჩეთის კედელი. მთლად დაინგრა მიზოზას აგარაკი, ძალიან დაზიანდა ვორონცოვის განთქმული სასახლე. თათრულ ნაწილში დაინგრა მრავალი სახლი. მსხვერპლი არ არის. მოსახლეობა უსახლკაროდაა. 13 სექტემბერს მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ძლიერი ბიძგები, რომლებიც წინა ღამის ბიძგებზე უფრო სუსტი იყო. 13 სექტემბრის ბიძგებმა გამოიწვიეს ახალი ნგრევა. სიმეიზი უმნიშვნელოდ დაზიანდა. მსხვერპლი არ არის. კორეიზის საავადმყოფოში ჩამოინგრა კედელი, რომელმაც დაიტანა მოანგარიშე და ექიმი იულია საფონოვა. ავადმყოფები ცის ქვეშ არიან. საავადმყოფოს დარბაზები იმდენადაა დაზიანებული, რომ შეუძლებელია მათი გამოყენება. დასასვენებელ სახლებში ზოგნი ხტებოდენ ზემო სართულის ფანჯრებიდან. ორი სასიკვდილოთ დაშავდა (ადს).

სევასტოპოლში

სევასტოპოლი, 14 სექტემბერი. დღეს დილის 4 ს. და ათ წ. განმეორდა სუსტი ბიძგები. მოსახლეობა მიეჩვია მათ. მოსახლეობა ძალიან შეაშინა გავრცელებულმა ხმამ კონცხ ლესულთან ვულკანის ამოხეთქვის შესახებ. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ მიწიდან ამოსულა ანთებული ნახშირწყალბადი. წამსვლელთა რიცხვი მაინც დიდია. კარგად არის დაყენებული დაცვის საქმე (ადს).

აი-პეტრიზე

იალტა, 14 სექტემბერი. აი-პეტრის საცდელ სადგურის გამგემ პროფ. ლევანდოვსკიმ განაცხადა, რომ სადგური მიწის ძვრის გამო თითქმის სრულებით არ დაზიანებულა. ჩამოინგრა აი-პეტრის ეგრედწოდებული „რქები". (ადს).

მებამბეობის კოოპერაციის მუშაობა

მოსკოვი, 14 სექტემბერი. სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის ყრილობათა საბჭოს ნედლეულის სექციაში მოსმენილ იქნა ამხ. ზატეიშჩიკოვის მოხსენება მებამბეობის კოოპერაციის მუშაობისა და მისი როლის შესახებ მებამბეობის საქმეში.

„მებამბეობის საკავშირო მასშტაბით გეგმიანი განვითარებისათვის, — ამბობს მომხსენებელი, — საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებანი: ბამბის სათესი მოედნის გადიდება, ბამბის მეურნეობაში ღარიბ და საშუალო გლეხების მთელი მასის ჩაბმა, მათთვის კრედიტების გეგმაშეწონილად მიწოდება და მებამბეობისათვის აგროდახმარების გაწევა. ამ ამოცანების სავსებით შესრულება მხოლოდ მებამბეობის კოოპერაციას შეუძლია. მაგრამ, უკანასკნელ დრომდე კოოპერაციამ ვერ შესძლო ამ დარგში თავისი მოღვაწეობის ფართოდ განვითარება, რადგან მას მხოლოდ დამზადების ფუნქციები ეკისრებოდა. მიმდინარე წელს 641 კოოპერატივიდან 156 გადავიდა საკონტრაგენტო მუშაობაზე ნედლი ბამბის დასამზადებლად. შარშან ნედლი ბამბის დამზადებაში კოოპერაციის მონაწილეობა 11 პროც უდრიდა, წელს კი ის უკვე 40 პროც შეადგენს. მაგრამ მებამბეობის კოოპერაცია მარტო დამამზადებელი პუნქტების მუშაობით ვერ დაკმაყოფილდება, — მან ხელი უნდა მოჰკიდოს ყველა საწარმოო პროცესებს, დაწყებული თესვის ორგანიზაციით და გათავებული ბამბის გადამუშავებით. ყველა ეს ამოცანები საუცხოვოდ შესრულა მებამბეობის კოოპერაციამ ფერგანში".

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა მებამბეობის კოოპერაციის მიღწევები უზბეკისტანში, კაზაკსტანში და აზერბეიჯანში და დასასრულ განაცხადა, რომ მებამბეობის კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა კოოპერაციისათვის ავანსების გაცემის სისტემა შეცვლილი იქნეს მიზნობრივი სესხის გაცემის სისტემით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

მანუფაქტურა ა.-კ. მებამბეობის რაიონებისათვის

მოსკოვი, 14 სექტემბ. მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა რ. ს. ფ. ს. რ. ვაჭრობის სახ: კომისარიატს მიმართა წერილით, რომელიც შეეხება მანუფაქტურის მიწოდებას ამ. - კავკასიის მებამბეობის რაიონებისათვის. მებამბეობის მთავარი კომიტეტი აღნიშნავს, რომ იმ მარაგის გარდა, რომელიც არის ამ.კავკ. ფარგლებში, მებამბეთათვის მანუფაქტურის მისაწოდებლად საჭირო იქნება კიდევ 6 მილ. მეტრი, რომელიც უნდა განაწილდეს 1927—28 წელში. ცალკე რაიონების მიხედვით მიმდინარე წელში შემოსატანი მანუფაქტურა ამგვარად ნაწილდება: აზერბეიჯანს — 4.700.000 მეტრი, სომხეთს — 800.000 მეტრი, საქართველოს— 450.000 მეტრი.

სომეხ კონტრ-რევოლიუციონერების შესახებ

ერევანი, 14 სექტემბ. „ხორურდაინ ჰაისტანი" მოწინავეში, რომელსაც სათაურად აქვს „სომეხ კონტრ - რევოლიუციონერების ერთიანი ფრონტი", შემდეგ სწერს:

საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების გამო, საზღვარგარედ ამოძრავდენ ყველა კონტრ - რევოლიუციონერები, მათ შორის დაშნაკელებიც, რომელნიც ქადაგებენ „სრულიად სომხეთის ერთიანი ფრონტისა და ცენტრის" შექმნის აუცილებლობაზე ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად.

ჩვენ, არასოდეს არ ვმალავდით, რომ საგაჭრო ბურჟუაზიისა და „რამკავარის" კლერიკალების პარტია, მიუხედავად მეგობრული ურთიერთობისა საბჭოთა სომხეთთან, ისეთივე მტრები არიან ჩვენი, როგორც დაშნაკელები.

ეგვიპტის „რამკავარმა", როგორც სჩანს, თანხმობა განაცხადა „ერთიანი ფრონტის" შექმნაზე. ამგვარად, რამკავარელებმა მოიხადეს ნიღაბი და დადგენ ანტი-საბჭოთა ფრონტზე. დეე, ამან ერთხელ კიდევ დაარწმუნოს უცხოეთში მყოფი სომხეთის მშრომელნი, რომ არც დაშნაკელები და არც რამკავარელები არ იცავენ მათ ინტერესებს.

ამავე დროს, ეს ერთიანი ფრონტი ვერ იხსნის საერთაშორისო კაპიტალს და მის სომეხ ლაქიებს აუცილებელ დაღუპვისაგან".

პარტიული ცხოვრება

ტფილისის ორგანიზაცია ოპოზიციის გამთიშველ მუშაობის შესახებ

(საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კ. პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავების შედეგები)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტ. საკონტრ. კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავება დაიწყო 31 აგვისტოდან და დამთავრდა 10 სექტემბერს.

გადაწყვეტილებათა დამუშავება ჩატარდა ორგანიზაციის 12 ჯგუფურ კრებაზე, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო 5,504 კომუნისტმა, ე. ი. ორგანიზაციის 59,5 პროც.

ორგანიზაციის არსებული შემადგენლობის მიხედვით, კრებებზე დასწრების პროცენტი დაახლოებით უდრის 80—85 პროც., ვინაიდან ზოგიერთ ამხანაგს კრებებზე დასწრების საშუალება არ ჰქონდა შვებულების ან სხვა მიზეზების გამო.

მოხსენებებს პლენუმის შედეგების შესახებ კრებები დიდის ყურადღებით ისმენდენ. კამათში მონაწილეობის მისაღებად ჩაეწერა 138 კაცი, მაგრამ სიტყვა წარმოსთქვა 86 კაცმა, ვინაიდან სხდომები გრძელდებოდა შუაღამემდე და კრება იღებდა გადაწყვეტილებას კამათის შეწყვეტის შესახებ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ოპოზიციის მუშაობა ამჟამად, როცა საჭიროა პარტიის უფრო დარაზმული მუშაობა,—ვინაიდან ჩვენ გვეღის ამის საფრთხე,—ზიანს აყენებს პარტიის რიგების სიმტკიცეს.

ოპოზიცია ჩვენში შესდგება „ნაწყენებისაგან". ის, ვინც წინედ იყო დირექტორი, დიდი გამგე, და შემდეგ მოხსნეს თანამდებობიდან რაიმე დანაშაულის გამო, ეხლა—ოპოზიციონერია", ამბობდენ მუშები არსენალის რაიონში გამართულ კრებაზე.

ლენინის რაიონის ჯგუფურ კრებაზე გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ოპოზიციონერები სჩადიან ყოვლად დაუშვებელ საქციელს—ისინი აგროვებენ „თანამგრძნობლებს".

კრებებმა კმაყოფილებით აღნიშნეს პლენუმის გადაწყვეტილებანი ამხ. ტროცკის, ზინოვიევის და სხ. შესახებ და აგრეთვე პლენუმის უკანასკნელი გაფრთხილება ფრაქციული მუშაობის შეწყვეტის შესახებ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს იმ ხაზის დიდი შეცდომა, რომელსაც ოპოზიცია იცავს ჩინეთის საკითხში.

კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდენ მნიშვნელოვან მიღწევებს უმუშევ., სამუშაო ხელფასის და სხ. საკითხებში და აცხადებდენ, რომ არ შეეფერება სიმართლეს ოპოზიციის მტკიცება, თითქოს მუშებს არ ექცევა სათანადო ყურადღება.

„ჩვენს მთავარ სახელოსნოებში ხელფასი ყოველწლიურად მატულობს, ლაპარაკობს ლენინის რაიკომის ჯგუფურ კრებაზე მთავარი სახელოსნოების მუშა, უმუშევრობა მუშებს შორის თანდათანობით კლებულობს, ვითარდება მუშათა უბნების მშენებლობა, უმჯობესდება მუშების საბინაო პირობები".

„გლეხობის შესახებ, ოპოზიცია სცდება, აღნიშნავენ არსენალის კრებაზე, ოპოზიცია ისეთ ხაზს გვირჩევს, რომელიც მთლიანათ გააუქმებს მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს პრინციპებს. საჭიროა ოპოზიციონერები გაემგზავრონ სოფელში და ნახონ სწარმოებს თუ არა გლეხობის გაკულაკება. არაფერს ამის მსგავს სოფლად ადგილი არა აქვს".

ოპოზიციონერების გამოსვლებს სხვადასხვა კრებებზე პარტიული მასა მტრულად ხვდებოდა და ერთსულოვან, ნამდვილ ბოლშევიკურ წინააღმდეგობას უწევდა.

რეზოლიუციას, რომელიც იწონებდა საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტრო-კაციდან წინააღმდეგ მისცა ხმა 57 კაცმა.

პლენუმის დადგენილებათა დამუშავებამ გამოაშკარავა ის ფაქტი, რომ რაიონული ორგანიზაციები მტკიცეთ სდგანან ლენინურ პოზიციებზე, რომ ეს ორგანიზაციები მჭიდროთ დაკავშირებული თავიანთ ხელმძღვანელ ორგანოებთან და რომ ორგანიზაციას თავი მოაბეზრეს ოპოზიციონერებმა თავისი გამოსვლებით. პლენუმის დადგენილებათა დამუშავებამ ისიც გამოაშკარავა, რომ ორგანიზაციას სურს ნორმალური მუშაობა და პარტიის ლენინურ რიგების ურყევი მთლიანობის და რკინისებური სიმტკიცის დაცვა.

ა.ბ—ოვი.

ოპოზიცია გარიყულია

ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტის პლენუმზე ამხ. ტალახაძემ ვრცელი მოხსენება გააკეთა ცეკას და ცენ. საკ. კომ. გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ.

სამაზრო კომიტეტის პლენუმმა მოხსენების ირგვლივ მიიღო რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„სამაზრო კომიტეტის პლენუმი მთლიანად და სავსებით უერთდება პლენუმის ყველა დადგენილებებს, რომელნიც სახავენ სწორ ლენინურ ხაზს როგორც საერთაშორისო, ისე საბჭოთა კავშირის საშინაო საკითხებში.

ოპოზიცია, რომელსაც არ გააჩნია არავითარი პერსპექტივა სოციალისტური აღმშენებლობის დარგში, რომელიც მხოლოდ უიმედობას სთესავს მშრომელ მასებში და არევ-დარევა შეაქვს პარტიის რიგებში, სასტიკად უნდა იქნას დასჯილი პარტიის მიერ.

პლენუმი აღნიშნავს, რომ ქართული უკლონისტური ოპოზიცია, რომელსაც პრინციპიალური კავშირი არა აქვს საკავშირო ოპოზიციასთან, როგორც ყოველთვის, ეხლაც აჰყვა საერთო ფეხის ხმას და ის აცხოველებს დეზორგანიზატორულ მუშაობას პარტიის რიგებში. პლენუმი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ, საკავშირო, ისე საქართველოს უკლონისტურ ოპოზიციის თითოროლა უპასუხისმგებლო პირების გამოსვლამ არ ჰპოვა გამოძახილი პარტიულ მასაში, ოპოზიცია გარიყული დარჩა პარტიისაგან. ის იძულებულია დაეყრდნოს ყველა უკმაყოფილო ელემენტებს, რომლებიც სხვადასხვა ანტიკომუნისტური გამოსვლების გამო, დასჯილი არიან ჩვენი პარტიის მიერ.

ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტის პლენუმი სთხოვს ცეკას, რათა მან მიიღოს გადამწყვეტი ზომები ოპოზიციონერების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან პარტიას ამ საპასუხისმგებლო დროს მშვიდობიან მუშაობაში და სამხედრო თავდაცვის გაძლიერებაში.

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის ბოლშევიკურ ერთსულოვნებას! გაუმარჯოს ლენინურ ცეკას და კომინტერნს.

ცეკას ხაზი სწორია

(ყოფ. ოპოზიციონერთა განცხადება)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარო კომიტეტის სამდივნოში შემოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) წევრის ამხ. ა. სტურუას შემდეგი განცხადება:

„კომუნისტურ პარტიაში შესვლის მომენტიდან მე საკმაოდ კარგად მესმოდა, თუ რამდენად საზიანოა პარტიისათვის ფრაქციული მუშაობა, როგორი ხასიაც არ უნდა იყოს ის. ამიტომ დღიდან პარტიაში წარმოშობილ უთანხმოებისა, მე არც ერთი ფრაქციული ჯგუფის მუშაობაში არ მიმიღია მონაწილეობა. და ამჟამად, როგორც ეს შეეფერის ისეთ პარტიის წევრს, როგორიც კომუნისტური პარტიაა, სადაც პირველ ყოვლისა დისციპლინა და რიგების მთლიანობაა,—მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ფრაქციული მუშაობისა.

მე არ ვიზიარებ ოპოზიციის პოლიტიკურ შეხედულებებს, მიმაჩნია ისინი შემცდარად და ვებრძვი მათ, რაც მტკიცდება ჩემი ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობით პარტიაში, მიუხედავად ამის, მე შევუერთდი „83"-ის განცხადებას მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ საჭიროდ ვსთვლიდი ფართოდ განეხილათ პარტიის წევრებს ის საკითხები, რომლებიც უთანხმოებას იწვევენ პარტიასა და ოპოზიციას შორის.

ამჟამად, როცა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და ც. ს. კ. ივლის-აგვისტოს პლენუმის სტენოგრამები ხელმისაწვდომია პარტიის წევრების ფართო წრეებისათვის და პარტიის წევრებს სრული შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ოპოზიციის შეხედულებებს, როცა გაერთიანებული პლენუმი ადასტურებს წესდებით გათვალისწინებულ და ყრილობების წინ ჩვეულებრივ მიღებულ წესს—თეზისებს პლატფორმების გამოქვეყნებას და სადისკუსიო ფურცლის გამოცემას, —ასეთ პირობებში ოპოზიციის მიერ თავისი ფრაქციული მუშაობის გაგრძელება და თავისი არალეგალური აპარატის საშუალებით ოპოზიციონური დოკუმენტების გავრცელება მიმაჩნია სრულიად დაუშვებლად და ლენინური პარტიის რიგებში დარჩენასთან შეუთავსებლად, ამიტომ ჩემ ხელმოწერას ვხსნი „83"-ის განცხადებიდან და მომავალშიაც ისე, როგორც წინად მთელი ჩემი ენერგიით გავატარებ პარტიის ხაზს". (ადს).

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მომავალი ომის სახე

IV

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მომავალ ომს განსაკუთრებულ ხასიათს აძლევს და განასხვავებს მას წინანდელ ომებისაგან. თანამედროვე ჯარი თავისი რთული ორგანიზაციით, მრავალი ტეხნიკური საშუალებით და მრავალი რიცხვოვნობით მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული და სავსებით დამოკიდებულია თავის ზურგთან. აურიცხველი სურსათ - სანოვაგე, სამხედრო და სატეხნიკო მასალა სჭირდება ამ ჯარს და ეს უამრავი მასალა და სანოვაგე უნდა მისდიოდეს განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ. მეომარ სახელმწიფოს შიგნით მთელი მრეწველობა სამხედრო მუშაობაზე დაყენებული აგრეთვე განუწყვეტლივ — შეუჩერებლივ უნდა ამზადებდეს ამ მასალას. თვითეული დაზგა ქარხანაში, რომელიც სამხედრო პროდუქციას ამზადებს, ისეთივე მნიშვნელობას ღებულობს, როგორც ფრონტზე კარგად მსროლელი ზარბაზანი. ომობს და იბრძვის არა მარტო ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველი, არამედ ყოველი დაზგა და ბორბალი ქარხანაში. მომავალ ომში, სადაც შეიარაღება და საბრძოლო საშუალებანი უფრო რთულნი იქნებიან და უფრო მეტს მარაგს მოითხოვენ სამხედრო მასალისას, ფრონტის და ზურგის დამოკიდებულება და თვით ზურგის მნიშვნელობა უფრო მეტად გაიზრდება. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ მომავალ ომში თუ იცვლება უწინდელ ომების ფრონტის ხასიათი, უფრო მეტად შეიცვლება წინანდელ ზურგის სახე.

სამხედრო ტეხნიკის აწინდელმა მიღწევებმა, მეტადრე ავიაციის და ქიმიის საშუალებათა განვითარებამ ძირითადი ცვლილება უნდა შეიტანოს მომავალ ომის „ფრონტის" და „ზურგის" ცნებაში, როგორც განცალკევებულ ორგანიზაციებში. ეხლა მტერი უშუალოდ ეხება და ემუქრება არა მარტო ფრონტს არამედ ზურგსაც.

თუ უწინდელ ომებში მებრძოლ ჯარის მთავარი და უახლოესი მიზანი იყო მოპირდაპირის ცოცხალ ძალის, ანუ მომქმედი ჯარის მოსპობა, მომავალ ომში შეიძლება ასეთ მიზნად რომელიმე მებრძოლმა მხარემ დაისახოს - დანგრევა - განადგურება მოპირდაპირის შორს ზურგში მდებარე სამრეწველო ცენტრისა, რადგანაც თანამედროვე სამხედრო ტეხნიკა ამის საშუალებას იძლევა. ცხადია თუ მოპირდაპირის ჯარს მოუსპე სასიცოცხლო ნერვი და გამოკვების საშუალება, მის ცოცხალ ძალას, ფრონტზე მყოფ ჯარს მეტად დიდ გასაჭირში ჩააყენებს და ყოველ შემთხვევაში სწორედ იმ იარაღს და უჩლუნგებ, რომლითაც ხასიათდება მომავალი ომი, ე. ი. ტეხნიკურ საშუალებებს და სამხედრო მანქანებს. — მომავალი სამხედრო მოქმედების სტრატეგია, თითქმის არსებითად უბრუნდება საშუალო საუკუნოების სტრატეგიას, როდესაც მებრძოლ ჯარების მთავარი მიზანი იყო იმდენად არა მოპირდაპირის ცოცხალი ძალა, ჯარი, არამედ უსულო საგნები, ციხეები და საზოგადოდ სამხედრო ბაზა, ქალაქები, სამრეწველო პოლიტიკური ცენტრები. მაშინ ეს აიხსნებოდა სწორედ სამხედრო ტეხნიკის განუვითარებლობით, ტრანსპორტის უქონლობით. მაშინ ჯარი პირდაპირ მიკერებული იყო თავის ბაზასთან და მთელი ცდა შემტევის და მომგერიებლის ასეთი ბაზის დაპყრობა -დაცვაში გამოიხატებოდა. ეხლა ტეხნიკის განვითარებამ საზოგადოდ და კერძოდ ტრანსპორტისამ კვლავ გააძლიერა უსულო საგნების მნიშვნელობა.

ი. გედევანიშვილი.

ჩვენი სამხედრო კუთხეები

დღეს-დღეობით საქართველოში არსებობს ორასამდე სამხედრო კუთხე. მეტ ნაწილად სამხედრო კუთხეების მუშაობას უწევენ ხელმძღვანელობას წითელი ჯარის ნაწილების ერთეულები, დაბინავებულნი დაბა-სოფლებში.

მიუხედავად სამხედრო კუთხეების ასეთი სიმრავლისა, მათი მუშაობა ბევრგან ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, სამხედრო კუთხე ჯერ არ არის გადაქცეული გლეხობის გასამხედროების ცენტრად. სამხედრო კუთხეებმა დღევანდლამდე ვერ ჩააბეს გლეხობის ფართე მასები თავის მუშაობაში და ვერ დარაზმეს ისინი სამხედრო საქმიანობის ირგვლივ.

დღევანდლამდე სამხედრო კუთხეები არ არიან ჩამოყალიბებული ორგანიზაციულად. ბევრს სამხედრო კუთხეს არ ეძლევა თანხები მუშაობის. საწარმოებლად, ხელსაწყოების შესაძენად და ლიტერატურის გამოსაწერად. თვით კუთხის გამგეებსაც არ ეძლევათ ჯამაგირი. ამის გამო სამხედრო კუთხის კარები გამოკეტილია მუდმივ, მუშაობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

დროა, რომ ამ არანორმალურ მდგომარეობას მიექცეს ყურადღება და სამხედრო კუთხეებს მიენიჭოს ის უფლებები, რომელიც მათ ეკუთვნით.

უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სამხედრო კუთხეების მუშაობის გაშინაარსებას. ეს მუშაობა უნდა იქნეს აგებული გლეხობის მოთხოვნილებისა და ინტერესებზე, რაც არ არის გატარებული ცხოვრებაში სამხედრო კუთხეების ხელმძღვანელთა მიერ. მუშაობა სამხედრო კუთხეებში ატარებს თეორიულ ხასიათს: საუბრები, მოხსენებები, გაზეთის ხმამაღალი კითხვა — აი რითი ამოიწურება ჩვენი სამხედრო კუთხეების მუშაობა. ეს არ არის საკმარისი. სამხედრო კუთხის მიზანია მოსახლეობის გასამხედროება და მისი მუშაობაც აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული. სამხედრო კუთხემ უნდა შეასწავლოს გლეხს კარგი სროლა, გააცნოს პრაქტიკულად თავდაცვის ხერხებს და საშუალებებს, რომ საჭირო დროს გლეხს შეეძლოს გადაარჩინოს თავისი თავი და მახლობლები მტრის ავიაციის თავდასხმისაგან, სამხედრო კუთხის დანიშნულებაა გააცნოს გლეხობას, თუ როგორი ხასიათი ექნება მომავალ ომს და რა როლი მიეკუთვნება გლეხობას და მის მეურნეობას ამ ომში. სამხედრო კუთხემ თავისი მუშაობით უნდა მიაღწიოს იმას, რომ ამა თუ იმ სოფლის გლეხობას ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა მომავალ ომზე, მის ხასიათზე, ავიაციის და ქიმიის გამოყენებაზე და ცოცხალ ძალის მნიშვნელობაზე. სამხედრო კუთხემ უნდა გაჰფანტოს ის ჭორები, რომლებიც არის გავრცელებული მომავალ ომის ირგვლივ სხვადასხვა უპასუხისმგებლო ელემენტების მიერ და უნდა შთააგონოს გლეხობას, რომ ომის მიერ გამოწვეულ უბედურების თავიდან აცილება შეიძლება, თუ მოსახლეობა იქნება წინასწარ სათანადოთ მომზადებული.

ე. ხუციშვილი.

ფიზკულტურის გასამხედროება

ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში სწრაფი ნაბიჯით იზრდება სასპორტო ორგანიზაციები, რომლებსაც ბურჟუაზია იყენებს, როგორც საშუალებას ახალგაზრდობის მილიტარიზაციისათვის, როგორც საშუალებას ჯარს გარეშე მომზადებისა და მისი მუშაობის განვითარებისათვის სამხედრო - სასპორტო ორგანიზაციის დარგში.

ბურჟუაზია არ კმაყოფილდება სპორტის გავრცელებით. იგი სცდილობს, რომ ეს სპორტი უშუალოდ დაუკავშიროს სამხედრო - პრაქტიკულ მუშაობას, როგორც მაგალითად სამხედრო - უტილიტარული სპორტის (სასროლო, მექანიკური, ავიო, ნადირობის და სხვ. წახალისება) და ამასთანავე სასპორტო ორგანიზაციების მონაწილეობა არმიის მანევრებში.

პროლეტარული სასპორტო ორგანიზაციების მუშაობა, თავის თავად ცხადია, უნდა გამოხატავდეს ჩვენს კლასობრივ თვალსაზრისს; ჩვენი მუშაობა უნდა განვავითაროთ კლასიური ორგანიზაციების შექმნის, პროლეტარული თავდაცვის ამოცანების განხორციელების მიმართულებით.

ამ ამოცანის მიხედვით ფიზკულტურის ორგანიზაციებს უნდა წაუყენოთ შემდეგი მოთხოვნილებანი:

ყველა წევრებში უნდა განავითარონ: გამბედაობა, სიმტკიცე, საზრიანობა, უნარი საკუთარი მოქმედების დამორჩილებისა კოლექტივის ინტერესისადმი, და საზოგადოდ ყველა ვარჯიშობანი, რომელნიც ხელს უწყობენ მებრძოლის აღზრდას.

ამისათვის ფიზიკური ვარჯიშობის ჩვენი პროგრამა უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ მან ხელი შეუწყოს ყველა ამ თვისებათა განვითარებას.

პირველმა შეჯიბრებამ ბასკეტბოლში, რომელიც ჩატარდა სრ. საქართველოს მასშტაბით, დაგვიმტკიცა, რომ თამაშობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დისციპლინის მხრივ თამაშობაზე მისვლას მწყობრად, რაზმების მეთაურების დანიშვნას და სხვ.

მომავალში ჩვენს სასპორტო დღესასწაულებს და შეჯიბრებებს უნდა ახასიათებდეს მეტი სამხედრო - აღმზრდელობითი ელემენტი.

ფიზიკური ვარჯიშობის საერთო სისტემაში უნდა იქნას შეტანილი აგრეთვე სამხედრო წყობა, ფოთის გამოყენების მეთოდების შესწავლა, რაიც პრაქტიკულად უკვე შემუშავებულია საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს გასამხედროების კომიტეტის მიერ.

სასპორტო ორგანიზაციებმა თავისი მუშაობა მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას, ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი სასროლო წრეების. თავდაცვა - ავიაქიმის რაზმების მოწყობას და სხვ.

ვ. კიკნაძე.

მორიგი გაწვევა

წინად და ეხლა

—შესრულდა ორი კვირა, რაც დაიწყო 1905 წ. დაბადებულთა გაწვევა წითელი ჯარის რიგებში. თოთხმეტი დღეა, რაც ჯანით და ღონით სავსე ახალგაზრდები მხიარული სიმღერით და სიცილით მიეშურებიან გასაწვევ პუნქტებისაკენ, რომ მოიხადონ ვალი მშრომელთა სახელმწიფოს წინაშე და გააძლიერონ აქ სახელმწიფოს დამცველი—წითელი არმია.

უეჭველია, ბევრს ახსოვს გაწვევა მეფის ჯარში; ტირილი, გოდება, ცრემლები, მთვრალი ახალგაზრდები; უფროსების გინება—აი წინანდელი გაწვევის სურათი.

ეხლა კი სულ სხვაა: სრული წესრიგი, შეგნებულათ გამოცხადება გაწვევაზე, სამაგალითო დისციპლინა და არც ერთი მთვრალი გასაწვევი ტირილის მაგივრად—მხიარული სიმღერა, ცეკვა-თამაში; სამიკიტნოს მაგივრად საუცხოვოდ მორთულ დასასვენებელი ოთახი და სამკითხველო.

— ამხანაგებო არ შეიძლება, რომ პირდაპირ ყაზარ. გამგზავნოთ, გასაშინჯი არაფერი მაქვს, როგორც დევი, ისეთი ვარ, ხშირად გაიგონებთ ასეთს სიტყვებს კომისიის სამუშაო ოთახში.

ბევრი ახალგაზრდა გამოსულა ნაწყენი ამ ოთახიდან, რადგან კომისიას ისინი უცვნია უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის.

„ზურგის ნაწილში"

ზოგიერთ ახალგაზრდებს, გამწვევი კომისია რიცხავს ზურგის ნაწილში.

რა არის ზურგის ნაწილი და ვის რიცხავენ მასში?

სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ ჯარში—საპატიო სამსახურია, წითელ ჯარში შესვლის და იარაღის ტარების უფლება ყველას როდი აქვს? მშრომელთა სახელმწიფოს დაცვა ევალება მხოლოდ მშრომელებს და საბჭოთა სახელმწიფო არა საიმედო ელემენტებს არ ანდობს იარაღს.

ის მოქალაქენი, რომლებიც საბჭოთა კონსტიტუციის ძალით მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებებს, ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი, ვაჭრები, მცხოვრებნი დაქირავებული შრომით—არ გამოდგებიან წითელ ჯარისათვის.

ამიტომ, გაწვევის დროს, კომისია ამ მოქალაქეებს რიცხავს ზურგის ნაწილებში, გაწვევის დროს ზურგის ნაწილებში ჩასარიცხავი მოქალაქეები არ სარგებლობენ არავითარი შეღავათით.

ზურგის ნაწილებში ჩარიცხულნი მშვიდობიან დროს იხდიან ბეგარას თანახმად სპეციალური კანონისა, ომის დროს კი მათგან შედგება განსაკუთრებული გუნდები ზურგისა და ფრონტის სამსახურისათვის.

ელ.

სამხედრო ქრონიკა

უმაღლესი წვევამდე მზადება უკრაინაში

უკრაინაში უმაღლეს წვევამდე მზადება ტარდება 34 უმაღლეს სასწავლებლებში. მიმდინარე წელს მზადება გაიარა 14.000 სტუდენტმა. (ამ რიცხვში 9 ათასი ვაჟია და 5 ათასი ქალი). მომავალ წელს მზადებაში ჩაბმულ იქნება 25 ათასი კაცი.

წითელი ფლოტი ეკრანზე

საბჭოთა კინოს ლენინგრადის ფაბრიკა შეუდგა სურათის „საბჭოთა კავშირის წითელი ფლოტის" გადაღებას. სურათი დამთავრებულ იქნება ოქტომბრის ათი წლის თავისათვის. სურათში ნაჩვენებ იქნება წითელი ფლოტის მნიშვნელობა, მისი ისტორია, ბრძოლები და მეზღვაურთა სწავლება.

გაწვევის დღიური

თბილისში 19-დან 28 სექტემბრამდე იწარმოებს მეათე სამილიციო უბანში მცხოვრებ ახალგაზრდობის გაწვევა წითელ ჯარში. გასაწვევი ახალგაზრდები ცხადდებიან მეორე დამატებით გამწვევ კომისიაში.

17-დან 21 სექტემბრამდე გაიწვევიან მეოთხე სამილიციო უბნის მცხოვრებნი, რომელნიც უნდა გამოცხადდენ ძირედ გამწვევ კომისიაში.

გაწვევა თბილისის მაზრაში

მანგლისის და პრიუტის თემებში ჯარში გაწვევა იწარმოებს 21 სექტემბერს. გამწვევი კომისია ამ დღეს იმუშავებს მანგლისში, თემალმასკომის შენობაში.

23-დან 26 სექტემბრამდე გაწვევა ჩატარდება წალკის რაიონში. გასაწვევნი უნდა გამოცხადდენ სოფ. ბეშტაშენში თრიალეთის თემალმასკომის შენობაში.

ჩემი მოგზაურობა ჩინეთში*)

VIII

საუბარი ევგენი ჩენთან

ჰანკოუში დიდებულათ მიგვიღეს. შრომის გენერალურმა საბჭომ, პროვინციულმა გომინდანმა, ცენტრალურმა გომინდანმა, გლეხთა კავშირებმა, სხვადასხვა პროფკავშირებმა და მრავალმა სხვა ორგანიზაციამ მასპინძლობა გაგვიმართეს რიგ-რიგობით.

8 აპრილს 50,000 მუშა მოვიდა ჩვენს მოსასალმებლათ, მათ გაიმეორეს იგივე სიტყვები საერთაშორისო სოლიდარობის შესახებ, რომელიც მრავალჯერ მოვისმინეთ სხვა ადგილას. მაგრამ ამ კრებების მთავარი მოტივი მაინც იყო ბრძოლა ჩან-კაი-შის წინააღმდეგ.

ჩვენ ვისარგებლეთ რევოლიუციის დედა-ქალაქში ყოფნით, რათა საქმის ვითარება გამოგვეკითხა მთავარი ბელადებისათვის.

უწინარეს ყოვლისა საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი ჩენს მივმართეთ. ეს პატარა ტანის, მოძრავი ადამიანია; ჭკვიანი თვალები აქვს. პირდაპირ მის სამინისტროში ვესტუმრეთ, რომელიც ინგლისურ საკონცესიო უბანშია მოთავსებული.

ჩენი ბრიტანულ კოლონიაში დაბადებულა, ხოლო აღზრდა ინგლისში მიუღია, ამიტომ საუცხოვოდ ლაპარაკობს ინგლისურ ენას. ტომ მანი დიდი სიამოვნებით უსმენდა მის საუბარს. იცის აგრეთვე ფრანგულიც. მაგრამ გასაკვირალი ის არის, რომ ჩინურათ ევგენი ჩენს მხოლოდ ორიოდე სიტყვა ესმის. ეს კი დიდი ნაკლია ადამიანისათვის, რომელსაც სურს თავისი სამშობლოს პოლიტიკაში მონაწილეობა მიიღოს. მემარცხენე ადამიანათ ითვლება; დიდი მოწინააღმდეგეა ჩან-კაი-შისა. მას საბუთი აქვს უკმაყოფილო იყოს მარშალისა, რომელმაც მთავრობის გაუფრთხილებლათ თავისი ელჩები გაგზავნა იაპონიასა და ამერიკაში.

ჩენმა მეტათ გულთბილათ მიგვიღო.

— შეგვიძლიათ თუ არა თქვენი საგარეო პოლიტიკის პრინციპები გაგვიმარტოთ?

— დიდი სიამოვნებით. ჩვენი მოძრაობის მიზანი ეროვნული განთავისუფლებაა. ესაა ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ე. ი. იმ კონტროლის წინააღმდეგ, რომელსაც უცხოელები აწარმოებენ ჩინეთში და რომელიც უთანასწორო ხელშეკრულებებზეა დაყრდნობილი, ჩვენი ფინანსიური წყაროები იმპერიალისტების ხელშია. საერთაშორისო კონსორციუმი კონტროლს უკეთებს საგარეო სესხს, მას შეუძლია კონტროლი გაუკეთოს აგრეთვე შინაურ სესხსაც. უთანასწორო ხელშეკრულებებს სამი მნიშვნელოვანი მხარე აქვს: ეკონომიური და ფინანსიური მხარე, რომელიც მოკლეთ უკვე გაგაცანით; ტერიტორიული მხარე, რომელიც უცხო სახელმწიფოებს შეძლებას აძლევს მნიშვნელოვანი კონცესიები მიიღონ, იურიდიული მხარე, რომელიც ჩინეთში დაბინავებულ უცხოელებს ექსტერიტორიალობის უფლებას ანიჭებს.

ნაციონალურ მთავრობას არ სურს დიპლომატიური კორპუსის მზრუნველობა სცნოს, ჩვენ გვინდა უცხო სახელმწიფოებს ველაპარაკოთ როგორც თანასწორი თანასწორს... ინგლისმა, საფრანგეთმა, იაპონიამ, ამერიკამ და იტალიამ საერთო ნოტა გამომიგზავნეს, მე უარი ვსთქვი ამ ნოტის მიღებაზე და თვითეულ სახელმწიფოს ვსთხოვე ის ცალ-ცალკე გადმოეცათ. უარი ვერ მითხრეს.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა უთანასწორო ხელშეკრულებათა გაბათილება და ახალ ხელშეკრულებათა დადება თანასწორობის საფუძველზე.

ამისდამიუხედავათ, ნაციონალური მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში ცდილობს კონფლიქტი აიცილოს უცხო სახელმწიფოებთან. ჩვენ გავურბივართ ინტერვენციას ჩვენს სამშობლოში,,

ინგლისი, ამერიკა, იაპონია

— როგორია თქვენი დამოკიდებულება დიდ ბრიტანეთთან?—ჰკითხა ტომ მანმა.

— აქ ძლიერი ანტიბრიტანული მოძრაობაა,—უფრო სწორი იქნება თუ ამ მოძრაობას ბრიტანეთის იმპერიალიზმის საწინააღმდეგო მოძრაობას ვუწოდებთ. თქვენი დელეგაციის უდიდესი ღირებულება იმაშია, რომ ის ჩინელ ხალხს დაანახვებს განსხვავებას უცხო ხალხებსა და იმპერიალისტებს შორის. მაგრამ მეორე მხრით განსხვავება უნდა დავინახოთ ნაციონალურ მთავრობასა და ნაციონალურ მოძრაობას შორისაც, ჩვენი მთავრობა მფარველობას უწევს უცხოელების სიცოცხლესა და ქონებას იმ ტერიტორიაზე, რომელიც მას ექვემდებარება, ეს მისი ფუნქციაა მაგრამ თუმცა ჩვენ ჰანკოუსა და კიუკიანგის ამბების გამო ისეთი ხელშეკრულება დავსდევით, რომელიც შეიძლებოდა საერთო შეთანხმების საფუძვლათ გამოდგარიყო, ინგლისის პოლიტიკა მაინც ართულებს ჩვენს ურთიერთობას: ინგლისმა ჯარი გადმოსხა შანხაიში, ზარბაზნები დაუშინა ნანკინს, ახლა კიდევ ცდილობს ამერიკა და იაპონია გადაიბიროს და სამხედრო ინტერვენცია მოახდინოს ჩინეთში, ჩვენ არ შეგვიძლია ხალხს დავუმალოთ, რომ ასეთი ფაქტების წინააღმდეგ თავისი გულისწყრომა გამოსთქვას.

— ამერიკასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— ნანკინის თავდასხმამდე ჩვენი ურთიერთობა საკმაოთ მეგობრული იყო, მაგრამ ამ ამბავმა დიდათ გაართულა მდგომარეობა. შეერთებულმა შტატებმაც თავისი მოქალაქეების ევაკუაცია მოახდინა ჩინეთში, მე პროტესტი განვაცხადე, ამ ფაქტის წინააღმდეგ. შეერთებულ შტატებში შიშობენ, რომ შეიძლება ბოქსერების აჯანყება განმეორდეს, ეს ფანტაზიაა: მანჯუს. დინასტიამ ბოქსერების აჯანყება გამოიყენა, რათა თავიდან აეცილებია ხალხის გულისწყრომა, რომელიც მისი უკუღმართი პოლიტიკით იყო გამოწვეული, თუ ამერიკელები ინგლისელების გზას გაჰყვენ, ჩვენი ურთიერთობა დიდათ გამწვავდება.

რაც შეეხება იაპონიას — ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით ის იძულებული გახდა შეეცვალა თავისი ადრინდელი ყოფა-ქცევა რომელიც ყველაზე მკაფიოთ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოაშკარავდა, როცა იაპონიამ ჩინეთს ოცდაერთი მოთხოვნილება წარუდგინა შესასრულებლათ. იაპონიის ალებ-მიცემობის 60—80 პროცენტი ჩინეთთან სწარმოებს, მაშინ. როცა ინგლისის საგარეო ვაჭრობაში ჩინეთს მხოლოდ 5 პროცენტი უჭირავს. ასეთ პირობებში იაპონია იძულებულია სერიოზულათ ჩაუფიქრდეს, თუ რა შედეგები მოჰყვება ტლანქ პოლიტიკას ჩინეთში. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ურთიერთობა გაუარესდა. თქვენ მოგეხსენებათ უკანასკნელი კვირა დღის შემთხვევა რომელსაც იაპონელი მოქალაქეების ევაკუაცია მოჰყვა.

ერთი ინციდენტი

კვირას, ნაშუადღევის 5 საათზე, ორმა იაპონელმა ჯარისკაცმა ორი რიკშა (ჩინური ტახტრევანის მატარებელი) დაიქირავა. ჯარისკაცები მთვრალები იყვნენ. როცა სანაპიროზე მივიდენ, თავიანთ ბანაკში, მათ აღარ მოისურვეს ქირის მიცემა. რიკშებმა, რასაკვირველია, ფული მოითხოვეს. ასტყდა ერთი აყალ-მაყალი. ერთმა ჯარისკაცთაგანმა მუცელში ხიშტი ჰკრა საბრალო რიკშას. შეიკრიბა ხალხი პროტესტის გამოსაცხადებლათ. მაშინვე იაპონურ გემზე ტყვიისმფრქვეველები მოიმარჯვეს და ხალხს ესროლეს ისე, რომ არ გაუფრთხილებიათ. ოთხი კაცი მოკლეს! ცხადი იყო, რომ იაპონელი მილიტარისტები პროვოკაციას ეწეოდენ. ეს პროვოკაცია შეეფერებოდა იაპონური მეზღვაურების სულიერ განწყობილებას. ამ გზით ცდილობდენ ინტერვენციის პოლიტიკაში ჩაეთრიათ იაპონიის მთავრობა. იაპონიის კონსულმა გემით გაისტუმრა იაპონელი მრეწველები და კომერსანტები. ამათ კი ჰანკოუში რამდენიმე ათასი მუშა ჰყავდათ დაქირავებული: ეს ხალხი დღეს ქუჩაში დარჩა. ამ გზით ჰანკოუში მთავრობის მტრებს უნდოდათ მისი ეკონომიური მდგომარეობა გაემწვავებიათ.

ეს ინცინდენტი იყო, რომელიც ევგენი ჩენმა გაიხსენა. მან განაგრძო:

— ეს ინცინდენტი ყველგან უბრალო საპოლიციო შემთხვევათ ჩაითვლებოდა, ჩვენში კი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბის ხასიათს ღებულობს. ამის და მიუხედავათ იმედი გვაქვს, რომ იაპონია კეთილგონიერებას გამოიჩენს და ამ შემთხვევას გამოიყენებს მოლაპარაკების დასაწყებათ.

საფრანგეთი

— როგორ ხართ საფრანგეთთან? შევეკითხე მე.

— ჩვენ გვინდა ყველა მთავარი საკითხები მოვაწესრიგოთ. ჩვენ ფრანგებს ვუსაყვედურებდით, რომ 23 ივნისს მონაწილეობა მიიღეს კანტონში მომხდარ ხოცვა-ჟლეტაში. დღეს დღეობით არავითარი დიდი აქტუალური საკითხი არ არსებობს. მხოლოდ საფრანგეთის შოვინისტური პრესის ყოფა-ქცევა გამაღიზიანებელია:

ეს პრესა ჩვენს წინააღმდეგ ქინძისთავის ჩხვლეტის პოლიტიკას აწარმოებს.

რაც შეეხება იტალიას, ის ამ საკითხში ინგლისს ემორჩილება. მას სურს სამხედრო გემები გამოგვიგზავნოს: ჩინელი ხალხი კეთილმობრძანებას უსურვებს, როგორც ეკადრებათ"!

ევგენი ჩენმა საუბარი შემდეგი სიტყვებით დააბოლოვა:

— ჩვენი მტერ-მოყვარენი იძულებულნი გახდებიან ანგარიში გაუწიონ ეროვნულ მთავრობას მიტომ, რომ ის ფაქტია. ისინი იძულებულნი გახდებიან პოლიტიკა შესცვალონ ჩინეთის მიმართ. შეუძლებელია ჩინელი ხალხი მუდამ ტყვიისმფრქვეველებით ვაიძულოთ, რომ ესა თუ ის საქონელი იყიდოს. ჩვენ არ ვსცნობთ არავითარ უთანასწორო ხელშეკრულობას. ჩვენ გვინდა ცნობილ ვიქმნათ თანასწორობის საფუძველზე.

შეუძლებელია, რომ კაცი არ დაეთანხმოს ჩინელი ხალხის ამ მოთხოვნილებას. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, საზღვაო დემონსტრაციის დროს, რომელშიც დიდი სახელმწიფოების 35 სამხედრო გემმა მიიღო მონაწილეობა, ჰანკოუს საგარეო საქმეთა მინისტრმა დაგვანახვა, რომ ის ისეთ ტაქტიკას ხმარობდა, რომელიც სრულიად არ გამოდგებოდა მის მიერ დასახულ მიზნების მისაღწევათ.

იაპონიის კონსულმა ნოტის წარდგენის დროს განაცხადა: „დაამშვიდეთ ცოტათი მუშათა და გლეხთა მოძრაობა და ჩვენ ნაკლებ სისასტიკეს გამოვიჩენთ". და საგარეო საქმეთა მინისტრის მოთხოვნილებით მართლაც, „დაამშვიდეს" მუშათა და გლეხთა მოძრაობა: მიიღეს ზომები, რათა შეეჩერებიათ გაფიცვები, რომელიც უცხოელი კაპიტალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული, შეზღუდეს პროფკავშირების მოქმედება, შეზღუდეს ხელფასის მომატების მოთხოვნილება. იმის მაგივრათ, რომ გაეღვივებიათ ეს ერთად-ერთი მოძრაობა, რომელსაც შეეძლო იმპერიალიზმი დაემარცხებია, გომინდანის წვრილბურჟუაზიულმა ხელმძღვანელებმა ამ უმნიშვნელოვანეს დარგში დაუთმეს იმპერიალისტების მუქარასა თუ „რჩევას".

ეს უეჭველი სისუსტის ნიშანი იყო, ამ ყოფაქცევის შედეგები დღეს შეგვიძლია დავაფასოთ გამოცდილებით.

შეხვედრა სუნ-ფოსთან

ჩვენ ვიმყოფებით სუნ-იატ-სენის შვილთან, სუნ-ფოსთან, რომელიც გზათა მინისტრათ და მთავრობისა და გომინდანის აქტიურ ხელმძღვანელათ ითვლება.

სუნ-იატ-სენის შვილი როდი არის თავისი მამის ურთგულესი მოწაფე. კარგა ხნის განმავლობაში ის აქტიურათ იბრძოდა გომინდანის უკიდურეს მემარჯვენე რიგებში. გათიშვის მომხრეც კი იყო. ბოლო დროს ცოტათი მარცხნივ გადაიხარა. ამ გარემოებამ დიდათ გააკვირა გომინდანთან ახლო მდგომი წრეები. რამ გამოიწვია ეს ევოლიუცია, მასების ზეგავლენამ თუ პირადმა გაბოროტებამ ჩან-კაი-შის წინააღმდეგ? პარტიაში ფიქრობენ, რომ ორივე მომენტმა.

რევოლიუციის უმთავრეს საკითხებში, აგრარულ და მუშათა საკითხში, სუნ-ფო არც დღეს იჩენს რადიკალიზმს. აგრარული საკითხის გარჩევის დროს განსაკუთრებით გამოაშკარავდა მისი კონსერვატიული თვალსაზრისი. ის არ ემხრობოდა მიწების განაწილებას, რასაც გლეხები მოითხოვენ როგორც ერთად ერთს საშუალებას, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუღოს მათ გაჭირვებას; სუნ-ფო მხოლოდ ზოგიერთი ტეხნიკური გაუმჯობესების შეტანაზე ოცნებობდა სოფლათ. ბოლოს ის დათანხმდა ამ მწვავე საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაწყებულიყო. რაც შეეხება თვით მიწის დანაწილებას, ეს მხოლოდ „პეკინის აღების შემდეგ უნდა მომხდარიყო". ერთი სიტყვით, ის ეწინააღმდეგებოდა აგრარულ რევოლიუციას.

სუნ ფო ჯმუხი, ენერგიული კაცია, ინგლისურს ლაპარაკობს; ამერიკაში ცხოვრებასა და უმაღლესი სწავლა-განათლების მიღებას მასზე თავისი ბეჭედი დაუსვამს. როგორც სჩანს, ამ ადამიანმა კარგათ იცის საით მიდის, მაგრამ მისი გზა განსხვავდება მემარცხენე გომინდანელების გზისაგან.

ჩვენ მაშინვე ჩვენი საუბრის უმთავრეს თემას მივუდექით:

— რამდენათ არიან შემოჭრილნი იმპერიალისტები ჩინეთის გზათა სისტემაში?

— ჩინეთის რკინის გზები თითქმის გამოუკლებლივ უცხოეთის კაპიტალების. განსაკუთრებით ინგლისის კაპიტალების კონტროლს ექვემდებარებიან. მათთვის ადვილია ამ კონტროლის გაწევა, ამისათვის საკმაოა სარკინიგზო კომპანიის დირექტორის და მოლარის დანიშვნა, ამას კი ისინი თითქმის ყველგან შვრებიან. პეკინ-ჰანკოუს ხაზი გამონაკლისს წარმოადგენს. ჩვენი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი კონტროლი დავაწესოთ რკინის გზებზე, ზოგიერთ ხაზზე, მაგალითად, კოოვლუ-კანტონის შტოზე ჩვენ ხელში ჩავიგდეთ გამგეობა, მაგრამ კაპიტალები ინგლისისაა. ჩვენ ახლა ვსცდილობთ რკინის გზებისთვის შერეული გამგეობანი შევადგინოთ, რომელშიც ერთი მთავრობის წარმომადგენელი შევა, ერთი ტეხნიკური პერსონალისა და ერთიც პროფკავშირისა, ეს მხოლოდ ცდაა, მაგრამ მან კარგი შედეგები მოგვცა.

ზღვის ნაოსნობა ჩინეთის ჩრდილო ნავთსადგურებიდან დაწყებული კანტონამდე უცხოელების, განსაკუთრებით ინგლისელების, იაპონელების; ამერიკელების ხელშია. მათ ხელშია აგრეთვე საბაჟოები, რომელსაც ისინი კარგათ იყენებენ. ისინი ხელს უწყობენ უცხოელების გემებს და ხელს უშლიან ჩინეთის ნაოსნობას. ამ დარგში ჩინელების თაოსნობა დახშობილია. იგივე მდგომარეობაა მდინარეებზე, რომელნიც ხელშეკრულობის ძალით გახსნილია უცხოელთა ნაოსნობისათვის, იანცე კიანგსა და სიკიანგზე. ზოგიერთი ჩინელი უცხო ბაირაღის გაშლის უფლებასაც ყიდულობს, რათა გაიადვილოს ნაოსნობაში მონაწილეობის მიღება. ჰონგ-კონგის გაფიცვამ და ანტიინგლისურმა ბოიკოტმა ინგლისური ბაირაღი გააქრეს კანტონის მდინარეზე. ესაა ნაციონალური მოძრაობის შედეგი.

უმავთულო ტელეგრაფი უკეთეს მდგომარეობაშია. ჩვენ ერთი სადგური კანტონში გვაქვს, ერთიც ჰანკოუში. ჩვენ ამ დარგში არავითარი ხელშეკრულობა არ დაგვიდვია უცხოელებთან, მაშასადამე არც საკამათო გვაქვს რაიმე. პეკინის მთავრობამ რამდენიმე უგუნური ხელშეკრულობა დასდო იაპონელებსა და ამერიკელებთან ხუთი სადგურის მოსაწყობათ, ეს უეჭველათ საკამათო საგნათ გადაიქცევა მომავალში.

ფოსტა წინათ საბაჟო უწყებას ეკუთვნოდა, უცხო სახელმწიფოებმაც შექმნეს საკუთარი ფოსტები. შემდეგ გადაწყდა მათი გაუქმება იმ პირობით, რომ ჩინურ ფოსტაში უცხოელების ადმინისტრაცია იქნებოდა. ეს მეტათ უხერხულ მდგომარეობას ჰქმნის პოლიტიკურათ, იმიტომ, რომ სახელმწიფოს საქმეები მათ ხელში გადის. გარდა ამისა, ეს აპარატი მეტის მეტათ ძვირათ ჯდება: უცხოელი ადმინისტრატორები მილიონებს ნთქავენ საზღვარგარეთელი პროდუქტების შესაძენათ, რომელიც ჩინეთში უფრო იაფათ იშოვება.

ჩვენ გვინდა უცხოელი ტეხნიკოსების გამოყენება მაგრამ ფოსტის კონტროლი ჩვენს ხელში უნდა იყოს, სამ თვეში ფოსტის სათავეში ჩინელებს ჩავაყენებთ".

— ეს, რასაკვირველია, ბუნებრივია; მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს როგორია ნაციონალური მთავრობის გეგმები ამ საკითხებში?

—ჩვენი მიზანია სრული კონტროლის ხელში ჩაგდება რკინის გზებზე. პრინციპიალურათ ჩვენ ვსცნობთ საამორტიზაციო ვალს, მაგრამ დღეს დღეობით არ შეგვიძლია მისი გადახდა. ფინანსიური მდგომარეობა ხელს გვიშლის. ნაოსნობის ხელში ჩაგდება უფრო ძნელია, მიტომ, რომ ჩინეთის ნაოსნობა ძლიერ ჩამორჩენილია. მისვლა-მოსვლის საშუალებათა განსავითარებლათ საჭიროა თაოსნობის გაღვიძება ჩინელებში და ფინანსების რეორგანიზაცია. გაერთიანებულ, ცენტრალიზაცია ქმნილ ჩინეთს თავისი საკუთარი საბიუჯეტო სახსრით შეუძლია 3,600 კილომეტრი რკინის გზის აშენება ყოველწლიურათ. ხოლო უცხო კაპიტალების დახმარებით (რომელსაც ჩვენ მივიღებთ პოლიტიკურ ზედამხედველობის გარეშე) ეს ტემპი კიდევ ჩქარი იქნება. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანი დღეს ჩინეთის გაერთიანებაა".

ეს სურათი უცხოელთა ბატონობისა, რომელიც სუნ-ფომ დაგვიხატა, განსაკუთრებით ამჟღავნებს იმ ბოროტების სიმძაფრეს, რომელიც ამ ქვეყანას სტანჯავს და რომლის წინააღმდეგ ის გმირულ ბრძოლას აწარმოებს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ სუნ-ფო ნაციონალისტებს შორის ყველაზე ნაკლებ მტრულათ არის განწყობილი უცხოელებისადმი.

ჰსუშიენი

ჩვენ ვინახულეთ აგრეთვე გიორგი ჰსუშიენი, რომელიც იუსტიციის სამინისტროში გველოდა; ეს შენობაც საკონცესიო უბანშია მოთავსებული, წინათ ის თამბაქოს საზოგადოებას ეკუთვნოდა და მიტოვებულ იქმნა პატრონის მიერ რევოლიუციის შიშით.

ჰსუ-შიენი მეტათ მნიშვნელოვანი პიროვნებაა ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის იუსტიციის დირექტორი იყო პეკინში იმპერიის დროს, შემდეგ ქრისტიანული ახალგაზრდობის ასოციაციის თავმჯდომარე, შემდეგ ჩინეთის ტეხნიკური დელეგატი საზავო კონფერენციაზე, ბოლოს ფინ-იუსიანის მრჩეველი. სუნიატსენის სიცოცხლეში მის პირად მეგობრათ და მოწაფეთ ითვლებოდა.

ის ერთი ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელი პირთაგანია გომინდანში. ემხრობა კომუნისტებთან თანამშრომლობის იდეას. ის ამბობს: „კომუნისტებს, უფლება აქვთ ფრაქცია იყოლიონ გომინდანში, მიტომ, რომ ისინი ერთს კლასს წარმოადგენენ სამ კლასთა შორის, რომელთაგანაც გომინდანი შესდგება".

აგრარული რევოლიუცია მას აუცილებლათ მიაჩნია, მაგრამ მას არ უნდა, რომ ეს რევოლიუცია მუშათა კლასისა და ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით მოხდეს, მიტომ, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება მეტად შორს წავიდეს.

ის ამბობს: „მუშათა კლასი კომუნისტებს ეკუთვნის, გლეხკაცობა გომინდანს". ეს ნიშნავს აგრეთვე, რომ გომინდანის მეორე ფრთას ქალაქის წვრილი ბურჟუაზია უნდა ეკუთვნოდეს. ჰსუშიენი ფიქრობს, რომ თუ გლეხთა მოძრაობას გომინდ. უხელმძღვანელებს ის შესძლებს კიდეც მის შეზღუდვას, მაგრამ თვით ეს მოძრაობა ნაკლებ უწევს ანგარიშს ასეთ მოსაზრებებს. გლეხთა მასსებს უმთავრესათ კომუნისტები უწევდნენ ხელმძღვანელობას და აგრარულმა სტიქიონურმა მოძრაობამ ადვილათ გამოაცალა ნიადაგი ჰსუშიენის და მის მსგავს პოლიტიკოსების იდეებს.

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში იმდენათ ეს საკითხები არ გვაინტერესებდა, რამდენადაც ექსტერიტორიალობის საკითხი, ექსტერიტორიალობის უფლება, რომელიც უცხოელებს აქვთ მინიჭებული, ყველაზე სამარცხვინო პრივილეგიას წარმოადგენს ჩვენს დროში. ჩინეთში მობინადრე უცხოელების გასამართლება მხოლოდ მათ საკონსულოებს შეუძლიათ. ჩინეთის ხელისუფლებას არ შეუძლია სამარ- თვით ისეთი უცხოელი, რომელმაც ჩინეთის ტერიტორიაზე დანაშაული ჩაიდინა ჩინელის წინააღმდეგ. ადვილი გასაგებია, რომ ამ პრივილეგიიდან მრავალი უსამართლობა იბადება. კოლონიზატორებს ერთი პრინციპი აქვთ: ისინი თითქო არასოდეს არ არიან დამნაშავენი. ჩინელი მომჩივანი, როცა ის საზოგადოთ საჩივარის შეტანას ბედავს, იშვიათად მოიგებს საქმეს წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. როცა დანაშაული ჩინელმა ჩაიდინა, კონსული დასჯას მოითხოვს და ადვილადაც აღწევს მიზანს იმ ხელშეკრულებათა ძალით, რომელიც იმპერიალისტების სამხედრო აპარატის უშუალო ზეგავლენითაა შედგენილი.

— დიახ, გვითხრა ჰსუშიენმა, ჩვენ გვინდა ექსტერიტორიალობის პრივილეგიები მოვსპოთ. ამისთვის კი საჭიროა უთანასწორო ხელშეკრულებათა გაბათილება. ნაციონალური მთავრობა აღარ სცნობს პრივილეგიას, რომელიც კონსულებს უფლებას აძლევს პროცესს დაესწროს. ჩვენ აქ საგანგებო სასამართლო დავაარსეთ იმ საქმეების გასარჩევათ, რომელნიც ჩინელებსა და უცხოელებს ეხებიან. ამერიკის კონსულმა უკვე მიიღო ეს ფორმულა. საზოგადოთ უცხოელები იძულებულნი არიან ანგარიში გაგვიწიონ. ერთი ინგლისური კომპანია, რომელმაც ჩინური ხომალდი ჩასძირა, იძულებული იყო ჩვენი სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო, მიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ნავიგაციის უფლებას წავართმევდით.

რას აკეთებთ სამართლის დარგში?

— თქვენ უკვე მნიშვნელოვანი კონცესიები დაიბრუნეთ. იმპერიალისტები იმით ამართლებდნენ ექსტერიტორიალურ უფლებებს, რომ ამბობდნენ, ჩინური სასამართლო მეტად ჩამორჩენილიაო. რას აკეთებთ თქვენ ამ დარგში?

— ახლავე მოგახსენებთ. ჩვენ გვინდა მოვსპოთ ყოველივე პრივილეგიები. ხდება აგრეთვე ჩინური სასამართლოს რეორგანიზაცია. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ამ მხრივ ბევრი რამ გავაკეთეთ. მაგრამ კიდევ ბევრი რამ არის გასასწორებელი. საჭიროა კანონების მიღება, რომელიც უფრო შეეფერება თანამედროვე ეპოქას. აი ერთი ნიმუში ჩვენ მიერ წარმოებული რეფორმებისა:

ჩინური კანონმდებლობის მიხედვით ქალებს უფლება არ ჰქონდათ ოჯახის მემკვიდრეობა მიეღოთ. ჩვენ გამოვაცხადეთ სამოქალაქო თანასწორობა დედაკაცებსა და მამაკაცებს შორის, დავამტკიცეთ გაყრისა და ქორწინების თავისუფლების კანონი.

იგივე ითქმის ძველ კანონმდებლობაზე, რომელიც მხოლოდ მდიდრებს მფარველობდა: ჩვენ ის გავაუქმეთ. რასაკვირველია, ჯერ ბევრი ნაკლი გვაქვს. ამ რევოლიუციურ ეპოქაში, როცა ჩამოყალიბებული კანონები არ გვაქვს, საკითხს პარტია სწყვეტს. მაგრამ ჩქარა შევადგენთ კოდექსს, რომელიც ყოველ დარგს შეეხება.

სამხედრო დარგშიც დიდი განახლება შევიტანეთ. სამხედრო სამართლის შექმნა რევოლიუციური აქტი იყო, რომელმაც მთელი არმია, ოფიცრებიცა და ჯარისკაცებიც სამოქალაქო ხელისუფლებას და პარტიის კონტროლს დაუმორჩილა. ეს აუცილებლად საჭირო იყო გენერლებისა და დაქირავებულ ჯარისკაცების მერყეობის გამო. პირველნი ერთი ბანაკიდან მეორეში გადადიან გასაოცარი სიადვილით და მხოლოდ თავიანთ პირად ინტერესებს უგდებენ ყურს, მხოლოდ მეორენი არბევენ და ბეგრავენ სოფლის მოსახლეობას. სამხედრო სასამართლოს შექმნა, რომელიც შეებრძოლებოდა ამ ფაქტებს, აუცილებლად საჭირო იყო საფრთხის თავიდან ასაცილებლად და არმიაში გავლენის მოსაპოვებლად.

ჩვენ ორი კოდექსი შევქმენით: ერთი ეხება კონტრ-რევოლიუციონურ დანაშაულებს, ხოლო მეორე წმინდა მილიტარულს. შევქმენით აგრეთვე მილიტარული კომისია, რომელსაც ექვემდებარებიან კორპუსის სამხედრო სასამართლოები".

აქ იმდენად წვრილმანი არაა საინტერესო, რამდენადაც იდეა, რომელიც მთელს ამ რეფორმას ასულდგმულებს: ამ რეფორმის აზრით, სამხედრო ელემენტები პარტიას უნდა დაემორჩილონ, მათი ძალა უნდა შეიზღუდოს.

ერთი სიტყვით, იუსტიციის მინისტრი სცდილობს ერთი მხრით მნიშვნელოვანი იარაღი გამოგლიჯოს იმპერიალისტებს, ხოლო მეორე მხრით განამტკიცოს მთავრობის ავტორიტეტი. ის სცდილობს განაახლოს ძველი ჩინეთი.

ჩინელი ქალის მდგომარეობა

„ადვილი არ არის ქალის როლი საზოგადოთ, ჩინეთში კი ის ბევრათ უფრო მძიმეა, ვიდრე სხვაგან დედამიწის ზურგზე. ჩვენ არავითარი პოლიტიკური უფლება არ გვაქვს სწავლა - განათლებას მხოლოდ მამაკაცები ღებულობენ ტრადიციული ძალების მთელი სიმძიმე ჩვენს წინააღმდეგ არის მომართული: ტრადიციული ეკონომიური ძალები საერთაშორისო ტრადიციული ძალა და ბოლოს სოციალური და ოჯახური ტრადიციები".

ამ სიტყვებით გამოგვიხატა დიდი ჩინელი რევოლიუციონერის სუნ-იატ-სენის ქვრივმა ჩინელი ქალების მდგომარეობა დიდ მოსასალმებელ მიტინგზე ხან-კოუში და ამასთანავე საფრანგეთის რევოლიუციონურ ქალების საუცხოვო ვერცხლის ლანგარი გადმოგვცა ზეწარწერით: „ვიბრძოლოთ ერთად". სხვა სიტყვებით, იგივე გაიმეორეს კანტონელი რევოლიუციონერის ლიაუჩუნ-კაის ქვრივმა და იუსტიციის მინისტრის ჰსუშიენის მეუღლემ. სამწუხაროთ, ისინი სრულს სიმართლეს ამბობდნენ.

18 საათის სამუშაო დღე

ქალი უეჭველად ყველაზე უბედური ელემენტია ჩინეთში. მას მხრებზე აწევს არა მარტო საზოგადო ჩაგვრის სიმძიმე, არამედ რელიგიური და ფეოდალური ტრადიციები. ჩინელი ქალი მონაა. სამხრეთ ჩინეთში ჩვენ შევხვდით დედაკაცებს, რომელნიც ყანაში ან ნავზე უმძიმეს სამუშაოს ასრულებდნენ. ფაბრიკებში ისინი თავიანთ ბავშვებთან ერთად 12, 13, 14, 15 თვით 18 საათს მუშაობდნენ, ხოლო მათი ხელფასი კიდევ უფრო მცირე იყო, ვიდრე მამაკაცებისა.

ბავშვობიდანვე ქალის ფეხებს კალაპოტში სვამენ, რათა შეეფერხებულ იქმნას მათი ნორმალური განვითარება და მუდამ პატარანი დარჩენ, ამ უბედურებს მეტის მეტად უჭირთ სიარული: ისინი თითქო პაწია ნახტომებით მიდიან წინ. როგორც სჩანს, პაწია ფეხები დიდი სილამაზის ნიშნათ ითვლება. ზოგი ფიქრობს, რომ ფეხების დამახინჯების მიზანი ის იყოს, რომ ქალი ოჯახში დაემწყვდიათ. ასევე ხელოვნურათ აფერხებენ ჩინელი ქალების ძუძუების განვითარებას...

გომინდანში მცირეა დამახინჯებული ქალების რიცხვი. ერთმა ახალგაზრდა ქალმა ისიც კი გვითხრა, რომ ევროპაში ცილს გვწამებთ, როცა ჩინელი ქალის ფეხების დამახინჯებაზე ლაპარაკობთ. მაგრამ კიანსისა, ჰუნანის და სხვ. პროვინციებში იშვიათათ შეგვხვედრია ისეთი ქალი, რომელსაც ნორმალური მკერდი და ფეხები ჰქონოდა.

„ქალთა განთავისუფლების კავშირი"

„ქალთა განთავისუფლების კავშირი", რომელიც ერთ მილიონ ქალამდე აერთიანებს, მნიშვნელოვან მუშაობას აწარმოებდა ქალის დაბეჩავების წინააღმდეგ საბრძოლველად. მრავალ ადგილას დიდ კრებებზე მოწმე ვიყავი კომისიების დაარსებისა, რომელთაც პროპაგანდა უნდა ეწარმოებიათ „ფეხების კალაპოტში ჩასმის" წინააღმდეგ.

„რას აკეთებთ ამჟამათ?" შევეკითხეთ ჰანკოუს ქალთა კავშირის მდივანს.

„ამჟამად ხელს ვუწყობთ განქორწინების საქმის მოწესრიგებას. ჩვენს სამშობლოში ქალ-ვაჟი როდი სწყვეტენ ქორწინების ბედს, არამედ მათი დედ-მამა და ისიც იმ დროს, როცა მომავალი საქმრო და საცოლე ორი-სამი წლისაა, ამიტომ ხშირია უბედური ცოლქმრობა. მაგრამ განქორწინების მოთხოვნა ნამდვილ პატივის აყრას წარმოადგენდა დედაკაცისათვის. ჩვენ მოვიპოვეთ განქორწინების უფლება და რჩევა - დარიგებას ვაძლევთ უბედურ ქალებს, რომელთაც სურთ ეს უფლება გამოიყენონ.

აქ კიდევ არსებობს ხასის რეჟიმი. თუ კანონიერი ცოლი ქმარს ნაკლებ მოსწონს, ან თუ მას ვაჟი არ ეყოლა, მამაკაცი ხასას იყვანს. თუმცა ამ ჩვეულების წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ძნელია მისი ერთბაშათ მოსპობა. ამ წუთში ეს ფაქტია, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ. მრავალი ახალგაზრდა ქალი ოცნებობს, რომ ხასა გახდეს. ჩვენ ვსცდილობთ, რომ მფარველობა გავუწიოთ პირველ ცოლს, რომელიც იჩაგრება მორალურათ, ფიზიკურად და ქონებრივად.

პროსტიტუცია, საზოგადო ხასიათისაა ის თუ კერძო, ქალის დაბეჩავების წყაროს წარმოადგენს, შუამავლები ნამდვილ ალებ-მიცემობას აწარმოებენ; და ეს ალებ-მიცემობა შემოსავლიანიცაა. ხშირად ხდება, რომ ცოცხალი საქონლის ვაჭრები პაწია ბავშვებს ყიდულობენ, რათა რამდენიმე წლის შემდეგ საროსკიპო სახლებს მიჰყიდონ. ჩვენი ბრძოლის იარაღები პროსტიტუციის წინააღმდეგ მეტათ სუსტია".

— ბევრია თუ არა მუშა-ქალები თქვენს ორგანიზაციებში?

„უმრავლესობა მუშა-ქალებია. ცენტრის ქარხნებს, საფეიქრო მრეწველობასა და არსენალში დაახლოებით 70.000 მუშა ქალია. თითქმის ყველანი პროფკავშირებში არიან გაერთიანებულნი, თორმეტს საათს მუშაობენ დღეში. მრავალ მათგანს ბინაც კი არ აქვს. უბადრუკ პირობებში ცხოვრობენ. ხშირათ მოდიან ჩვენთან პირადი საკითხების გადასაჭრელათ (ქორწინება, გაყრა და სხ.)".

„რას აკეთებს მთავრობა თქვენთვის?"

— ჩვენი ურთიერთობა მეგობრულია. მიღებულ იქნება მრავალი კანონი, რომელიც აუმჯობესებს დედაკაცის უფლებრივ მდგომარეობას. სკოლაც კი დაარსდა ქალების პოლიტიკურათ მოსამზადებლად.

„პოლიტიკური გაწვრთნის სკოლა"

ჩვენ მიგვიწვიეს ამ „ახალგაზრდა ქალების „პოლიტიკური გაწვრთნის სკოლაში", ასამდე მოწაფე ქალმა დიდის თანაგრძნობით მიგვიღო. კურსი საკმაოთ ფართო იყო: ჩინეთის ისტორია, რევოლიუციების ისტორია, საერთაშორისო მუშათა მოძრაობა, რუსეთის რევოლიუცია, იმპერიალისტების შეჭრა ჩინეთში: ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც საჭიროა ახალგაზრდა მებრძოლი ქალების მოსამზადებლათ და მათი გონებრივი ავლადიდების გასადიდებლათ. ხუთი თვის სტაჟის შემდეგ მათ უნდა შემოიარონ ქალაქები და სოფლები, გამოაფხიზლონ ჩინელი ქალების მასსა და რევოლიუციურ ბრძოლაში ჩააბან, სამკალი დიდია.

ჰანკოუს სამხედრო სკოლაში შექმნილია მთელი რაზმი საოფიცრო ქალებისა. მათ მილიტარული მიხვრა მოხვრა აქვთ და ამაყობენ, რომ რევოლიუციისთვის შოუხდებათ ბრძოლა. მრავალი მათგანი ბრძოლის ველზე დაეცა კიდეც ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩინელმა ქალებმა მონაწილეობა მიიღეს და მსხვერპლი შესწირეს ყველა რევოლიუციურ ბრძოლაში, მრავალი მათგანი რეაქციონერებმა დახვრიტეს. ოც კომუნისტს შორის, რომელნიც პეკინში სიკვდილით დასაჯეს ჩან-ძო-ლინის ბრძანებით, ერთი ქალი იყო, ყველა ფრონტზე მათ ბრძოლისა და სიკვდილის მაგალითი გვაჩვენეს, როგორც კომუნისა და რუსეთის რევოლიუციის ქალებმა.

ქალების მონაწილეობა ჩინეთის რევოლიუციაში გვიმტკიცებს, რომ ქალთა განთავისუფლების იდეას ღრმა ფესვები აქვს გადგმული. ერთმა მებრძოლმა ქალმა მითხრა: „ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჩვენი რევოლიუციისა იმ ფეოდალური ნაშთების მოსპობა, რომელსაც ჩვენ — ქალები განსაკუთრებით მწვავეთ ვგრძნობთ. უამისოთ ჩვენი რევოლიუცია თავის მოტყუება იქნება, ჩვენ ბევრს ველით რევოლიუციისაგან და ამიტომ თავგამოდებით ვიბრძვით მისთვის".

და მართლაც ქალის განთავისუფლება ველური ჩაგვრისაგან ჩინეთის რევოლიუციის უპირველესი ამოცანაა.

ჟაკ დორიო.

---

*) მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. დორიოს მოგზაურობის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჩინეთის რევოლიუციაში, ვბეჭდავთ მის წერილს, რადგან ის ეხლაც არ არის ინტერესს მოკლებული.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალი ხიდი რიონზე

ფოთი, 13 სექტემბერი. აღმასკომმა დაამთავრა ახალი ხიდის აგება მდინარე რიონზე ხიდის აგება დაჯდა 32.000 მან. (ადს).

აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა

ოზურგეთი, 13 სექტემბ. აბრეშუმის სახვევი მეორე ფაბრიკის ასაგებად ინტენსიური მუშაობა წარმოებს. ფაბრიკაში უნდა მოეწყოს 72 გობი.

გაწვევა წითელ არმიაში

ოზურგეთი, 13 სექტემბ. 1905 წელში დაბადებულთა წითელ არმიაში გაწვევისათვის დაწყებული კამპანია, წარმატებით მიმდინარეობს. სოფლებიდან ახალ წვეულები ორგანიზაციულად მოდიან შესაკრებ პუნქტებზე. მათ, აღნიშნულ ადგილამდე მოაცილებს ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლები დროშებითა და პლაკატებით.

შესაკრებ პუნქტზე მოწყობილია საგიტაციო პუნქტი. სადაც ტარდება საგიტაციო -ახსნა - განმარტებითი კამპანია. აქვეა ლენინის კუთხე და არის საკმაო ლიტერატურა, გაზეთები და ჟურნალები. პუნქტთან მოწყობილია ტირი და ცნობათა ბიურო.

ცალკე რაიონებიდან ახალ წვეულთა გამოცხადების გაადვილების მიზნით, გამწვევი კომისია 22 სექტემბერს მთელი შემადგენლობით გაემგზავრება განაპირა რაიონების მნიშვნელოვან შესაკრებ პუნქტებზე (ადს).

სამხრეთ - ოსეთი

აპარატების რაციონალიზაცია

ცხინვალი, 13 სექტემბერი. ადმინისტრაციულ - საგამგებლო აპარატის 20 პროც. შემცირების შესახებ ცენტრიდან მიღებულ დირექტივის გამო, ოლქის ცალ-ცალკე დაწესებულებებში დაიწყო მთელ რიგ თანამდებობათა შემცირება. შემცირებულია შემდეგი თანამდებობანი: სოციალურ უზრუნველყოფის კომისიის, მთავარ პოლიტგანის გამგის, სამკურნალო დაწესებულებათა გამგეების, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან არსებულ ბავშობისა და დედობის დაცვის თანამდებობანი და მთელი რიგი ტეხნიკური თანამდებობანი.

აპარატის რაციონალიზაციისათვის დაწყებული მუშაობა დასრულდება 1 ოქტომბერს. (ადს).

მოუსავლიანობა

ცხინვალი, 13 სექტემბერი. სამხრეთ-ოსეთის ყველა რაიონებში პურეულის მოუსავლიანობა, გარდა სიმინდისა აღწევს 50—75 პროც.

ცხინვალის ბაზარზე ხორბალის ფასი ყოველ დღიურად მატულობს, გლეხები ძალიან მაღალ ფასებში ჰყიდიან თავიანთ შინაურ საქონელს, რადგან მიწოდება უფრო მეტია, ვინემ ბაზრის მოთხოვნილება.

მომავალ სასოფლო-სამეურნეო წლისათვის სამხრეთ-ოსეთისათვის საჭირო იქნება 60.000 ფუთი ხორბლისა და 15.000 ფუთი ქერის თესლი. ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყოველთვიურად სამხრეთ-ოსეთს დასჭირდება 5.000 ფუთი პურის შემოტანა. (ადს).

წერილები

აღმშენებლობა კულაშის თემში

რამოდენიმე წლის წინად კულაშის თემი, თემის დაწესებულებებისათვის შესაფერ შენობის ნაკლებობას განიცდიდა; აღმასკომი, ფოსტა - ტელეგრაფის კანტორა და სამკითხველოც, ერთ — დანგრევისათვის განწირულ ძველ შენობაში იყო მოთავსებული. ცხრაწლედი კი ერთ შენობაში, სადაც ნაწილი მოწაფეებისა მეცადინეობდა დილით და ნაწილი კი —ნაშუადღევს, ახლად დაგვის გამო ამტვერებულ ოთახებში.

არ მოიძებნებოდა აგრეთვე საკლუბო შენობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კულტმუშაობის წარმოება და სხვ. დღეს მდგომარეობა გამოსწორებულია. უკვე ორი წელით, აღმასკომს აქვს თავისი საკუთარი შენობა, რომელიც ყოველ გამვლელის ყურადღებას იპყრობს. სამკითხველომაც გამოიცვალა თავისი სარდაფისებური ნესტიანი ბინა. ძველ შენობაში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაა მოთავსებული, რომლისთვისაც უკვე შენდება ქვითკირის ახალი შენობა.

ცხრაწლედის ორი ზედა ჯგუფის ნაცვლად დაარსდა აგრონომიული ტეხნიკუმი, რომელიც მოთავსდა ყოფილ შვიდწლედის პირდაპირ მდებარე ორსართულიან შენობაში ამ შენობას აქვს მამული, რომელსაც ამუშავებენ ამავე ტეხნიკუმის მოწაფეები ტახნიკუმის გამგის ხელმძღვანელობით.

ჩვენ თემის აღმშენებლობას და მის კულტურულად დაწინაურებას ხელმძღვანელობენ: ამხ. კანდელაკი, სტურუა, კვანტალიანი, მესხი და სხვ., რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს კულაშის თემის ახალ ცხოვრებას.

დღეს კულაშის თემის გლეხები იმდენად წახალისებული არიან თავიანთ მშენებლობით, რომ განზრახული აქვთ გახსნან საექიმო პუნქტი და ელექტრონის შუქით გაანათონ კულაშის ბაზარი.

ვარ.

ზემო-სვანეთი

საჭიროა დახმარება

წელს ხშირი წვიმებია და წყალდიდობა საერთო მოვლენად იქცა ზემოსვანეთში.

სვანეთში ყანების ბედს მეტ წილად ივლისი სწყვეტს. თუ ივლისში გვალვაა, ნათესი უმარცვლოდ რჩება, თუ ხშირი წვიმებია: პური, ქერი, ფეტვი და სხვა წვრილი ხორბლეულობა ყანებში წვება და ზედ ბალახი ამოდის.

წელს ივლისამდე, შედარებით კარგი დარები დაიჭირა, მაგრამ დადგა თუ არა ივლისი, წვიმებმა მოუხშირეს. თივა დალპა, ვინც მოასწრო ცოტაოდენის წაღება, ისიც ნახევრად წაუხდება, როგორც სველი და ნედლათ შენახული. წვიმამ არც ყანებს დააყენა კარგი დღე. დაწოლილ ყანებში მარცვალმა გული გახსნა და კვლავ ჯეჯილად იქცა. ამან დიდი ზარალი მიაყენა გლეხებს.

შედარებით მეტი იზარალეს კარგ მოსავლიან თემებმა, საიდანაც ღარიბ გლეხობას გაჭირვების დროს მოჰქონდა პური. წყალდიდობამ სავსებით გაანადგურა ხიდები. ზარალი საერთოდ დიდია.

საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ თავითვე მიიღოს ზომები დაზარალებულთა დახმარების, აღმოსაჩენად და სიმშილობის თავიდან ასაცილებლად.

ა. დავითიანი

შორაპნის მაზრა

გადასამზადებელი კურსები

შორაპნის მაზრის აღმასკომმა მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან გახსნა თემ-აღმასკომის მდივნების მოკლე ვადიანი გადასამზადებელი კურსები, სადაც მოწვეული არიან თემ-აღმასკომების მდივნები და თავისუფალი მსმენელები.

კურსანტების მსმენელთა საერთო რიცხვი უდრის 30 კაცს, ლექტორების 12 კაცს. ამ კურსების დაარსების მიზანია მსმენელებმა შეისწავლონ საკანცელარიო, სამეურნეო, მ.მ.ა. ჩის ორგანოსი და ფინანსიური საქმეების წარმოება. საბჭოთა კანონმდებლობა და სხვა.

მ. ლ.

სოფლის ქრონიკა

— **მანდარინის გაშენება.** სოფ. ჩიბათში (გურია) ახლად დაარსებულმა სას.-სამ. არტელმა გააშენა 4.000 ძირი მანდარინა.

— **თელავის მაზრის** საზაფხულო საძოვრებიდან მწყემსებმა დაიწყეს ცხვრის ფარების საზაფხულო საძოვრებზე გარეკვა შირაქის რაიონში.

— **აბრეშუმის ქარხანა.** სამტრედიის აბრეშუმის სახვევ ქარხანაში დაიდგა ახალი დაზგები. მუშების რიცხვი გადიდებულ იქნა 240 კაცით.

— **თეატრი.** ლანჩხუთის აღმასკომმა თეატრის ასაშენებლად გადასდო 5.000 მან.

— **სკოლების შეკეთება.** აჭარისტანის მაზრებში სკოლების შესაკეთებლად დამატებითი გადაიდო 17.000 მანეთი.

— **კოოპერატივისათვის** იანეთის თემში (ქუთ. მაზრ.) აგებენ შენობას. შენობის აგება ჯდება 2 330 მანეთი.

— **ბიუჯეტი.** ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა შეადგინა სამაზრო საბიუჯეტო კომისია ამხ. ლვამიჩავას თავმჯდომარეობით.

— **შრომის სკოლა.** ჰოგნარის თემის გლეხებმა 850 მანეთით დაიბეგრეს თავი შვიდწლედის შენობის ასაგებად.

„სოფლის კავშირში"

1927—28 წლის სავაჭრო - საფინანსო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა

„სოფლის კავშირი"-ს სავაჭრო საქმიანობა მიდის ორი ძირითადი მიმართულებით: მიწოდება-მომარაგება და დამზადება-გასაღება.

მომავალი წლის გეგმით „სოფლის კავშირს" განზრახული აქვს მიაწოდოს საქართველოს სოფლის მეურნეებს საწარმოო ხასიათის იარაღ-მანქანები, მავნებელთა საწინააღმდეგო საშუალებანი, ლითონის საქონელი, სამშენებლო მასალა, თესლეული, ტრაქტორები და სხვა საქონელი, ღირებული 1.972,000 მანეთად. საქონელს „სოფლის კავშირი" გასცემს მხოლოთ სას. სამ. საკ. ამხანაგობებზე. „სოფლის კავშირი"-ს დანარიცხი აღნიშნულ საქონელზე არ აღემატება 2 პროცენტს. აღნიშნული საქონლის ნაწილი 302.000 მანეთის ღირებულებით მიეცემათ ამხანაგობებს სას. სამ. ბანკის საშუალებით გრძელვადიანი სესხის სახით, ხოლო დანარჩენი—ნაწილი მოკლევადიან სესხის სახით, ნაწილი კი ნაღდ ანგარიშზე.

სოფლის ნაწარმოების დამზადება სწარმოებს საკომისიო საფუძვლებზე და მოკავშირე ამხანაგობების საშუალებით.

გეგმით განზრახულია 8.500.000 მან. ღირებულების სხვადასხვა ნაწარმოების დამზადება-გასაღება. მომავალი წლის განმავლობაში დამზადდება: მატყლი (შემოდგომის და გაზაფხულის)—90.000 ფუთი, ღირებული 1.928000 მან.; თამბაქო—60.000 ფუთი—990.000 მან.; ვაშლი საექსპორტო—30.000 ფუთი—132.000 მან.; ვაშლის ჩირი—64.200 მან.; ცხვრის ტყავი—400.000 მან.; ბეწვეული და ჯაგარი—224.000 მან.; აბრეშუმის პარკი—3.060.000 მან.; შვეიცარული ყველი—222.000 მან.; თხილი—312.000 მან.; კვერცხი—30 ვაგონი—188.000 მან.;; აბუსალათინი—40.000 ფუთი, ღირებული 181.000 მან.; სხვადასხვა ნაწარმოები (ბოსტნეული, რძის ნაწარმოები და სხვა) სულ 800.000 მან.

დამზადებული ნაწარმოები გასაღებული იქნება უმთავრესათ საკავშირო ბაზარზე.

საწარმოო მუშაობა

„სოფლის კავშირი"-ს საკუთარ ქარხანა „ქაჰა"-ში გადამუშავებულ იქნება სპირტათ—2.000.000 გრადუსი არაყი, რომელიც მოხმარდება სას. სამ. კოოპ. სისტემის ღვინოს.

საკასრე ქარხანაში განზრახულია 60.000 ვედროს ტევადობის კასრების დამზადება. ნაწლავების ქარხანაში გადამუშავებული იქნება 33.000 მანეთის ნაწლავები.

აგრიკულტურულ დარგში გეგმით განზრახულია ამერიკულ ვაზის სადედის გადიდება 50 დესეტინით; 1.500.000 ცალი ნამყენი ვაზის გაკეთება სათბურებში (რიხტერის წესით). აღნიშნული ვაზები განაწილდება კახეთში.

მეხილეობაში განზრახულია 8 დესეტინა სანერგის დამუშავება. გეგმით განზრახულია მოეწყოს: თბილისში რძის ნაწარმოებთა საწყობი და საცივარი; გორის მაზრაში ხილის სახმობი ფარდულები; კახეთში, გურიაში და სამეგრელოში თამბაქოს ფარდულები, ხელოვნური გახმობა და წყაროები: ღვინის საწყობები—2 კახეთში და 2 იმერეთში.

განზრახულ ნაგებობათა ღირებულება უდრის —1.020.000 მან.

მუშათა ცხოვრება

ადგილკომის საქმიანობა

ამ.-კავკასიის რკინის გზის გაერთიანებული ადგილკომის ექვსი თვის მუშაობამ დაგვანახვა შემდეგი: ადგილკომის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო დაწესებულებებში ზედმეტ საათების სამუშაოების მოსპობაზე. შრომის დაცვის კომისიამ ეს საკითხი ჯეროვნად გადასწყვიტა.

მიმდინარე საზაფხულო სეზონში კულტკომისიამ მოაწყო ცხრა ექსკურსია, რომელშიც 400 კაცმა მიიღო მონაწილეობა კლუბის წევრების რაოდენობა 403-დან გაიზარდა 1.000 წევრამდე. მუშაობას აბრკოლებდა წითელ კუთხის უქონლობა, სხვადასხვა წრეებს უხდებოდათ რიგ რიგობით შეკრება ხან ერთ ოთახში, ხან მეორეში.

ეკონომკომისია შესდგება 15 წევრისაგან. ამ კომისიამ გადასინჯა 29 ანგარიში. ამ რიცხვიდან 20 სრულიად გააუქმა. ამის შედეგი ამნაირია: სამასალო განყოფილებას დარჩა 22.603 მან. წლიური ეკონომია, კავშირს—940 მან.; წევის დარგს—1.717 მან. და მოძრაობის—587. მან.

რ. კ. კ. განიხილა 71 საქმე. აქედან 28 გადაწყდა მუშების სასარგებლოდ, 22 გადასცა შეთანხმებელ კამერას.

ურთიერთ დამხმარე სალაროს ჰყავს 407 წევრი. სალაროს ვალი წევრებზე 4.630 მანეთს აღემატება.

ცუდად მუშაობს სადელეგატო შემადგენლობა. ჩვეულებრივად კრებაზე ცხადდება 50-60 პროცენტი დელეგატებისა.

ა. სტრიჟკო.

—:—

ჩარიცხეთ კავშირში

სამასალო მთავარ საწყობში მოქ. სარქისოვს ნარდად აქვს აღებული უვარგისი რკინის ნაჭრები, რომლითაც ტვირთავს რონოდებს და აგზავნის საჭირო ადგილებზე. ამ რონოდების დასატვირთავად დაქირავებული ჰყავს მუშა გიორგი აბაშიძე, რომელიც ერთი წელია ამ საქმეზე მუშაობს და ჯერაც არ არის კავშირის წევრი, არც დაზღვეული.

ამხ. აბაშიძემ მიმართა მოქ. სარქისოვს, რომ კავშირში ჩაერიცხა და დაეზღვია, სარქისოვი კი ამის საპასუხოდ დაემუქრა სამსახურიდან დათხოვნით.

საჭიროა შრომის ინსპექტორმა მიაქციოს ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება.

მ. სერგიანი.

—:—

სამკითხველოთი ვერ ვსარგებლობთ

ქართულ მუშფაკთან დიდი ხანია არსებობს წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელშიც საკმაოდ არის საჭირო ლიტერატურა. სამკითხველოს გამგეს წიგნების სია არა აქვს. წიგნები შეყრილია შკაფებში. თუ მსმენელმა თვითონ არ მიუთითა საჭირო წიგნზედ და არ უჩვენა, გამგე უარით ისტუმრებს—წიგნები წაუღებელია.

სამკითხველოს მუშაობა წარმოებს მეცადინეობის დროს და სხვა. ამის გამო მუშფაკელებს მოსპობილი გვაქვს წიგნებით სარგებლობის საშუალება. გამოასწორეთ ეს ნაკლი.

მუშა—მუშფაკელი.

—:—

მხიარული სალამო

ამხ. ორჯონიკიძის კლუბი

10 სექტემბერს მოაწყვეს კონცერტი ბალეტით წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ფონდის სასარგებლოდ.

კონცერტის დაწყებამდე ამხ. ჩახვაძემ გააცნო აუდიტორიას წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისიის მიზანი და მისი მუშაობის შედეგები. საბჭოთა სახელმწიფოში უნდა მოისპოს წერა - კითხვის უცოდინარობა —სთქვა ამხ. ჩახვაძემ. ამისათვის დაარსებულია განსაკუთრებული საზოგადოება, რომელსაც ევალება გაუკეთოს ლიკვიდაცია უცოდინარობას და შეასწავლოს ყველა მოქალაქეს წერა-კითხვა. ამხ. ჩახვაძე მოუწოდებს ყველას მიიღონ აქტიური მონაწილეობა და დაეხმარონ არსებულ საზოგადოებას, ვისაც რითაც შეუძლია. შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო ოპერის არტისტებმა: ვენაძემ, ჰუმბურიძემ, ქუმსიაშვილმა. საბალეტო ნომრები შეასრულეს ბარხუდაროვის და ბეგთაბეგოვის ქალებმა და ბევრ სხვებმა. კონცერტი და ბალეტი ჩვეულებრივ კარგად ჩატარდა, რის გამო ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

მუშკორი—ძია-ლევან.

„ერთგული მუშაკი"

თბილისის საყუდის საკუჭნაოში სამასალო სამსახურის მიერ არის დანიშნული მეკუჭნავეს თანაშემწეთ ვინმე ივანე რაკუა, რომელსაც მუშაობის დროს ხშირად სძინავს და მუჯლუკუნით აღვიძებენ (ამაზე უკვე იყო დაწერილი ადგილობრივ კედლის გაზეთში). ხსენებული კაცბატონი მობრძანდა 11 სექტემბერს ღამის 12 საათზე საკუჭნაოში და დაიწყო ვითომდა მუშაობა. ამის შემდეგ საკუჭნაო იკეტება და არავის არა აქვს უფლება მისი უდროვოდ გაღებისა. ეს შეამჩნია მორიგე რევიზორმა, რომელმაც მაშინვე დააკეტინა საკუჭნაო და შეადგინა ამაზე სათანადო ოქმი. იბადება კითხვა: რისთვის მოუნდა მოქ. რაკუას შუა ღამისას საკუჭნაოს გაღება, ან ვისგან აიღო ამის უფლება.

მუშკორი—„მახლას".

—:—

გვეყოფა აწიოკება

(მილიციის უფროსის საყურადღებოთ)

გუმბრის ქუჩის მარცხენა მხარე ეკუთვნის მერვე უბანს, მარჯვენა მხარე კი მეშვიდე უბანს. ამ ქუჩას თითქოს ორი მზრუნველი ყავს, ხოლო გულით რომ გინდოდეს, ერთ მილიციელს ვერ ნახავთ სადმე მახლ-ლად. ამ ქ-ზე მეტ წილად მოსახლეობენ ათასგვარი ლოთები, ხულიგნები, ქურდები და სხვ., რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ მშვიდობიან მოქალაქეთ. მუდამ ღამით ხდება ჩხუბი, დანების ტრიალი, ცემა - ტყეპა, წივილ-კივილი და სხვ.

მოგვეცით წესრიგის დამცველი.

რკინისგზის ძველი მუშა.

—:—

შეაკეთეთ საათი

პლეხანოვის გამზირზე, გერმანელების ეკლესიის თავზე მოწყობილია საათი, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა მოქალაქეთ დროის გაგებაში

დღეს ეს საათი ხანგამოშვებით მუშაობს, ან სულ გაჩერებულია, რაც უკმაყოფილებას იწვევს დილით სამუშაოზე მიმავალი მუშა - მოსამსახურეებს შორის.

აღმასკომო, მიაქციე ყურადღება ამ საათს და შეაკეთე დროზე.

ჟარო დვალი.

—:—

მუშათა ქრონიკა

— **პლენუმის მოწვევა.** ბორჯომის პროფბიუროს მეორე პლენუმს იწვევს ქალ. ბორჯომში ა. წ. 28 სექტემბერს.

— **ბავშვთა ბაგების** მოსაწყობად ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცენტრალურ გამგეობამ გადასდო 100 მანეთი.

—**პროფისტორიის მასალების** შეგროვების და დამუშავების მიზნით საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ც. გ. გადასდო 600 მანეთი.

— **საკავშირო თანხების** გაფლანგვისათვის საბჭოთა მუშაკების კავშირის ც. გამგეობამ კავშირის წევრთა რიგებიდან გამორიცხა ცეკავშირის ადგილკომის ყოფილი მდივანი გ. სიხარულიძე.

— **6903 მანეთი 30 კაპ.** „თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გაძლიერების მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს სალაროში ა. წლის 6 სექტემბრამდე შემოსულია სულ 6903 მან. 30 კაპ.

— **სასამართლოს დაარსება ჭიათურაში.** საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო ქ. ჭიათურაში სპეციალური შრომის სასამართლოს დაარსება.

— **შეჯიბრი.** ა.-კავკასიის პროფკავშირების ფიზკულტურის შეჯიბრი საბოლოოდ დანიშნულია ქ. ბაქოში ა. წლის 7 ოქტომბრისათვის.

— **საქალაქო კონფერენცია.** საბჭოთა მუშაკების კავშირის ც. გამგეობამ კავშირების ცენტრ. გამგ. წევრებთან ერთად ა. წლის 15 სექტემბრისათვის მუშათა ცენტრალურ კლუბში იწვევს ფაბქარხადგილკომების საქალაქო კონფერენციას. აღნიშნულ კონფერენციაზე მოსმენილ იქნება თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება დაზღვეულთა საექიმო დახმარების შესახებ.

— **ფიზკულტურის ხელმძღვანელი.** საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიუროს ხელმძღვანელად დაინიშნა ამხ. გიორგი მერკვილაძე.

სამზადისი ოქტომბრის დღესასწაულისათვის

ტრესტებში და წარმოებებში

13 სექტემბერს შესდგა ს. მ. უ. ს. ტრესტებთან და წარმოებებთან არსებულ საიუბილეო კომისიების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ს. მ. უ. ს. ქვემდებარე დაწესებულებებში დღესასწაულების ჩასატარებელი პროგრამები.

თათბირმა მიზანშეწონილად სცნო დაუყოვნებლივ შეუდგეს ტრესტებისა და წარმოებების პროდუქციის ნიმუშთა შეკრებას საქალაქო გაერთიანებულ საჭირო გამოფენაზე გასაგზავნათ. ცალკე ტრესტებთან ასეთი გამოფენების გამართვა მიზანშეწონილად არაა ცნობილი. ტრესტების პროდუქციის გამოფენები მოწყობილ იქნება მხოლოდ პროვინციაში.

ამასთანავე გამოფენების მოწყობა სასურველადაა ცნობილი პროვინციაში არსებულ ქარხნებთან.

გემო-კვების მუშაკთა კავშირში

გემო - კვების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობასთან გამოყოფილმა კომისიამ გამოიმუშავა საიუბილეო დღესასწაულების ჩატარების შემდეგი პროგრამა: 5 ნოემბერს და წინა დღეებში მოეწყობა მუშათა მასიური ექსკურსიები „ზაჰესში" (ინდუსტრიალიზაცია) და რევოლიუციის მუზეუმში (ისტორია). ზაჰესში ექსკურსანტებს გააცნობენ ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობას და მიღწევებს ამ დარგში, ხოლო რევოლიუციის მუზეუმში ისინი გაეცნობიან ოქტომბრის რევოლიუციის სხვადასხვა მომენტებს.

6 ნოემბერს გადაწყვეტილია მოეწყოს მთელი რიგი გამოფენები თამბაქოს, საშაქარლამო, საგალეტო და მაკარონის მრეწველობებში; კედლის გაზეთების და სხ. გამოფენებზე გამოცხადებული იქნება კონკურსი საუკეთესო მუშაზე, საუკეთესო კედლის გაზეთზე, მუშკორზე და სხვ.

7 ნოემბერს კავშირის წევრები გავლენ ქუჩებში დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებათ და თან გაიტანენ ქარხნების ნედლი მასალისაგან დამზადებულ სიმბოლიურ ფიგურებს და ორკესტრებს.

ამავე დღისათვის განსაკუთრებით მორთავენ ყველა ქარხნებს, კლუბებს და წითელ კუთხეებს.

ქიმიკოსთა კავშირში

ქიმიკოსთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან გამოყოფილმა დღესასწაულების ჩამტარებელმა კომისიამ დაამუშავა საიუბილეო დღესასწაულების დაწვრილებითი პროგრამა. პროგრამები და სათანადო ახსნა - განმარტებები დაეგზავნებათ კავშირის ყველა ორგანიზაციებს.

დღესასწაულების დღეებში გადაწყვეტილია მოეწყოს მთელი რიგი საწარმოო გამოფენათა, სადაც ნაჩვენები იქნება ჩვენი მიღწევები ქიმიური მრეწველობის დარგში. დემონსტრაციებში გადაწყვეტილია გაიგზავნოს განსაკუთრებული რაზმი გაზების საწინააღმდეგო ნიღაბებით.

საიუბილეო დღესასწაულებისათვის საჭირო პრაქტიკული სამზადისი უკვე დაწყებულია და ამჟამად ამზადებენ მუშათა გამოგონებების მოდელებს დემონსტრაციაზე საჩვენებლათ.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

მეხუთე და მეექვსე სხდომები

სამშაბათის საღამოს სხდომა მთლიანად მოუნდა კამათს მ. ჩილინგირიძის მოხსენების გარშემო.

ოთხშაბათს დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ინსტრუქტორ - კონსულტანტის ხ. ხახთაძის მოხსენება კოოპერატივის რევიზიის და საინსტრუქტორო გამოკვლევის და ინსტრ. ნ. კუკალიშვილის მოხსენება გამგეობის დამხმარე ორგანოების შესახებ.

პირველი მომხსენებლის აზრით, კოოპერატივის გამოკვლევის პროცესში ინსტრუქტორი უპირველეს ყოვლისა უნდა გაეცნოს კოოპერატივის სამოქმედო რაიონის გეოგრაფიულ და ეკონომიურ მდგომარეობას.

მეორე მომხსენებლის აზრით რთულ საქმიანობის პროცესში კოოპერატივების გამგეობებს უძნელდებათ მუშაობის ყველა მხარეების ხელმძღვანელობა, ამის გამო საჭირო ხდება მათთვის დახმარების გაწევა.

ამისათვის კოოპერატივებთან არსებობს გამგეობის დამხმარე ორგანოები, სადუქნო კომისიების, კოოპერატიულ კომისიების და კოოპერატიულ წრეების სახით.

გარდა გამგეობისათვის უშუალო დახმარების გაწევისა, ამ ორგანოებს ეკისრებათ წევრთა მასის თვითმოქმედების გამოაშკარავება და მათი აქტივობის აწევა, ახალ წევრთა მოზიდვისა და საპაიო თანხების შეკრეფისათვის ხელის შეწყობა და სხვ.

სადუქნო კომისიების მუშაობა განისაზღვრება უმეტესად სოფლით, კოოპერატიული კომისიების კი ქალაქით. კოოპერატიული წრეები ხელს უწყობენ აქტიურ წევრების მომზადებას. ყველა მათ ირჩევენ 6 თვის ვადით.

დასასრულ გარკვეულ იქნა ამ ორგანოების მუშაობის მეთოდები.

თათბირი კულტ. მცენარეების მეურნეობის შესახებ

დღეს, 15 სექტემბერს სოხუმში გაიხსნება საკავშირო თათბირი ცენტრალურ და სუბტროპიკულ მცენარეთა გაშენების შესახებ. თათბირი მოწვეულია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამეცნიერო - ტეხნიკურ სამმართველოს თაოსნობით. თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს: სამკურნალო კულტურული და მოუვლელი მცენარეები აფხაზეთში; აფხაზეთის სახმედვაჭრობის სამმართველოს საქმიანობა და მისი მომავალი მუშაობა; სუბტროპიკული საფეიქრო მცენარეები; სადაბალო ხეების გაშენება, კაუჩუკის საკითხი; ეთეროვანი მცენარეები; ზეთის დამამზადებელი ხეები; ჩაის მოშენება; სუბტროპიკული ნაყოფიანი მცენარეები (ციტრუსი და სხვ.); თამბაქოს მეურნეობა აფხაზეთში; ძვირფასი ჯიშის ხეები; სუბტროპიკული და დეკორატიული მებაღეობა; აფხაზეთის მრეწველობის ორგანიზაციული ფორმები; სუბტროპიკულ მცენარეთა ნედლეული; აფხაზეთის სასოფლო - სამეურნეო საცდელ სადგურის მუშაობა წარსულში, აწმყოში და მომავალში.

სახკომსაბჭოში

სათესლე სესხის ჩამოწერა

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა საგეგმო კომისიის დასკვნა 1922 და 23 წლებში მოსახლეობისათვის სათესლეთ მიცემული სესხის ჩამოწერის შესახებ.

მერქანის მარაგის აღრიცხვა

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოიწონა საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება (საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესწორებით) ს. ს. რ. კავშირის რესპუბლიკების ტყეებში მერქანის მარაგის აღრიცხვის შესახებ.

გამონაკლისები და შეღავათები სარეწაო გადასახადში

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნა სახელმწიფო სარეწაო გადასახადებში (სახელმწიფო და კომუნალურ წარმოებათა და ინვალიდების გამოკლებით) გამონაკლისის და შეღავათების დაწესების შესახებ.

დაზღვევა ხანძრისაგან

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის დასკვნა აფხაზეთის სოფლებში ხანძრისაგან სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ.

მაუდის ფაბრიკა

მშენებლობის შემოწმება

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ს. მ. უ. ს. მთავარ საფეიქრო სამმართველოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლიუბინსკი. მისი მიზანია გაეცნოს თბილისში მაუდის ფაბრიკის აღმშენებლობას. გუშინ დილით ამხ. ლიუბინსკიმ დაათვალიერა თბილისის მაუდის ფაბრიკის საამშენებლო სამუშაოები და დაწვრილებით გაეცნო ქარხნის მშენებლობის ფინანსიურ მხარეს. ქარხნის მდგომარეობის შესახებ ამხ. ლიუბინსკიმ განაცხადა:

— ჩემის აზრით, თბილისის მაუდის ფაბრიკა იქნება ერთი სანიმუშო ფაბრიკათაგანი მთელს საბჭოთა კავშირში. ეჭვი არ არის, რომ თბილისის ფაბრიკა გამოუშვებს პირველხარისხოვან და საუკეთესო თვისების ქსოვილებს, ვინაიდან იგი მოწყობილი იქნება უკანასკნელი კონსტრუქციის გაუმჯობესებული მანქანებით. მიუხედავათ მრავალგვარი დაბრკოლებებისა, ქარხნის აგების საქმე მაინც წარმატებით მიდის. ფინანსიურად ქარხანა სრულიად უზრუნველყოფილია: მომავალი წლისთვის გადადებული 1.700.000 მანეთი სრულიად საკმარისი იქნება ქარხნის ასაგებად.

გადიდებული ხელფასი

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის ცნობით. საბჭოთა კავშირის შრომის კომისარიატმა გამოიმუშავა საბჭოთა კავშირის შორეულ რაიონების სია. ამ რაიონებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს, შრომის კომისარიატის დადგენილებით, მიეცემათ გაძლიერებული ხელფასი.

საქართველოში შორეულ რაიონად ითვლება ზემო-სვანეთი.

ამიერ-კავკასიის დანარჩენ ადგილებში შორეულ ადგილებად მიჩნეულია: ნახიჩევანის ავტონომიური ოლქი (ქალაქ ნახიჩევანის გამოკლებით). ლენკორანის და სალიანის მაზრები; აგჯაბადის და ლამაზერანის რაიონები (აგდაშის მაზრა): კარიაგინის რაიონი (ჯებრაილის მაზრა); მუღანის, მილის და შირავანის ველები, მეგრის და ზანგეზურის მაზრები.

პურის შემოტანა

ამ თვის განმავლობაში, ა-კ. ვაჭრობის კომისარიატის ცნობით. ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 1.090.000 ფუთი პური. აქედან საქართველოსათვის — 150.000 ფუთი. აზერბეიჯანისათვის — 465.000 ფუთი: ამას გარდა განზრახულია ამავე თვეში მებამბეობის რაიონებისათვის შემოზიდულ იქნას 250.000 ფუთი პური, რომლიდანაც აზერბეიჯანის მებამბეობის რაიონებს გადაეგზავნება — 150.000 ფ., სომხეთს—80.000 ფუთი, საქართველოს მებამბეობის რაიონებს გაუნაწილდება 20.000 ფუთი პური სექტემბერში შემოსაზიდ პურის რაოდენობის ანგარიშში სექტემბრის 5-მდე უკვე შემოზიდული იქნა 235 ვაგონი პურის ფქვილი. აქედან საქართველოსათვის —93 ვაგონი.

ჩათახის მადნები

ს. მ. უ. საბჭომ მოისმინა სამთო ზედამხედველობის უფროსის ინჟ. **კანდელაკის** მოხსენება ჩათახის რაიონში მდებარე სხვადასხვა მადნეულობის გეოლოგიურ გამოკვლევების შესახებ და დაადგინა: საჭიროდ იქნას ცნობილი გაგრძელდეს დაწყებული გამოკვლევები და მოხდეს მადნეულობის სიმდიდრეთა მარაგის გამორკვევა.

პირველ ოქტომბრიდან ჩათახის მადნეულობის გამოკვლევების ხელმძღვანელობა დაეკისროს ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებას, ნაცვლად ლითონ - ტრესტისა. გეოლოგიურ გამოკვლევათა კონცეტრაცია საჭიროდაა ცნობილი მოხდეს დემურ-ჟუს, დიდი გიუნეის და ბოლიდარას უბნებში.

ს. მ. უ. საბჭომ ამასთანავე დაადგინა იშუამდგომლოს სახკომსაბჭოს წინაშე გადადებულ იქნეს ჩათახის სიმდიდრეთა გამოსაკვლევად 63.500 მანეთი.

კინაქინა

ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქართველოში ადგილი ჰქონდა კინაქინის დიდ კრიზისს, რის გამოც საგრძნობლად იყო დაბრკოლებული მალარიით შეპყრობილი ავადმყოფთა მკურნალობა. მთელ რიგ ადგილებში კინაქინა სრულებით არ მოიპოვებოდა.

ამჟამად თბილისში უკვე მიიღეს კინაქინის დიდი პარტია ამიერ - კავკასიის ყველა რესპუბლიკებისათვის. სულ მიღებულია 1.500 კილო კინაქინა. აქედან საქართველოს ხვდა 675 კილო. კინაქინის ეს რაოდენობა დაუყოვნებლივ დაანაწილა ადგილებს შორის ჯანსახკომის საფარმაცევტო განყოფილებამ.

აფხაზეთს გადაეგზავნა 70 კილო, აჭარისტანს — 65 კილო, სამხრეთ - ოსეთს — 20 კილო, შავი ზღვის სანაპირო რკ. გზ. აღმშენებლობას — 10 კილო, წყალთამეურნეობის სამმართველოს — 10 კილო, ჯანსახკომის სანიტარულ ეპიდემიურ განყოფილებას მაზრებში გაგზავნილ ათი სამალარიო რაზმისათვის — 80 კილო, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებას — 80 კილო. დანარჩენი რაოდენობა განაწილებულია რესპუბლიკის ყველა მაზრებს შორის.

კინაქინის გადაგზავნა ადგილებისათვის დაიწყება დღეიდან.

მიწისძვრა

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა, გუშინ დილის 4 საათზე აღნიშნეს უმნიშვნელო მიწისძვრა, რომლის კერა თბილისიდან დაშორებულია 1,100 კილომეტრით შავი ზღვის მიმართულებით. ჩვენ თანამშრომელს გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოლოგმა ამხ. **ბიბინეიშვილმა** განუცხადა, რომ ტექტონიური პროცესები შავი ზღვის ძირზე კვლავ განახლდა. ამიტომ ახლო მომავალში მოსალოდნელია მიწის ძვრის განმეორება შავი ზღვის ძირზე. ეს მიწისძვრა შეიძლება იქნეს უფრო კატასტროფიული ხასიათის, ვინემ იყო 12 სექტემბერს. რაც შეეხება უკრაინას და ყირიმს, ისინი იმყოფებიან პერიფერიულ რაიონში მიწისძვრის კერიდან; ამიტომ მოსალოდნელი მიწისძვრა მათთვის საშიში არ არის.

ხელოვნება

საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციაში

საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის განყოფილებები საქართველოს მთავარ ქალაქებში

ორშაბათს, 13 სექტემბერს ქუთაისში შესდგა ქალაქის მუშკორთა გაერთიანებული კრება ქუთაისში მყოფ ქართველ მემარცხენე მწერალთა მონაწილეობით. კრებაზე მოხსენება წაიკითხა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენელმა ამხ. **ბენიტო ბუაჩიძემ** შემდეგ თემაზე: „მუშკორთა მოძრაობა და პროლეტარული მწერლობის ამოცანები". მოხსენების ძირითად დებულებების გარშემო გაიმართა კამათი.

კრების დღის წესრიგი მეორე საკითხს შეადგენდა: საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის განყოფილების მოწყობა ქუთაისში. კრებამ ერთხმად დაადგინა მოეწყოს განყოფილება; რომლის ძირითად კადრად ცნობილ იქნა ქუთაისის რკინის გზის კვანძის ჟურნალ „რკინისგზელი"-ს თანამშრომელთა შემადგენლობა. დროებით საორგანიზაციო ბიუროში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **ანაზარდი, დიაჩიანელი, ალიაშვილი, თავბერიძე** და **გვილავა.**

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას გადაწყვეტილი აქვს ასოციაციის განყოფილებები მოაწყოს აგრეთვე აჭარისტანში, (ბათომში). სამხრეთ ოსეთში და საქართველოს სხვა ქალაქებში. ამ მიზნით ამ დღეებში ბათომში გაემგზავრება ამხ. ბ. ბუაჩიძე.

ხელოვნების ქრონიკა

წითელარმიელთა სიმღერების კრებული

ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოებამ გამოსაცემად დაამზადა კომპოზიტორ **თაქთაქიშვილის** მიერ ჩაწერილი სალაშქრო სიმღერების კრებული წითელ-არმიის ქართული ნაწილებისათვის. კრებულში შეტანილია 25-ზე მეტი წმინდა ხალხური მელოდიები. ეს სიმღერები სავსებით საკმარისია ქართული ნაწილებისათვის, როგორც ლაშქრობის, ისე სამხედრო სწავლებისა და დასვენების დროს.

კრებული განხილული და მოწონებულია მთავლიტისა, განათლების სახ. კომისარიატის ხელოვნების განყოფილებისა, მუსიკალური კოლეგიისა და სხვ. სათანადო ორგანოების მიერ. კრებულს განიხილავს აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭო, რის შემდეგაც იგი გამოცემული იქნება.

— **ვერის მუსიკალურ სასწავლებელში** შესასვლელი განცხადებების მიღების დრო გაგრძელებულია 19 სექტემბრამდე.

— **კანტანტა „ოქტომბერი".** კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილმა დასწერა კანტანტა „ოქტომბერი".

— **სახ. კონსერვატორიაში.** მეცადინეობა დაიწყება 25 სექტემბერს.

— **პლეხანოვის სახელობის** მუსიკალურ სასწავლებელში მისაღები გამოცდები დაიწყება დღეიდან.

— **ტრეტიაკოვის მოხსენება.** შაბათს, 17 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების სასახლეში პოეტი სერგეი **ტრეტიაკოვი** წაიკითხავს საჯარო მოხსენებას „მემარცხენე ფრონტის მტრები და მოკავშირენი".

მესამე საგლეხო სესხი

დღეს, 15 სექტემბერს, ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანის ოლქის სტანიცა სლავიანსკაში იწყება მესამე საგლეხო მომგებიანი სესხის პირველი ტირაჟი.

სულ გათამაშებული იქნება 175.161 მოგება 1.875.000 მან. რაოდენობით. მოგება განაწილებულია შემდეგნაირად: ერთი მოგება — 5.000 მან., 10 მოგება — თვითეული 2.000 მანეთი, 50 მოგება — თვითეული 1.000 მან., 100 მოგება —თვითეული 500 მანეთი და 175.000 მოგება—თვითეული 10 მან.

ობლიგაცია, რომელიც მოიგებს ამ ტირაჟში, არ იფარება და მონაწილეობას მიიღებს მოგებათა ყველა შემდგომ ტირაჟებში.

იმ ობლიგაციების ნომრები, რომლებსაც ხვდება მოგება, დაბეჭდილი იქნება გაზეთ „იზვესტია"-ში, და აგრეთვე სხვა გაზეთებშიაც. ამას გარდა, ტირაჟის შემდეგ მოგების ცხრილები დაეგზავნება ყველა ბანკებს, შემნახველ სალაროებს, საფინანსო ორგანოებს და სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს.

ობლიგაციების შეძენა შეიძლება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში.

სამი წლის განმავლობაში მესამე საგლეხო მომგებიანი სესხის ტირაჟები შესდგება ექვსჯერ (წელიწადში ორჯერ); სულ ამ ტირაჟებში გათამაშებულ იქნება 750.866 მოგება 8.250.000 მანეთის რაოდენობით. ამას გარდა, ობლიგაციაზე წლიურად გაცემული იქნება სარგებელი 6 პროცენტის რაოდენობით.

ბიტუმის დამუშავება

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საკითხი ნატანების რაიონში ბიტუმის მადნების საექსპლოატაციო სამუშაოთა დაწყების შესახებ. სამთო ტრესტს დაევალა მოახდინოს ბიტუმის დასამუშავებელი ქარხნის ასაგები ადგილის დაწვრილებითი ტოპოგრაფიული აგეგმვა, თანახმად პროფ. სახაროვის რჩევისა.

ამასთანავე გადაწყვეტილია დაჩქარებით შეუდგენ მადნების დამუშავების ტეხნოლოგიური საკითხების გამორკვევას და ქარხნის აგების შესწავლას.

სამთო ტრესტს წინადადება მიეცა სასწრაფოდ შეუდგეს ბიტუმის ნიმუშების დამზადებას და თბილისში მოაწყოს აღნიშნულ ნიმუშების კვლევა ლაბორატორიული წესით.

პრეზიდიუმმა ამასთანავე განიხილა გზა-ტკეცილების სამმართველოს შუამდგომლობა ბიტუმის გამოყენების შესახებ საგზაო მშენებლობაში. გზა - ტკეცილების სამმართველოს განზრახვა აქვს ბიტუმით მოაგოს ზოგიერთი გზები

ხარჯების შემცირება 20 პროცენტით

თანახმად მთავრობის უმაღლესი ორგანოების დირექტივებისა, მომავალი საანგარიშო წლიდან გადაწყვეტილია შემცირებული იქნეს ადმინისტრატიული და სამეურნეო ხარჯები ყველა დაწესებულებებში და წარმოებებში—20 პროცენტით.

ს. მ. უ. ს. მიერ მომავალი წლისათვის ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შესამცირებლად უკვე მიღებულია ზომები; სათანადო განკარგულებები დაეგზავნა ყველა ტრესტებს და ცალკე შენაერთებს. ხარჯების მომავალი შემცირების მნიშვნელობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ს. მ. უ. ს. სარევიზიო განყოფილების გამგემ ამხ. **ჯანელიძემ** გადასცა შემდეგი:

— ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირება 20 პროცენტით მეტად რთულ საკითხს წარმოადგენს. ერთის მხრივ, ჩვენ გვაქვს ისეთი ტრესტები, სადაც ხარჯების ყოველგვარი შემცირება უკვე მაქსიმუმამდე არის მიღწეული და მეორეს მხრივ წინასწარი სამზადისათვის ასეთი მნიშვნელოვანი კამპანიის ჩასატარებლად დაგვრჩა ძალიან მცირე ვადა—დაახლოვებით 17 დღე. ხარჯების 20 პროც. შემცირება უნდა მოხდეს პირველი ოქტომბრიდან. ამ მიზნით, უკვე დაგზავნილია შესაფერი ცირკულიარები და განმარტებები ყველა ტრესტებში. სადაც მათ წინადადება ეძლევათ აღნიშნული საქმე დაასრულონ 1 ოქტომბრამდე. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროც. შემცირება ს. მ. უ. საბჭოს წლის განმავლობაში მისცემს დაახლოვებით 300.000 მან. ეკონომიას.

ხარჯების შემცირება ჩატარებულ იქნება არა მარტო მექანიკურად, ე. ი. შტატების შემცირებით, არამედ აქ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ე. წ. წარმოების რაციონალიზაცია, პროდუქციის გამომუშავების ზრდა და ამავე დროს ხარჯების ერთ დონეზე დატოვება.

აღნიშნული კამპანია ჩვენ უკვე დავიწყეთ სექტემბრის პირველ რიცხვებიდან და იმედი გვაქვს, რომ იგი ყველა ტრესტებში და წარმოე

ხორცის დამზადება

ამიერ-კავკასიის „მიასოტორგმა" საჭიროთ სცნო ამიერ-კავკასიის 5 უდიდეს ქალაქის საჭიროებისათვის 1927—28 წლისათვის შეისყიდოს 81.800 სული მსხვილფეხა საქონელი, 65.333 სული ცხვარი და 24.500 ღორი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შეძენილია 8.600 სული საქონელი. აქედან 60 პროც. ჩრდილოეთ-კავკასიაში, 19 პროც. ყარსში და 21 პროც. სპარსეთში.

სპარსეთში საქონლის შეძენას ჰქონდა ეპიზოდიური ხასიათი, ამიტომ 1927—28 წლის გეგმით სპარსეთში საქონლის შეძენა გათვალისწინებული არ არის.

სპარსეთის მაგიერ გადაწყვეტილია მეტი საქონლის შეძენა ჩრდილოეთ-კავკასიაში.

1927—28 წლის გეგმის თანახმად მთელი საქონლის 80 პროც. (33.400 სული) შეძენილი იქნება ჩრდილოეთ-კავკასიაში და 20 პროც. (8.360 სული) ყარსში (ოსმალეთში).

ადგილობრივ კი ხორცის დამზადება იწარმოებს ყაზახის და ნავთლუღის რაიონებში და დასავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში შეძენილი იქნება სულ 10.000 სული; აღმოსავლეთ საქართველოში 2 7000 სული.

თემების საჭირბოროტო საკითხების შესახებ გორის მაზრაში

ამ ორი კვირის განმავლობაში მომიხდა რამოდენიმე თემის სოფლების და თვით თემის ცენტრების დათვალიერება. აქ არ შევჩერდები იმ ფრიად მნიშვნელოვან მიღწევებზე, რომლებსაც ადგილი აქვს სამეურნეო - კულტურულ მშენებლობის და საბჭოების გამოცოცხლების დარგში, მინდა ავღნიშნო ის უარყოფითი მოვლენები, რომლებიც თხოულობენ მოწესრიგებას.

მაზრის აღმასკომის ხელმძღვანელობით ყველა თემის საბჭოებიდან გამოყოფილია ყოველ სოფელში სხვადასხვა კომისიები, ქალაქის საბჭოებში-კი სექციები. ეს კომისიები, და სექციები არიან შემდეგი: 1) საგზაო-საალმშენებლო, 2) კულტურულ-განმანათლებელი (სანიტარია და სკოლა, 3) საგადასახადო და საადგილ-მამულო. როგორც საბჭოების, ისე კომისიების მუშაობაში მრავალ ნაკლს ვამჩნევთ, მოვიყვანოთ მაგალითები:

1) სოფ. ალაიანი შესდგება 173 კომლისაგან. ეს სოფელი შედის კასპის თემში. აქ არის მშვენიერი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, რომელიც კარგად მუშაობს. მაგრამ არ არის ამ სოფელში სისუფთავე, არ ვარგა სასოფლო გზები და სხ. როდესაც შევეკითხე სოფლის საბჭოს წევრებს, თუ რატომ არ აკეთებენ აუცილებელ გზებს, გვიპასუხეს, რა ვიცით როგორ დავიწყოთ მუშა ხელის გამოყვანაო, უცდით თემის აღმასკომს და ჯერაც არ ყოფილა არჩევნების შემდეგო.

2) ტყვიავის თემის სოფლებშიც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც სოფელ ალაიანში. თემის აღმასკომის წევრები, გარდა სოფელ ძევერისა, არც ერთ სოფელს არ იცნობენ ახლო. ძევერაშიაც ერთი სახაზინო კასა ყოფილა და მხოლოდ მის წყალობით მომხდარა მათი ძევერასთან დაახლოება, რომ წამოეღოთ კასა ტყვიავში და გადაეცათ ს. ს. საკრედიტო ამხანაგობისათვის, რითაც უკმაყოფილოა ძევერის მშრომელი გლეხობა.

3) შინდისის თემის საბჭომ თავის ენერგიულ აღმშენებლობით გააძლიერა თემის ბიუჯეტი, მაგალითად, აგურის ქარხნის მოწყობით და სხვა. მაგრამ სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თვით თემის ცენტრში პირდაპირ დეგეზარება მიმოსვლა, რადგან გზები სულ არ ვარგა და სისუფთავეც არ არის დაცული. სოფ. შინდისში ს. მ. უ. ს. ხელმძღვანელობით შენდება მშვენიერი ხილის სახმობი ქარხანა, რომლის აგება სამწუხაროდ, მიდის ძლიერ ნელი ტემპით. ცოტა არ იყოს საქმისადმი ერთგვარ გულგრილობას შეატყობთ. როცა ადგილობრივ ხელმძღვანელ ტეხნიკოსს ვკითხე, თუ როდის უნდა გათავდეს სახმობი ქარხანა, პასუხი დაუკმაყოფილებელი მივიღე: არც იცის, თუ როდის უნდა გათავდეს თვით აგურის კედლები, არამც თუ მთლად. აქედან შეიძლება დავსკვნათ, რომ წელეულ სახმობი ქარხანა არ მოესწრება ხილის მოსავალს, რაც სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს. მეჯვრისხევის ხილის სახმობზე ხომ ლაპარაკიც ზედ-მეტია,—იქ მხოლოდ ბალავერია ჩაყრილი და მეტი არაფერი. საჭიროა ს. მ. უ. საბჭომ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება აღნიშნულ ქარხნების აგების დაჩქარების საკითხს, რადგან ყველამ კარგად იცის მათი მნიშვნელობა, გლეხობის დამპალ და ქარ-ნაყარ ვაშლისათვის.

4) ვნახე ტირიფონის არხის ცენტრალური მაგისტრალი და თვით სათავეც. ამ არხის დათავებას ბოლო აღარ უჩანს, ეხლა თუმცა სათავეზე მუშაობა გვარიანად მიდის. ჩვენი აზრით, არხის მშენებლობის გაჭიანურებაში ბრალი მიუძღვის ინჟ. ლიაძეს და მის „მეგობრებს". მიუხედავათ იმისა, რომ ლიაძეს 1926 წ. მოეპოვებოდა 150,000 მანეთი, მან მაინც არ აწარმოვა მთელი არხის სიგრძეზე მუშაობა და არ დაამთავრა ამ მუშაობის წვრილმანები: სიფონები, ხიდები და სხვა წვრილი ტეხნიკური სამუშაო. ისე აგვიანებენ ამ არხის დამთავრებას, თითქოს ფიქრობენ: არ გამოილიოს სამუშაო და მერმე უმუშევარი არ დავრჩეთო მუშაობას იმ დროს კიდებენ ხელს როცა სოფელში მუშა ხელი არ იშოვება, აგრეთვე სიფონებს და სათავეს იმ დროს იწყებენ, როცა წყალ-დიდობა მოსალოდნელია. საბჭოთა ხელისუფლება ძალიან პატივს სცემს წითელ სპეცებს, სპეცებმაც უნდა გაამართლონ მათდამი ასეთი დამოკიდებულება.

არ ყოფილა ფულის კრიზისი და მუშაობა კი ხშირად შეჩერებულია. საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექცია გაეცნოს და გამოარკვიოს აღნიშნული საქმე და ვის მიზეზითაც ზარალი არის გამოწვეული, პასუხისმგებლობა დააკისროს. ამ ხუთი დღის წინ სათავის მშენებლობაზე მთელი ახეული საჟენი გაწმენდილი ქვიშა გაატანეს ლიახვს. ინჟენერმა უნდა იცოდეს, თუ სად უნდა დასდოს ქვიშა-ღორღი, მით უმეტეს, რომ ლიაძემ კარგად იცის ლიახვის ცხარე მოვარდნის ამბავი, მასთან ქიშპობა ცოტა არ იყოს სიფრთხილეს თხოულობს.

5) ორიოდე სიტყვა სურამის აღმასკომის მუშაობის შესახებ. აღმასკომის მუშაკებს თითქო ენერგიული მუშაობა ეტყობათ. მათ გაუკეთებიად წრევანდელ ბიუჯეტის საშუალებით ერთი დიდი საზაფხულო კლუბი, ეს ძალიან კარგია. მაგრამ დავიწყებია ზამთრის კლუბის შენობა, სადაც, როცა ავდარია, საჭიროა ძოლგა და რეზინის ჩექმები. თორემ სულ დასველდები, რაც გინდა კარგი წუღები გეცვას. ვიცით კარგად, რომ რა მნიშვნელობა აქვს საზამთრო კლუბს ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ამიტომ ჯერ ის უნდა გაეკეთებინათ და მერმე საზაფხულო, რადგან საზაფხულო უფრო თბილისიდან ჩამოსულებისათვის არის. თუმცა სურამის ბიუჯეტი შეადგენს 92,000 მანეთს, ეკონომიით რომ ემუშავა სურამის თემის აღმასკომს, შეიძლებოდა ზამთრის კლუბიც გაეკეთებინა.

გზები აქაც არ არის სანუგეშო, თუმცა სურამი მეორე ხარისხის კურორტად ითვლება. წრეულ ოთხი ათასი მოაგარაკე ყოფილა სურამში, ამიტომ საჭიროა გზები გაკეთდეს, რათა მომავალში გაიზარდოს მოაგარაკეთა რიცხვი, რაც ყველასათვის ხელსაყრელია. საჭიროა სურამის აღმასკომმა მოახდინოს თვითდაბეგვრა სურამის მაცხოვრებლებისა და გააკეთოს აღნიშნული გზები.

6) ქალაქ ხაშურში ახალი ბევრი რამ კეთდება, თითქმის მთელი გზები სულ ახლად არის გაყვანილი, რაც მცხოვრებლებს უადვილებს მიმოსვლას, აგრეთვე მშვენიერი კოოპერატივება, როგორც რკინის გზისა, ისე ქალაქისაც. მაგრამ აქ არის, როგორც ვიცით, მუშათა ცენტრი, სადაც, შეიძლება ითქვას, ერთი ყველასათვის, ბევრი კი თავთავისთვის, რას ნიშნავს ეს ფრაზა? ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქ ხაშურში უკვე ოთხი დეპოს უფროსი გამოიცვალა და მეხუთესაც ალბად არ იწონებენ. ვგონებ, რომ აქ პატარა მიზეზი არ უნდა იყოს საფუძვლად. მთავარი მიზეზი ის არის, რომ, სამწუხაროდ, ადგილობრივი პარტორგანიზაცია მოიკოჭლებს და ვერ თამაშობს საჭირო როლს. არა იშვიათად ადგილი აქვს კინკლაობას იმის მაგივრად, რომ პროფკავშირის მუშაობას ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივ ამხანაგებმა, გააძლიერონ საწარმოო უჯრედები და აამუშაონ საწარმოო თათბირები.

ზოგიერთი დანაშაული სპეცებსაც მიუძღვით. ისინი მოწყვეტილი არიან პროფკავშირისა და ადგილკომებისაგან; ისინი არსებულ განრიგებას ტრაფარეტულად ატარებენ და არ აცნობებენ მასიურ ორგანიზაციას რაიმე ზომების შესახებ, დარწმუნებული ვარ, რომ გააცნოს მუშებს თავისი მოვალეობა და ფუნქციები, გაუგებრობას ადგილი არ ექნება. საჭიროა დაკავშირება და დაახლოვება შრომის კომისრისა ქ. ხაშურთან, გაცნობა საქმის ვითარების, თუ რატომ ხდება უთანხმოება მუშებსა და ადმინისტრაციას შორის და შემდეგ ყოველივე ნაკლის გამოსწორება. აგრეთვე ადგილობრივ შრომის რწმუნებული მერყევი კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა იყოს კოლექტიურ ხელშეკრულებას კარგად გაცნობილი და იცავდეს მას მტკიცედ.

რაც შეეხება ხაშურის თემის აღმასკომის მუშაობას, მისი უახლოესი ამოცანაა ჩააბას გლეხობა კულტურულ-სამეურნეო მშენებლობაში. მაზრის აღმასკომი 10.000 მანეთის რაოდენობით აძლევს გრძელვადიან სესხს: ქალას, ოსიაურს, ცხრა-მუხას და ყველა იმ სოფლებს, რომლებიც შედიან ხაშურის თემში. საჭიროა ენერგიის გამოჩენა მშრომელ ხალხთან ერთად. რაც შეეხება მოსახლეობას, მას ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს საბჭოს სახელით. და არავითარ შემთხვევაში ცალ-ცალკე პირების სახელით, როგორც, მაგალითად, ქვიშხეთში ვხედავთ. ცალკე პირების მიერ სოფ. ქვიშხეთში დაარსებულია სატრაქტორო-სამანქანო ამხანაგობა, რომელსაც სამწუხაროდ თემის აღმასკომი კარგათ არ არის გაცნობილი, არც ის იცის, ვინ არიან შიგ, კულაკები თუ ღარიბები.

უკვე იწყება შემოდგომის თვეები, როცა სოფლის მოსახლეობა ნაწილობრივ თავისუფლდება თავის მუშაობიდან, ამის შემდეგ საჭიროა დავიწყოთ მუშაობა საბჭოთა არჩევნების დროს მიღებული განაწესების თანახმად. უნდა დავამთავროთ ის სამუშაოები, რომელსაც პირველ რიგში თხოულობს სოფლის უღარიბესი და საშუალო გლეხობა, რაც შეეხება ზემო-აღნიშნული თემ-აღმასკომების მუშაობის ნაკლულოვანებათა გამოსწორებას, ეს უნდა მოხდეს დაჩქარებით, ყველა სოფლის არჩეულმა კაცმა უნდა იცოდეს თავის სოფლის ოჯახობრივი მდგომარეობაც-კი, თემის აღმასკომმა კი ყველა სოფლების საჭირბოროტო საკითხები, ამიტომ საჭიროა თემის აღმასკომის აპარატი არ იყოს ბიუროკრატიული აპარატი.. უნდა დავდიოდეთ ხშირად სოფლებში, თუ ჩვენი დავალებული სამუშაოები როგორ სრულდება სოფლის სათანადო კომისიების მიერ, ამას უნდა ამოწმებდნენ თემის აღმასკომის წევრები და თავმჯდომარეც.

ვ. ქურდაძე.

პატარა ფელეტონი

ორი გრაცია, ემიგრაცია, ფეხზე გვკიდია ჩვენი ნაცია

ემიგრანტები შემოკრბენ,
ამაზე ჰქონდათ ცილობა
სპირდონ თუ ნოე? ამ ორში
რომელს აქვს გამოცდილება?
ორად გაიყვენ, დარაზმდნენ,
ორთავ დაკარგეს ზრდილობა.
თითომ ცალ-ცალკე ფაშისტებს
შეუკრეს ჩუმად პირობა.
სპირდონმა ნოეს აჯობა,
ქარუმიძეც კი ჰკვირობდა.
— მალადეც! სპირდონ, მალადეც!
ის ლაპლაშეზე ყვიროდა.
ნეტა თუ როგორ მიიღო
რომანოვების შვილობა?
თანაც ქანქარი მრავალი,
არ მცირე, დიდი წილობა;
ხერხი სჯობია ღონესა,
დიდია კომბინაცია!
მართლაც რად გვინდა, რახ გვარგებს
რაღაცა სეპარაცია.
ავტონომია არ კმარა,
თუ ქართველს ჩოხა აცვია?
თუშური ქუდი, მასრები!
აი, რა არის ნაცია.
ნოე გაბრაზდა, ყვიროდა:
„კიდია ჩემზე ფლიდია?
ნუ თუ მე იმან მაჯობოს,
კომბინატორი დიდია?
მე კომუნისტებს ვებრძოლო,
და სხვას გაუდო ხიდია?
თუ კი პორთფელი წამერთო,
ერიც ფეხებზე მკიდია.—"
ნოემ დასწერა უსტარი,
ემისარს მისცა გვარიანს;
ნაცარქექია ჯგუფებში
განწყობილება მწარია.
ეს ისტორია რაც ვიცით,
შავებს არ გაუხარია.
რა მოხდა ემიგრანტებში,
ანუ რა გლოვა - ზარია?

ასათიანი ფალავნობს,
[illegible]
„— როგორ [illegible] შარია
პროვოკაციის გვარია?"
და დაამტვრია თავს სკამი,
ბღვრიალებს, როგორც ხარია.
ჩხენკელი ძვრება ტახტის ქვეშ,
როგორც დამფრთხალი ვარია.
ულტიმატუმიც დასწერეს:
„ეგ ნოე მიუკარია.
მოხსენით „მინისტრობიდან",
რომ კიდევ მოგცეთ მხარია!
ბებერმა ნოემ მოიხმო
იაფეტ — ხიმი—ხამია.
უთხრა: „შეუნდეთ ერთმანეთს,
განა თუ ჩხუბის ჟამია?
წყარო აღმოჩნდა, რა წყარო,
ის ხელსაყრელი რამეა.
ჩვენს მორჩილს მდივანს ჯვარსა ვწერთ,
კიდეც ვსთქვათ მრავალჟამია.
კინო მსახიობს პოლა ნეგრს
ფული აქვს უამრავია.
თუ თავადობა ვუბოძეთ —
წერა ხომ ჩვენი ვალია—
ავავსებთ ჩვენსა ხაზინას,
გროში აღარ ძევს ცალია.
საქმეებს მოვაკვარაცხებთ,
ჩვენც დავირჩინოთ თავია.
ბოლშევიკებსაც ვუტიოთ,
ჩვენი მიზანიც აგია,
გვაზავს მეთაურობით,
ერთხმად შესძახეს: კაია!
თამადათ დასვეს ჩხენკელი,
ღვინო ისმება ლალია.
გადაჰკრეს, კიდეც შესძახეს...
ქართული მრავალჟამია.
ნაშიმშილევი კუჭები,
ერთხელ დაიძღეს ძამია!
მათ აშენებულს სამშობლოს
აქვს ჩემი ცოდო - ბრალია!

ბენო გეშტია.

ქრონიკა

მისალმება ცაკს

საქართ. ცაკმა შორაპნიდან მიიღო შემდეგი მისალმებელი დეპეშა:

„შორაპნის მაზრის აღმასკომის მესამე მოწვევის პლენუმი ჭიათურის პროლეტარიატთან ერთად მხურვალედ გესალმებათ თქვენ საქართველოს მუშების და გლეხების ხელმძღვანელთ, პლენუმი ღრმად დარწმუნებულია, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს მუშები და გლეხები მიაღწევენ სრულ გამარჯვებას".

ამხ. პეტროვსკის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ცაკის წევრი, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი საბჭოთა კავშირის მთავრობასთან, ამხ. დ. პეტროვსკი .

ა. კვინიკაძის დანიშვნა

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის სოციალურ კულტურის სექციის თავმჯდომარედ და საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა ამხ. ა. კვინიკაძე.

100 ათასი მანეთი ტირიფონის არხის გასაყვანად

ამ.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გაუხსნა კრედიტი წყალთა მეურნეობის სამმართველოს 100.000 მანეთის რაოდენობით ტირიფონის არხის გასაყვან სამუშაოთა დასასრულებლათ.

დახმარება მეთამბაქოებს

ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა გაუხსნა კრედიტი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს 100.000 მან. რაოდენობით აფხაზეთის მეთამბაქოეთა დასახმარებლათ. კრედიტები უნდა მოხმარდეს უმთავრესად თამბაქოს საწარმოო სამუშაოთა გაუმჯობესებას.

სარვანის ველის მორწყვა

წყალთა მეურნეობის სამმართველო ამჟამად აწარმოებს სარვანის ველის მოსარწყავად შესაფერ საგამოკვლევო სამუშაოებს, რაც დასრულებულ იქნება სექტემბრის ბოლომდე. აღნიშნულ ველზე სულ მოირწყვება 15.000 დეს. მიწა.

ველის მოსარწყავი წყალი გადმოშვებულ იქნება მდ. ალგეთიდან.

შირაქის ნავთი

შირაქის ნავთის სამუშაოთა დასათვალიერებლათ დღეს შირაქში მიემგზავრება სამთო ზედამხედველობის უფროსი ინჟ. ა. **კანდელაკი.**

შირაქში ნავთის საგამოკვლევო სამუშაოებს აწარმოებს იტალია - ბელგიის საკონცესიო საზოგადოება, რომელმაც უკვე დაიწყო საცდელი ჭაბურღილის ამოღება.

თამბაქოს სინდიკატი

თანახმად საბჭოთა კავშირის უმაღლესი ორგანოების დადგენილებისა, გადაწყვეტილია მოეწყოს სრულიად საკავშირო თამბაქოს სინდიკატი, რომელშიაც წევრებად შევლენ სხვადასხვა რესპუბლიკებში არსებული თამბაქოს ტრესტები.

სინდიკატში შესვლა გადაწყვეტილი აქვს საქართველოს თამბაქოს ტრესტსაც.

ასანთის შემოზიდვა

ამ.-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ცნობით, მომავალ საანგარიშო წლის განმავლობაში ა.-კ. რესპუბლიკებში შემოზიდულ იქნება 110 ვაგონი ასანთი.

კრედიტი მუშა - მოსამსახურეებს

დღეიდან იწყება მუშათა მთლიან კოოპერატივებიდან საქონლის კრედიტით გაცემა მუშა-მოსამსახურეებზე.

მაუდის ფაბრიკა

თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის ინგლისში დამატებით შეკვეთილი იქნება 160.000 მანეთის საჭირო იარაღ-მანქანები.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ფართლეულის გაიაფება.** 15 სექტემბრიდან სოხუმის. სავაჭრო ორგანიზაციები შეუდგებიან ფართლეულზე ფასის დამატებითი დაკლებას.

◆ **ტყვია და კალა.** ა. კ. სახ. ვაჭრობის სამმართველომ მიიღო დიდძალი ტყვია და კალა.

◆ **პური.** ცეკავშირმა აჭარისტანში გაგზავნა ათი ვაგონი პურის ფქვილი.

◆ **ცემენტი.** ა-კ. სახ. ვაჭრობამ მიიღო 2 ნახევარი მილიონი კილო ცემენტი; აქედან ნახევარი დაეთმობა საქართველოს.

სახალხო განათლება

◆ **გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები.** განათლების კომისარიატმა ტყვიავში და ხაშურის თემში (გორის მაზრა) გახსნა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები.

შემთხვევები

გაძარცვის სიმულიაცია

ოზურგეთის სამაზრო მილიციის სამმართველოში გამოცხადდა სახ. დაზღვევის სამეურნეო განყოფილების გამგე გ. მ. შარაშენიძე და განაცხადა, რომ მას ყაჩაღებმა წაართვეს 1.200 მანეთი.

მაზრის მილიციის უფროსის მიერ მიღებული ზომებით გამოირკვა. რომ აღნიშნული თანხა მიითვისა შარაშენიძემ და ნაწილი იქიდან გაფლანგა. შარაშენიძე დაპატიმრებულია; იგი გამოტყდა დანაშაულში.

— **მცირეწლოვანი** დავით ციმაკურიძე, რომლის ქურდობის შესახებ გუშინ ჩვენს გაზეთში იყო მოთავსებული ცნობა, არ არის ამჟამად სად. ნავთლუღში მაცივარის აშენების სამმართველოში მომუშავე დავით მიხეილისძე ციმაკურიძე.

— **ბოქლომის გატეხის** საშუალებით 12 სექტემბერს მიმოსვლის ქ. № 19 გაქურდეს ვასილ მანუკოვის ბინა. წაიღეს 155 მანეთის ნივთები.

— **კახეთის მოედანზე** გაქურდეს გლეხი ვასილ ტოკლიკაშვილი.

— **გაუპატიურება.** სოფ. ლიუბანში (თბ. მაზრა) დათა კენკებაშვილმა გააუპატიურა 9 წლის ბავშვი. შ. გ—შვილი. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 14 სექტ. კურსკის ქუჩაზე ირაკლი ქავთარაძეს ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები.

◆ **ღია ფანჯარაში გადაპარვის** საშუალებით 12 სექტ. ყიფიანის ქ. 29 გაქურდეს შალვა ჩულაძის ბინა.

◆ **ჯიბგირების შეპყრობა.** 29 აგვ. შეიპყრეს ჯიბგირები სარქის გასპარიანცი, გურგენ ოსიპიანცი, არშაკ სერაპიანცი და ვაღო არშაკიანცი (ქეელა უბინაოა).

ქუთაისი

წითელ-დროშოვანი არმიის პარადი

დასავლეთ საქართველოს წითელი ჯარების ალღუმების დამთავრების გამო, 9 სექტემბერს, ქუთაისში, პარიზის კომუნის მოედანზე გაიმართა ჯარების პარადი, რომელიც მიიღო ა. კ. წითელდროშოვანი არმიის მთავარსარდალმა ამხ. **ლევანდოვსკიმ.** ნაწილების ჩამოვლისა და სათანადო მისალმების შემდეგ, მოედანზე, ლენინის ძეგლის წინ, მრავალრიცხოვანი ხალხის თანდასწრებით, გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ პარტკომის პ. მ. მდივანი ამხ. **ა. ურუშაძე,** წითელდროშოვანი არმიის მთავარსარდალი ამხ. **ლევანდოვსკი,** ინტელიგენტური აქტივის წარმომადგენელნი **გ. კაპანაძე** და **ტ. ჯაფარიძე,** წითელი არმიის მუშებისა და ქალთა განყოფილების წარმომადგენელნი და სხ. პარადს დაესწრო აგრეთვე შემთხვევით ქუთაისს სტუმრად ჩამოსული ძველი რევოლიუციონერი, ამხ. **კრილენკო,** რომელმაც აღფრთოვანებული სიტყვით მიმართა წითელ ლაშქარს. საზოგადოება მქუხარე ტაშითა და ოვაციებით შეხვდა ამხ ლევანდოვსკისა და კრილენკოს, რომელნიც ხალხში აყვანილი შემოატარეს მთელი მოედანი. პარადის გარეგნულ ელფერს დიდათ შეუშალა ხელი გადაუღებელმა წვიმამ.

საარქივო მასალების დაცვა

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ე. ლვამიჩავამ** წინადადებით მიმართა სხვადასხვა დაწესებულება -ორგანიზაციებს იმის შესახებ, რომ არავითარ შემთხვევაში **არ გაჰყიდონ,** ან არ გაანადგურონ საარქივო მასალები და საზოგადოდ, ცხოვრებაში გაატარონ არქივის დაცვის შემდეგი წესები:

ყველა დასრულებული საქმეები, მიწერ-მოწერანი, საკანცელარიო მასალები, დავთრები, ქაღალდები, რუქები; ნახაზები; ბეჭდვითი გამოცემანი და სხ. 5 წლის განმავლობაში უნდა ინახებოდეს თვით დაწესებულებაში, სხვა მიმდინარე საქმეებისაგან განცალკევებულად: შემდეგ კი ყველაფერი უნდა გადაეცეს ცენტრალური არქივის ქუთაისის განყოფილების არქივს საცავს, რომელიც მოთავსებულია დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს შენობაში.

სასამართლო

მფლანგველები „ემსში"

მეორე და მესამე დღე

მეორე და მესამე დღის სხდომებზე გრძელდებოდა ბრალდებულ უნაფქოშვილის, დაგუნოვის და ბარშაკის დაკითხვა.

უნაფქოშვილი გადაჭრით უარყოფს მისდამი წაყენებულ ბრალდებას. იგი აცხადებს, რომ ბრალდებულ მელიავასაგან მას ფული არ მიუღია და საერთოდ არასოდეს არავითარი კავშირი არ ქონია „ემსში" ჩადენილ ბოროტმოქმედებასთან.

ასეთ კილოზე ლაპარაკობს მესამე ბრალდებული — „ელმაშტრესტ"-ის კანტორის ყოფილი გამგე **ივანე დოგუნოვი,** რომელიც კატეგორიულად უარყოფს მის მიერ მელიავასაგან 1.200 მანეთის მიღებას.

ბარშაკი კი აცხადებს. რომ მელიავასაგან მას ჩაბარებული აქვს 689 მანეთი, ხელწერილის ქვეშ. — არ შეეფერება სიმართლეს მელიავას ჩვენება იმის შესახებ, თითქოს ამ თანხის გარდა მისთვის მელიავას გადაეცეს კიდევ 705 მანეთი.

ბრალდებულების და მოწმეების დაკითხვა გაგრძელდება დღევანდელ სხდომაზე.

მკვლელობა ახალ წლის ღამეს

1927 წლის 13 იანვარს სოფელ ჰიკაანის (თალავის მაზრა) მცხოვრებნი „მამაპაპურად" ეგებებოდნენ ახალ წელიწადს ძველი სტილით. ნაშუადღევს, როდესაც გლეხები უკვე საკმაოდ შეზარხოშებული იყვნენ, მოულოდნელად გაისმა ქალის კივილი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

გამწარებული ხმით ყვიროდა მანანა ბოსტანაშვილი, რომელიც ხალხს დასახმარებლად მოუწოდებდა. გლეხები ბავშვიან-ქალებიანად გაცვივდნენ გარეთ და დაინახეს, რომ იწვის ვანო კომისაროშვილის კარ-მიდამო. გლეხებმა მიატოვეს გაშლილი სუფრა და აჩქარებული ნაბიჯით მიირბინეს შემთხვევის ადგილზე, სადაც შემდეგ სურათს წააწყდნენ: ცეცხლის ალში გახვეულია თავის მოზრდილი ხვინი, რომელსაც ამოღებული ხანჯლით გარშემო უვლის მისი პატრონი ვანო კომისარაშვილი და არავის არ აძლევს ხვინთან ცეცხლის ჩასაქრობად მიახლოვებას. ცეცხლი თანდათან ძლიერდება და ემუქრება ახლო მდებარე ნაშენებს. სარებით, კეტებით და ქვებით შეიარაღებულ გლეხებს იერიში მიაქვთ გაგიჟებულ ვანოს წინააღმდეგ. იგი ვერ უძლებს შეტევას და შერბის თავის ოთახში იგი არც იქ ისვენებს, ბორგავს და ლამობს ოთახთან მისულ გლეხებზე თავდასხმას. ამ დროს მასთან მიდის თემის აღმასკომის თავმჯდომარე დარჩო ბიქოევი და გაგიჟებულის შესაშინებლად ჰაერში გაისვრის რევოლვერს. ეს კიდევ უფრო აგიჟებს კომისარაშვილს, რომელიც ხანჯლით მკლავში სერის აღმასკომის თავმჯდომარეს. გამწარებული ბიქოევი თავქუდმოგლეჯილი გარბის თავის საშველად, კომისარაშვილი კი გამოდის ოთახიდან და შეუპოვრად ეჯახება მისულ გლეხებს. იმართება ხელჩართული ბრძოლა. თავდაუზოგველად ებრძვის კომისარაშვილს განსაკუთრებით სამი გლეხი:**ვანო ხომალდაშვილი, ვანო გოგალაძე** და **პავლე სვიმონიშვილი.** დიდი ვაივაგლახით დაიმორჩილებენ გაგიჟებულ ვაჟკაცს, რომელსაც დაუნდობლად სცემენ კეტებს და ქვებს. ხელშეხვეული ბრუნდება შემთხვევის ადგილზე აღმასკომის თავმჯდომარე დარჩო ბიქოევი, მაგრამ უკვე გვიან არის. ცემით დასახიჩრებული ვანო კომისარაშვილი უსულოდ გდია მიწაზე. ამ მკვლელობის გამო მეორე დღესვე დააპატიმრეს ვანო ხომალდაშვილი, ვანო გოგოლაძე. პავლე სვიმონიშვილი და ჰიკაანის აღმასკომის თავმჯდომარე დარჩო მიქოევი. პირველ სამთაგანს ბრალი დასდეს კომისარაშვილის მკვლელობაში. ხოლო მეოთხეს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს. უმოქმედობის გამოჩენაში. აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ, რომელმაც ეს საქმე გაარჩია, შემდეგი განაჩენი გამოიტანა: ვინაიდან ბრალდებულებმა გადააჭარბეს თავდაცვის აუცილებელ საზღვარს მაშინ, როცა დაზარალებული დაცვის საშუალებას მოკლებული იყო, სისხლის სამართლის კოდექსის 149 მუხლის ძალით მიესაჯათ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დარჩო ბიქოევი ცნობილი იქნეს უდანაშაულოდ.

თავდასხმა

ამ დღეებში აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლო გაარჩევს **პერისლავცევის** და **სამადუროვის** საქმეს.

მათ ბრალდებათ თავდასხმა გაძარცვის მიზნით მეეტლე ბუნდიგოვზე.

გასულ წელს მეეტლე ბუნდიგოვმა გაჰყიდა თავის ცხენები და გამოვიდა ბაზარზე სხვა ცხენების საყიდლად. მივიდა ერთთან, მივიდა მეორესთან ცხენის საყიდლად, მაგრამ ვერ მოურიგდა და უკან გამობრუნდა. ვაჭრობის დროს მას თვალს ადევნებდა რამოდენიმე საეჭვო პირი,—რომელნიც გაჰყვნენ უკანდაბრუნებულ მეეტლეს.

როცა ბუნდიგოვი მიყრუებულ კუთხეში აღმოჩნდა, ბოროტმოქმედნი მივარდნენ მას. სცემეს ძალზე და ფულიც წაართვეს.

რამოდენიმე კვირის ძებნის შემდეგ მილიციამ შეიპყრო ბოროტმოქმედნი, რომელნიც აღმოჩნდნენ ზემოდასახელებულნი პირები.

რკინისგზებზე

ნავთის პროდუქტების ექსპორტი

წყალდიდობამ ბათომის ხაზზე შვიდი დღით შეაჩერა საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის საქმე. ეხლა პირდაპირი მოძრაობის აღდგენის შემდეგ მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს.

ტვირთების გადაზიდვის გაძლიერება

თვალსაჩინოდ გაძლიერდა მეზობელ გზებიდან ამ.-კავკ. რკ. გზებზე ტვირთების გადმოზიდვა.

ყოველდღიურად ლენინაკანისაკენ იგზავნება 180 ვაგონამდე პურის პროდუქტები, საამშენებლო მასალა და სხვა საქონელი.

შემთხვევებთან ბრძოლა

შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომიტეტის სხდომაზე გაირჩა 18 საქმე ვაგონების ლიანდაგიდან აცდენის, მატარებლების დაკავებულ ხაზზე მიღების, მატარებლების დაჯახების, გაწყვეტის, ვაგონების დაწვის და სხვა შემთხვევების შესახებ.

საერთო ზარალი, რომელიც მიუყენებიათ გზისათვის ამ შემთხვევებს გამოიხატება 182.883 მანეთში.

დამნაშავე პირები დასჯილი არიან ადმინისტრატიული წესით.

ჭადრაკი

რკინისგზელთა საჭადრაკო სექცია ახლო მომავალში მართავს ქალთა მასიურ საჭადრაკო ტურნირს რკინისგზელ ქალთა შორის; უბკავშირის მიერ უკვე გადადებულია სათანადო თანხა ჯილდოსათვის.

თამაში იქნება ჩატარებული ოლიმპიის სისტემით.

ჩაწერა ტურნირზე სწარმოებს რკინისგზ. ყველა საჭადრაკო წრეებში: ორჯონიკიძეს სახელობის კლუბში ამხ. ტატიაშვილთან, პლეხანოვის სახელობის კლუბში ამხ. დავიდოვთან, სალიანდაგო განყ.—წითელ კუთხეში ამხ. ისტრაქემსკისთან და საშემოსავლო განყოფ. წითელ კუთხეში ამხ. მაისურაძესთან ყოველ დღე საღამოს 6—9 საათამდე.

სპორტი

სატენისო მოედანი ბორჯომში

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო ბორჯომში ლიკანის დასასვენებელ სახლთან აწყობს სატენისო მოედანს.

ამ მიზნისათვის თბილისიდან გაგზავნილია სპეციალური ინსტრუქტორი.

ველოდრომი ბათომში

აჭარისტანის ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ ბათომის აღმასკომს წარუდგინა ველოდრომის მოწყობის ხარჯთ-აღრიცხვა.

ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ შეუდგებიან ველოდრომის მოწყობას.

სასროლი ტირი

ბათომში სპორტინტერნის სახელობის სასპორტო დარბაზთან, სასპორტო საზ-ბა „დინამო" აჭარისტანის პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად აწყობს სასროლ ტირს, სადაც სროლა იქნება საბრძოლველ ვაზნებიდან.

ფიზკულტურა ოზურგეთში

ოზურგეთის ფიზკულტურის საბჭომ თბილისში დაუკვეთა სასპორტო ინვენტარი.

ინვენტარის მიღების შემდეგ, ფიზკულტურის საქმე ოზურგეთში ფართოდ გაიშლება.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 15 სექტემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: ალიზადე-აბდულა, მამედ იუსუპ, სულეიმანოვ გასან, კურბანოვიჩ კურბან, ხაჩატუროვ არამ, აგაბადოვ გრიგოლ, მაღლაშვილი მიხეილ, რაზმაძე ჩალია, აინუს ლონსეს, სარკისოვ გაშკე, აბულაძე ალექსანდრე.

შავ მუშათა მესამე სექცია: ოდიშარია ისიდორე.

მშენებელთა მე-5 სექცია: ციხოვსკი ვლადისლავ. ჭიჭინაძე მიხეილ, პონიაჩშ ხერსენ.

რკინის გზის მე-7 სექცია: ტატინაშვილი ნიკოლოზ, მუსტაფოვი გიორგი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

წინადადება ეძლევათ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომაზე, რომელიც შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილების შენობაში (ოთახი № 54).

დომენტი ივანეს-ძე გოდერძიშვილი, ვალერიან არჯევანიძე, დოლიძე ალექსანდრე დავითის-ძე, მუსაელიანი პავლე სამსონისძე, მახარაძე შალვა დიმიტრისძე, ბზიკაძე კონსტანტინე ალექსისძე, ხოჯაკოვი სურენ სტეფანესძე, მხითაროვი ნიკოლოზ ალექსისძე, ჩუხრუკიძე არკადი ივანესძე, შიკანიანცი მიხეილ გრიგოლისძე, ციტოხცევი სირანუშ არტემისძე, ბოიახჩევი, მაქსიმე ფილიპესძე თოდრია, ალექსანდრე პეტრესძე არუთინოვი, გრიგოლ ნიკოლოზისძე გვაზავა, ანტონ ლავრენტისძე ბუნკლიშვილი.

— საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. კაპლო (კარაპეტ) გრიგოლისძე ტალგაულოვს გამოცხადდეს, 17 სექტემბერს, დილის 8 საათზე, საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროს., № 24, მესამე სართული, ოთახი მე-12).

თუ ამხანაგი თბილისში არ იმყოფება, შეგვატყობინოს.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საალრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომში ამხ. ჩაჩანიძესთან, ხუთშაბათს 15 სექტემბერს, დილის 10 საათისათვის.

მ. კვარაცხელია, ალ. კალანდაძე, ბ. დადიანი, მ. ბელიხოძე, პ. ფირცხალავა, ა. ეგიაევი, ა. ლომია, ქ. მელიქაძე, გ. ლაზარეიშვილი, ნ. ზამბახიძე.

თავზარდაცემული და გაუბედურებული დედა ქეთევანი, დები: მარო, თამარა და ოლღა, სიძეები: ივანე ბუაჩიძე და ივანე მეოფარიანი, დისშვილები: პატარა ნოდარი და ლამარა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ დაუვიწყარი და ძვირფასი

შალვა ერისტოვს-ძე ჭაინდრავას

დასაფლავება მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს, ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, დღის 4 საათ. გამოსვენება—ბელინსკის ქ. № 48.

ნ. 1659 1—1

ელენე, ალექსანდრე, გიორგი და ნიკოლოზ მეუღლითურთ, რუსუდანა და მიშიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, პირველნი ძვირფასი დედის და უკანასკნელნი ტკბილ ბებიის

ევგენია კონსტანტინეს ასულ გიქიმურელის

გარდაცვალებას 13 სექტემბერს. გამოსვენება 15 სექტემბერს დღის 3 საათზე ბინიდან, საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქუჩა № 83 კუკიის სასაფლაოზე.

3849 1—1

ცირკულიარულად

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატი აქვეყნებს სიას იმ სახელმძღვანელოებისას, რომლებიც სკოლებში სავალდებულო სახმარებლადაა მიღებული. ამასთანავე კომისარიატი სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ გადაჭრით აკრძალულია ისეთი სახელმძღვანელოების ხმარება, რომლებიც ამ სიაში არაა მოთავსებული.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე **მარ. ორახელაშვილი**

შრომის სკოლების სახელმძღვანელოები

1 ჯგუფი.

1. **ა. გვახარია** და **ვ. ძიძიგური** „პირველი წიგნი" (ორივე ნაწილი).
2. **ბოცვაძე, ბურჯანაძე, ჩიხლაძე** „ახალი წიგნი". ნ. ნ. 1 და 2.

ერთი რომელიმე

3. მოძრავი ფერადი ანბანი.

2 ჯგუფისათვის

1. **მასწავლებელთა ჯგუფი**—„შრომა და ცოდნა" (სამუშაო წიგნი).
2. **ძიძიგური და აფხაძე** „ჩირაღდანი" (სამუშაო წიგნი).
3. **ზაალიშვილი** „ნაკადული" (სამუშაო წიგნი).
4. **დიდია და ლაზარიშვილი** „ჩვენი შრომა (სამუშაო წიგნი).

ერთი რომელიმე

5. **კვინიკაძე, მგელაძე, შაფაქიძე**—„არითმეტიკა შრომის სკოლაში".

3 ჯგუფისათვის

1. **გ. ბურჭულაძე** და **გ. ჭუმბურიძე** „ჩვენი სოფელი" (სამუშაო წიგნი).
2. **ზუმბაძე** და **გვახარია** „ბუნება და შრომა" (სამუშაო წიგნი).
3. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ჩვენი მხარე" (სამუშაო წიგნი ქალაქის სკოლებისათვის).
4. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ახალი სოფელი" (სამუშაო წიგნი).

ერთი რომელიმე

5. **ლორთქიფანიძე, დევიძე, ხარაბაძე** „მათემატიკურ ამოცანათა კრებ.
6. **ოცხელი** და **წულუკიძე** „მათემატიკურ ამოცანათა კრებული".

ერთი რომელიმე

7. **ფურცელაძე** „Живая струйка" რუსული ენის სახელმძღვანელო მე-3 და მე-4 ჯგუფისათვის.

მე-4 ჯგუფისათვის

1. **გ. ჭუმბურიძე** „თაიგული" (სამუშაო წიგნი).
2. **ძიძიგური** და **აფხაძე** „საზოგადოებათ მეცნიერება.
3. **დონდუა** „წყარო"—(ბუნებისმეტყველება და გეოგრაფია).
4. **დევიძე, ხარაბაძე** და **ლორთქიფანიძე** „მათემატიკურ ამოცანათა კრებული".
5. **ოცხელი** და **წულუკიძე** „მათემატიკურ ამოცანაკრებული".

ერთი რომელიმე

6. **ფურცელაძე** „Живая струйка" მე-3 და მე-4 ჯგუფისათვის.

მე-5 ჯგუფისათვის

1. **ივ. გომელაური** და **ვ. ხუროძე** „სხივი".
2. **მეტრეველი** და **ჩიქობავა** „ახალი ქვეყანა".

ერთი რომელიმე

3. **ჭუმბურიძე** „საზოგადოებათმეცნიერება".
4. **კეცხოველი** და სხვ. „ბუნება და სოფლის მეურნეობა".
5. **იაშვილი** „ბოტანიკა" ბუბლიკოვის წიგნიდან გადმოკეთებული.
6. **იაშვილი** „მსოფლიო მოკლე გეოგრაფია".
7. **ხარაბაძე** „მათემატიკური ამოცანები".
8. **შაფაქიძე** „თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია". (ნაწ. მე-2).
9. **უჩანეიშვილი** და **ძიმისტარიშვილი** „საქართველოს ისტორია".
10. **მუჯირი** „არა ორგანიული ბუნება".
11. **ელჩანინოვი** „ბუნების მეტყველება სასოფლო მეურნეობის საფუძველზე" (დამხმარე წიგნი).

მე-6 ჯგუფისათვის

1. **ს. გორგაძე** და **შ. თაბუკაშვილი** „ახალი მნათობი".
2. **მათივე** „წითელი კანდელი".

ერთი რომელიმე

3. **ჭუმბურიძე** „საზოგადოებათ მეცნიერება".
4. **ხარაბაძე** და **დევიძე** „მათემატიკური ამოცანები". (6—7 ჯგუფისათვის).
5. **ბერიძე** და **კორძახია** „სამუშაო წიგნი მათემატიკაში" (6—7 ჯგუფ.)

ერთი რომელიმე

6. **იაშვილი** „ს. ს. რ. კავშირი".
7. **ყავრიშვილი** „ევროპა".
8. **შაფაქიძე** „თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია" (ნაწ. მე-2).
9. **ნიკოლაიშვილი** „ქართული ენის გრამატიკა.
10. **ქუთათელაძე** „ზოოლოგია".
11. **ქავთარაძე** „ახალგაზრდა ბუნების მეტყველის თანამგზავრი" (დამხმარე).
12. **გაჩეჩილაძე** „მეტეოროლოგია".

მე-7 ჯგუფისათვის

1. **ს. გორგაძე, ხუროძე, თაბუკაშვილი** „ტალღები".
2. **ჭუმბურიძე** „საზოგადოებათ მეცნიერება".
3. **საყვარელიძე** და **კეშელაძე** „საქართველოს გეოგრაფია".
4. **ა. ჯავახიშვილი** „პრაქტიკული ვარჯიშობანი გეოგრაფიაში".
5. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ფიზიკის ელემენტები" (6—7 ჯგუფისათ.)
6. **ბერიძე** და **კორძახია** „სამუშაო წიგნი მათემატიკაში".
7. **ხარაბაძე** „მათემატიკური ამოცანები".
8. **ნიკოლაიშვილი** „ქართული ენის გრამატიკა".
9. **ჩუბინიძე** „ადამიანის ანატომია, ჰიგიენა და ფიზიოლოგია".
10. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ფიზიკის ელემენტები".
11. **ტრ. თაბუკაშვილი** „სასვენი ნიშნები" (დამხმ.)

მე-8 ჯგუფისათვის

1. **გორგაძე** „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია".
2. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ახალი ქართული ქრესტომატია", ნ. 1-ლი.
3. **ბეგიაშვილი** „ქართული ლიტერატურის ისტორია" ნ. 1-ლი. (დამხმარე).
4. **მაკალათია** „საზოგადოებათ მეცნიერება".
5. **ბერეჟიანი** და **ყიფშიძე** „ფიზიკური გეოგრაფია".
6. **ხარაბაძე** და **დევიძე** „ალგებრა".
7. **კანდელაკი** „ლოღიკური გეომეტრია".
8. **გ. წერეთელი** „სტერეომეტრია" (დამხმარე წიგნი).
9. **საზანოვი** და **ვერხოვსკი** „ქიმიის სახელმძღვანელო".
10. **მათივე** „პრაქტიკული ვარჯიშობანი ქიმიაში". (დამხმარე).
11. **სულაქველიძე** „სწორ წიროვანი ტრიგონომეტრია".
12. **დევიძე** და **ხარაბაძე** „სწორწიროვანი ტრიგონომეტრია".
13. **მგელაძე** და **კანდელაკი** „ტრუდ ი ზნანიე".
14. **პოპოვი** „საკავშირო კომპარტიის ისტორია (დამხმარე).
15. **კორნილოვი** „ფსიქოლოგია".
16. **მენი და ტვისი** „ფიზიკა" 1-ლი ნაწ.

მე-9 ჯგუფისათვის

1. **მასწავლებელთა ჯგუფი** „ახალი ქართული ქრესტომატია", ნ. ნ. მე-2 და მე-3.
2. **ბეგიაშვილი** „ქართული ლიტერატურის ისტორია" ნ. 1-ლი (დამხმარე).
3. **ხუროძე** „ქართული ლიტერატურის თემატიურად გახხილვა" (დამხმარე).
4. **ტარასოვი** „საზოგადოებათ მეცნიერება" ნ. ნ. 1-ლი და მე-2.
5. **ს. ხუნდაძე** „სოციალიზმის ისტორია საქართველოში" ნ. ნ. 1-ლი და მე-2 (დამხმარე).
6. **მაკალათია** „საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორია (დამხმარე).
7. **ვოლოსევიჩი** „საქ. კომპარტიის ისტორია" (დამხმარე).
8. **ჯანაშვილი** „საქ. ეკონომიური გეოგრაფია".
9. **ალ. ჯავახიშვილი** „საქართველოს გეოგრაფიული ატლასი" (დამხმარე).
10. **ა. ჩხენკელი** „ბიოლოგია"
11. **მ. ჭავჭანიძე** „ბიოლოგია"
12. **კ. ბერიძე** „ლოგარიფმების ცხრილი".
13. **სულაქველიძე** „სწორწიროვანი ტრიგონომეტრია".
14. **ხარაბაძე** და **დევიძე** „სწორწიროვანი ტრიგონომეტრია".
15. **ხარაბაძე** და **დევიძე** „ალგებრა".
16. **მენი** და **ტვისი** „ფიზიკა" ნ. მე-2.
17. **საზანოვი** და **ვერხოვსკი** —ქიმიის სახელმძღვანელო".
18. **მათივე** „პრაქტიკული ვარჯიშობანი ქიმიაში" (დამხმარე).
19. **კანდელაკი** „ლოღიკური გეომეტრია".
20. **კორნილოვი** „ფსიქოლოგია" (წიფურის თარგმანი).
21. **მგელაძე** და **კანდელაკი** „Труд и знание".

განხრიან ცხრაწლედებისათვის სპეციალურ საგნებში

პედაგოგიური განხრა

1. **კორნილოვი** „სკოლის ასაკამდე აღზრდის ყოფაქცევის შესწავლა".
2. **პაილი** „ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლაში" **ფერაძის** თარგმანი.
3. **მაჩაბელი, წულუკიძე, უნაფქოშვილი** „წერა-კითხვა საბავშვო ბაღში".
4. **უნაფქოშვილი-უშვერიძისა** „ბუნება საბავშვო ბაღში".
5. **მარ. ორახელაშვილის** რედაქციით კრებული სკოლის ასაკამდე აღზრდა".
6. **პინკევიჩი** „პედაგოგიკა, ტ. მე-2 შრომის სკოლა".
7. **მისივე** „ბუნების მეტყველების მეთოდიკა".
8. **ეგნატაშვილი** „ტანთვარჯიში 1-ლ საფ. შრომის სკოლაში".

სას. სამ. განხრა

9. **გორთამაშვილი** „მებაღეობა".
10. **მისივე** „მებოსტნეობა".
11. **ქიქოძე** „მელვინეობა".
12. **აპ. წულაძე** „ფუტკარი და მისი მოვლა".
13. სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკა (100 წიგნაკი).
14. **თვალჭრელიძე** „ციტრუსოვანთა კულტურა"..

კოოპ. განხრა

15. **ინწკირველი** „ბუხჰალტერიის საზოგადო კურსი".
16. **მასლოვა** „კოოპერაციის საფუძვლები".

მასწავლებელთათვის:

1. **ბურჭულაძე** „არითმეტიკის მეთოდიკა".
2. **მგელაძე, კვინიკაძე, შაფაქიძე** „არითმეტიკა შრომის სკოლაში ნ. 1-ლი.
3. **მეტრეველი** და **არჯევანიძე** „არაორგანიული ბუნება", ნ. 1-ლი.
4. **მათივე** „მცენარეები".
5. **ქავთარაძე** „პირველი მუშაობანი მიკროსკოპით".
6. **მისივე** „ბუნება სკოლასა და სახლში".
7. **გოგლიჩიძე** „საბავშვო მოძრავი თამაშობანი".
8. **შავერზაშვილი** „საბავშვო სიმღერათა კრებული".
9. **გიორგაძე** „ფიზიკური ვარჯიშობანი".
10. **ძიძიგური** „დებულებანი პედ. მუშაობაში" კრებული.
11. **ვ. კაკაბაძე** „ქიმიის სწავლებისათვის".
12. **პაილი** „ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლაში"—**ილია ფერაძის** თარგმანი.

ქართული ენის სახელმძღვანელოები არა ქართული სკოლებისათვის:

1. **მეტრეველი** და **სიხარულიძე**, „ქართული ენა არა ქართვ." 3—4 ჯგუფისათვის.
2. **კალანდარიშვილი** და **წერეთელი** „ცოცხალი სიტყვა" მე-3 და მე-4 ჯგუფ.
3. **მეტრეველი** და **სიხარულიძე** „ძმობა" ნაწ. მე-2 და მე-3 (5, 6—7 ჯგუფ.)
4. **წულეისკირი** და **ქარცივაძე** „ქართული ენა არა ქართველთათვის" (8—9 ჯგუფ.)

ტეხნიკუმებისათვის

(გარდა შრ. სკოლ. სახელმძღვ. წიგნებისა)

1. **გ. ასათიანის** მიერ ცვილინსკაიადან გადმოკეთებული ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა.
2. **მეფისაშვილი** „გეომეტრიული ხაზვა".
3. **გულისაშვილი** „მანქანათა ნაწილი".
4. **მისივე** „მხაზველობით გეომეტრია".
5. **კოპნიევი** „ელექტრო-ტეხნიკის საფუძვ".
6. **ბელსკი** „სასოფლო-სამ. ჰიდრო ტეხნ.".
7. **ქავთარაძე** „პირველი მუშ. მიკროსკოპით".
8. **წულეისკირი** „ქართული ენის სახელმძღვანელო" არა ქართვ.
9. **ივ. გაჩეჩილაძე** „მეტეოროლოგია".
10. **ა. ჩხენკელი** „ბოტანიკა" (სისტემატ. კურსი).
11. **ლოსაბერიძე** „ჰიგიენა".
12. **კვინიკაძე, მგელაძე, შაფაქიძე** „მათემატიკის სახელმძღვანელო" (მუშფაკისათვის).
13. **ჩერქეზიშვილი** „მათემატიკის სახელმძღვანელო". (მუშფაკისათვის).

სახელმძღვანელოები პარტსკოლებისათვის

1. კომკავშირის პოლიტკითხვის ჯგუფის სახელმძღვანელო.
2. **ტაიშინი** და **კოზლოვი** „პოლიტცოდნა".
3. პოლიტცოდნა (საფ. კომკავშ. სკოლ.)
4. **გრიშინი** „პოლიტცოდნა".
5. **აბეზგაური** და **პროტასოვი** „პოლიტცოდნა".
6. **ვოლოსევიჩი** „პარტიის ისტორია".
7. **პოპოვი** „ს. კ. პ. ისტორია".
8. **კერჟენცევი** „ლენინიზმი".
9. **სტალინი** „ლენინიზმი".
10. **ლენინი**—თხზულებანი ტ. მე-10, მე-14 და მე-18.
11. **კაუცკი**—ეთიკა და ისტ. მატერ. შემეცნება.
12. **პლეხანოვი**—ნარკვევი მატერ. ისტ.
13. კრებული—ისტორიული მატერიალ.
14. **პლეხანოვი**—მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე.

უმაღლეს სკოლებისათვის

1. **ყანჩაველი** „ბოტანიკა" ნაწ. 1-ლი.
2. **მისივე** „ბოტანიკა" ნაწ. მე-2.
3. **თიკანაძე** „მეანობის მოკლე სახელმძღვანელო".
4. **ხუროძე** უმაღლესი მათემ. შესავალი.
5. **მაჭავარიანი** მუცლის ღრუის ქირურგია ნ. 1-ლი.
6. **მისივე** კიდურთა ქირურგია ნაწ. მე-2.
7. **დიდებულიძე** ელექტრო-ტეხნიკის მათემატიკური საფუძვლები.
8. **ღოღობერიძე** ოპერატიული მეანობა.
9. **ფარცვანიძე** ვეტერინარიის საფუძვლები.
10. **ი. ბერიტაშვილი** „ზოგადი ფიზიოლოგია რეფლექსოლოგიით".
11. **გოგიტიძე** „ბავშვის კვება".
12. კრებული—ისტორიული მატერიალიზმი.
13. **მეგრელიძე** „საქონელთმცოდნეობა".
14. აგრონომიული საუბარი, დიქციების კრებული
15. **შ. ნუცუბიძე** „ესთეტიკა".
16. **პოპოვი** „საკავშირო კომპარტიის ისტორია".
17. **ვოლოსევიჩი** „პარტიის ისტორია".
18. **რუბინი** „ეკონომიურ აზროვნების ისტ."
19. **მაისურაძე** „პრაქტიკულ ვარჯიშობის რვეული".
20. **რაზმაძე** „ინტეგრალური აღრიცხვის კურსი ნაწ. 1-ლი ჰისტოლოგიაში".
21. **მ. მიქელაძე** და **ნ. მახვილაძე** „კლინიკური ანალიზები".
22. **შ. ნუცუბიძე** „ალეთეოლოგიის საფუძვ.".
23. **ნ. კახიანი** „ქირურგიული ანატ."
24. **კ. კეკელიძე** „ქართული ლიტერატურის ისტორია" ნაწ. მე-3.
25. **გეხტმანი** „მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია".

დამხმარე და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის ნებადართული ლიტერატურა

1. ბელლეტრისტიკა

1. **ა. წერეთელი** თხზულებანი ტ. 1, 2, 3 და მე-4.
2. **კლდიაშვილი** თხზულებანი ტ. 1 და მე-2.
3. **ს. მგალობლიშვილი** თხზულებანი ტ. 1 და მე-2.
4. **რ. ერისთავი** რჩეული ლექსები.
5. **არაგვისპირელი** „გაბზარული გული".
6. **ჭოლა ლომთათიძე** მოთხრობები ტ. 1-ლი და მე-2.
7. **ბარნოვი** „არმაზის მსხვრევა".
8. **ი. დავითაშვილი** რჩეული ლექსები.
9. **შ. არაგვისპირელი** რჩეული ნაწერები.
10. **გ. წერეთელი** თხზულებანი.
11. **ე. ნინოშვილი** თხზულებანი ტ. 1 და მე-2.
12. **ევდოშვილი** „გულითადი მეგობარი".
13. **ნ. ლომაური** მოთხრობები.
14. **ერისთავ-ხოშტარია** „მოლიპულ გზაზე".
15. **შ. რუსთაველი** „ვეფხის ტყაოსანი".
16. **ნ. ლომაური** „ალი".
17. **მისივე** „ქაჯანა".
18. **ჭონქაძე** „სურამის ციხე".
19. **ე. ნინოშვილი** „გ. უიშვილი".
20. **მისივე** „პალიასტომის ტბა".
21. **ა. წერეთელი** „გამზრდელი".
22. **მისივე** „ბაგრატ დიდი".
23. **მისივე** „თორნიკე ერისთავი".
24. **მისივე** „თამარ ცბიერი".
25. **მისივე** „კიკოლას ნაამბობი".
26. **მისივე** „ნაცარქექია"
27. **რ. კალაძე** ე. ნინოშვილის ბიოგრაფია.

გეოგრაფია და ბუნებისმეტყველება

1. **ყავრიშვილი** „სვანეთი".
2. **ე. გაბლიანი** „ძველი და ახალი სვანეთი".
3. **ე. გაბლიანი** „თავისუფალი სვანეთი".
4. **ფ. მახარაძე** „სვანეთი".
5. **პ. მ. საყვარელიძე** „ძველი და ახალი ჩინეთი".
6. **ბურჯანაძე** „შორეული აღმოსავლეთი".
7. **გ. გეხტმანი** „მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია"
8. **ი. ასლანიშვილი** „ექსპედიცია სვანეთში".
9. **ა. ჰარვუდი** „განახლებული დედამიწა".
10. **მეტრეველი** და **არჯევანიძე** „არაორგანიული ბუნება ნაწ. 1-ლი.
11. **მათივე** „მცენარეთა აგებულობა" ნაწ. მე-2.
12. **სვენ გედინი** „აპენინიდან ანდამდე".
13. **მალინინი** „ქვეყნიერების ისტორია".
14. **იაკოვლევი** „მეცნიერება მიწის წარმოშობის შესახებ.
15. გეოგრაფიული რუქები დიდი, პატარა.
16. **გორბუნოვი** „ჩვენი დედამიწა", **ჭიჭინაძის** თარგმანი.

საზოგადოებათმეცნიერება:

1. **ს. მაკალათია** „საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორია".
2. **რაჭველიშვილი** „საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია".
3. **გ. გიორგაძე** „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში".
4. **რაჭველიშვილი** „საქართველოს მოკლე ისტორია"
5. **ს. ხუნდაძე** „სოციალიზმის ისტორია საქართველოში" ნაწ. 1-ლი.
6. **მისივე** „სოციალიზმის ისტორია საქართველოში" ნაწილი მე-2.
7. **მისივე** „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნ."
8. **გამყრელიძე** „ხელოსნობა თბილისში".
9. **პოკროვსკი** „რუსეთის ისტორია".
10. **ლუკინი** „დასავლეთ ევროპის უახლოესი ისტორია".
11. **ფ. მახარაძე** თხზულებანი ტ. 1, 2, 3 და მე-4.
12. **მისივე** „1905 წელი ამიერ-კავკასიაში".
13. **მისივე** „Очерки револ. движен. в Закавказ, 1905 г."
14. **ლენინი** თხზულებანი ტ. 14, 17 და 19.
15. **სტუჩკა** „საბჭოთა კონსტიტუცია".
16. **მოტილიოვი** „პოლიტიკური ეკონომიის მოკლე ისტორიის კურსი".
17. **სტანჩინსკი** „პოლიტანბანი".
18. **შ. ტაბიძე** „ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა".
19. **ბროუნი** „კლასობრივი ბრძოლა ინგლისში".
20. **გ. პლეხანოვი** „ნარკვევი მატერიალურ ისტორიიდან".
21. **გ. დევდარიანი** „საქართველოს კომკავშ. სათავეებთან".

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარის მოად გილე **მარიამ ორახელაშვილი.**
სახელმწიფო გამომცემლობის გამგე **ბ. ბიბინეიშვილი.**
სასკოლო განყოფილების გამგე **გ. გოგუაძე.**

ნ. 1662

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო
(არტის ბაღში).

მხატვრული ისტორიული სურათი
სისხლიანი კვირა (9 იანვარი)
ვისკოვსკის დადგმა. გაპონის როლში ბორონიხინი
პირველად თბილისში, ისტორიული კინო-დრამა 8 ნაწ.
„ვოლგის მეამბოხენი"
მთ. როლ. იონა ტალანოვი და გოდლევსკაია
ანონსი: ამ დღეებში „ა ბ რ ე კ ზ ა უ რ".
სეზონის საუკეთესო ამერიკული სურათი
„მეორე ახალგაზრდობა"
ყველგან არაჩვეულებრივი წარმატება.
ანონსი: —ამ დღეებში „ძ ა რ ი"

C—11 ნ. 1388

მალე რუსთაველის [illegible]

[illegible] სახელმწიფო
საბუჰალტრო კურსებზე
სწავლა დაიწყება ა. წ. 19 სექტემბერს. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—7 ს-დე. კულტურის ქუჩა (ყოფ. ლორის-მელიქოვის) № 12, პირველი სამრეწველო-პროფესიული ტექნიკუმის შენობა.
3831 2—1. კურსების გამგე მ. თათარაშვილი.

ექიმი ქ. ს. ფონ-ირბეილი
სიფილისი, ვენერიული, სიფილისი, კანის და [illegible]
[illegible]
3645—18—1

კინო „ეთერი"
სახელმწიფო ოპერის ბაღში
დღეს და ყოველ დღე
„სოვკინოს" საუკეთესო სურათი
სისხლიანი კვირა
(9 იანვარი)
ვისკოვსკის დადგმა.
მთავარ როლებში:
ბორონიხინი (გაპონი)
ევდაკოვი (ნიკოლოზ მე-2)
ბოგდანოვი და სიმონოვი
მასიური სცენები
წარმტაცი სიუჟეტი.
ნ. 1661 1—1

ა.-ქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის უწყებაში მყოფი
ადმინისტრატიულ ტეხნიკის სახელმწიფო
კურსები
მომზადება და გადამზადება მოანგარიშე მუშაკთა
ქართულ და რუსულ საბუჰხალტრო სექტორის
განყოფილებებზე დაიწყო მსმენელთა მიღება.
საგნები: 1) საერთო და 2) სპეციალური-მეურნეობის და მმართველობის უმთავრესი დარგების მიხედვით.
ანგარიშთ წარმოების რაციონალური ორგანიზაცია
უკანასკნელი დროის სისტემები და ფორმები ანგარიშისა.
დაწვრილებით ცნობების მიღება და აგრეთვე მსმენელთა ჩაწერა სწარმოებს ყოველდღიურად საღ. 7—9 საათამდე, [illegible] ქუჩა № 2 (ყოფ. სოლოლაკის).
ნ. 1640 3—1

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის
საბუჰალტრო კურსები
ქართულ და რუსულ ენებზე
მიღება სწარმოებს 20 სექტემბრამდე. [illegible]
3845 1—1

[illegible] ნ. 1660 [illegible] 3844

საბჭ. და სავ. მუშ. პროფკავშირის მე-2-ე
საანგარიშო მეცნ-თა
(საბუჰხალტრო) კურსებზე
მსმენელთა მიღება დაიწყო. მსმენელები მიიღებიან ზოგად და სპეციალ. განყოფ-ზე. ცნობების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე, პლეხანოვის გამზ. № 166 მე-5 პროფ. სკოლის შენობაში.
10—2 ნ. 1637

ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელის
მაგიერი ქ. კედია
აცხადებს, რომ ამა წლის 21 სექტემბერს, ფოთის სახალხო სასამართლოს დარბაზში გაიყიდება საჯარო ვაჭრობით შამილი აბუევის ერთ სართულიანი დანგრეული სახლი, აშენებული [illegible]
ნ. 1657 1—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) [illegible] 18 სექტემბერს, დილის 11 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
[illegible]
ნ. 1656

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
[illegible] დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა [illegible]
25—1

ექიმი
ბ. ი. მირიანაშვილი
[illegible] № 74
[illegible] 3843
[illegible] 3848
[illegible] 3850

ამხანაგობის სტამბა, კამოს ქ. 44.